

"თქვენი აფხაზეთი" A5



შორეული 1978 წლის შემდეგ A6



სიტყვათა განმარტებიდან საქმეზე A7


www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი ოთხშაბათი, 31 მაისი, 2006 წელი. №118 (1270) ფასი 50 თეთრი



24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge


## ამბები

### ცესკო მარკირებისთვის სითხეს ეძებს

ცენტრალური საარჩევნო კომისია მარკირებისთვის ისეთი სითხის ძებნას განაგრძობს, რომლის სწრაფად მოშორება შეუძლებელი იქნება. ცესკო-ს თავმჯდომარის განცხადებით, ჯერ მოსაწონი სითხე ვერ იშოვეს.

A2

## პოლიტიკა

### შანტაჟის ობიექტი ლუკაშენკოც ხდება

ბელარუსს აიძულებენ ათას კუბურ მეტრ გაზზე 200 დოლარი გადაიხადოს.

A3

## სამართალი

### უარი ევროსასამართლოსგან

ადამიანის უფლებათა დამცველ ევროპულ სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ შეტანილი განაცხადი - ქერეჭაშვილი საქართველოს წინააღმდეგ - დაუშვებლად გამოცხადდა და საქმის განხილვა შეწყდა.

A4


საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.


## ამინდი

| | 31/05 | 1/06 |
|---|---|---|
| თბილისი | 33 | 36 |
| ტყიბული | 32 | 35 |
| სოხუმი | 35 | 35 |
| დმანისი | 28 | 30 |
| გორი | 30 | 32 |
| ონი | 25 | 28 |
| ზუგდიდი | 39 | 39 |
| ახმეტა | 33 | 35 |
| გაგრა | 31 | 32 |
| სამტრედია | 37 | 38 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8000 |
| ევრო | 2.3120 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.3739 |
| რუბლი | 0.0667 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| პროექტი | A 5 |
| რევიუ | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| ტენდერი | A 8 |


# გაწევრიანებისკენ

## საქართველო-ნატო-ს ურთიერთობებში ახალი ეტაპი იწყება

სოფო ბუკია

*საქართველომ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ნატო-სკენ. ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეაზე გუშინ მიღებული დეკლარაცია ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მთავრობებსა და პარლამენტარებს ურჩევს, „რაც შეიძლება მალე, პოზიტიურად გადაწყვიტონ საქართველოსთან ინტენსიური დიალოგის დაწყების საკითხი - სასურველია უკვე 2006 წლის ზაფხულში“. „ინტენსიური დიალოგი“ - ასე ეწოდება ნატო-სთან ურთიერთობის ახალ ეტაპს, რომელშიც საქართველომ უკვე ოფიციალურად შეაბიჯა. „ინტენსიური დიალოგი“ განიხილება, როგორც წინა ეტაპი ნატო-ს წევრობის სამოქმედო გეგმაში (MAP) გაწევრიანებამდე, ამ უკანასკნელს კი უკვე ალიანსში ოფიციალური მიწვევა მოჰყვება.*

გაგრძელება A3 გვერდზე




*საქართველოს პრეზიდენტის 20-წუთიანი მიმართვა ფრანგულად დაიწყო, ინგლისურად გაგრძელდა და უკრაინული პასუხებით დასრულდა.*

# ევროსასამართლომ აშშ-ევროკავშირის შეთანხმება დაბლოკა

თეა მაისურაძე

გუშინ ევროსასამართლომ აშშ-ევროკავშირის შეთანხმება დაბლოკა, რომელიც აშშ-სთვის იმ მგზავრთა სრული დოსიეს მიწოდებას ითვალისწინებდა, რომლებიც ევროპიდან თვითმფრინავით აშშ-ს მიმართულებით მიემგზავრებოდნენ.

ეს ინიციატივა ვაშინგტონმა 11 სექტემბრის შემდეგ წამოაყენა და მისი ძირითადი მიზანი საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფა იყო. აშშ-ს ხელისუფლება ევროპული ავიაკომპანიებისაგან მგზავრთა ვინაობის, საცხოვრებელი მისამართის, ტელეფონის ნომრისა და საკრედიტო ბარათების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდებას მოითხოვს. შეთანხმების მიხედვით, ამგვარი ინფორმაცია აშშ-ს ხელისუფლებამ ევროპული ავიაკომპანიებისაგან თვითმფრინავის აფრენიდან 15 წუთის განმავლობაში უნდა მიიღოს. საყურადღებოა ისიც, რომ თავდაპირველად აშშ ავიაკომპანიებისაგან მგზავრების დოსიეს შენახვას 50 წლის განმავლობაში ითხოვდა, ხოლო შემდგომ ეს ვადა სამ წელიწადნახევრამდე დაიყვანა. აღსანიშნავია, რომ აშშ-ს ხელისუფლება არ ითხოვს ისეთი ინფორმაციის მიწოდებას, რომელიც გაამჟღავნებს მგზავრის რელიგიურ მრწამსს, რასას და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას.

სასამართლოს განცხადებით, ამ შეთანხმებას ლეგალური საფუძველი არ გააჩნია, ხოლო აშშ-ს მთავრობა კი აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება მიღებული არ იქნება, ის მეტად მკაცრ ზომებს მიიღებს ევროპული ავიაგადამზიდველების წინააღმდეგ და არ მისცემს აშშ-ს ტერიტორიაზე დაჯდომის უფლებას იმ ავიაკომპანიების თვითმფრინავებს, რომლებიც ამგვარი ინფორმაციის მიწოდებაზე უარს აცხადებენ.

აშშ-მ, ევროკომისიამ და ევროკავშირის სხვა ინსტიტუტებმა ამგვარ შეთანხმებას, ევროპარლამენტის წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც მოაწერეს ხელი. თუმცა ევროკავშირის საკანონმდებლო ორგანომ ხელშეკრულების ანულირება უკვე ევროსასამართლოსაგან მოითხოვა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ომი ნოტებით

## ურთიერთბრალდებების ახალი ტალღა

დიმიტრი ავალიანი

*ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში შექმნილი ვითარება რუსეთისა და საქართველოს მწვავე დიპლომატიური დემარშების საბაბი გახდა. საქართველო პროტესტს გამოთქვამს სამშვიდობო ძალების როტაციისას სავიზო რეჟიმის დარღვევის, რუსეთი - კონფლიქტის ზონაში ქართული სპეცრაზმის გამოჩენის გამო.*

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, რუსულმა მხარემ გუშინ კონფლიქტის ზონაში უკანონო როტაცია განახორციელა. რუსი სამშვიდობოები 13 სატვირთო და 2 ქვეითთა საბრძოლო მანქანით ცხინვალში დისლოცირებულ რუსეთის სამშვიდობო ძალების ბატალიონის ტერიტორიაზე განლაგდნენ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო სამშვიდობო ძალების რუსული ბატალიონის როტაციას საგანგებო განცხადებით გამოეხმაურა. სამინისტრომ პროტესტი გამოთქვა **„რუსეთ-საქართველოს შორის არსებული ორმხრივი შეთანხმებებისა და შერეული საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილებების უხეში დარღვევით, განხორციელებულ როტაციასთან დაკავშირებით“**. არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, რუსეთის მხარემ როტაცია ამჯერადაც განახორციელა როკის გვირაბიდან, ანუ რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ამ მონაკვეთზე არსებული ერთადერთი ლეგიტიმური სასაზღვრო-გამშვები პუნქტის - „ყაზბეგი-ზემო ლარსის“ გვერდის ავლით, რითაც კვლავ უხეშად დაირღვა რუსეთ-საქართველოს შორის მოქმედი სასაზღვრო და სავიზო რეჟიმი, - აცხადებს საგარეო უწყება. სამინისტროს განცხადებაში აღნიშნულია, რომ როტაცია განხორციელდა შერეული საკონტროლო კომისიის ქართული მხარის თანათავმჯდომარესთან შეუთანხმებლად, რაც წარმოადგენს შსკ ფორმატში არსებულ შეთანხმებათა უხეშ დარღვევას.

გაგრძელება A3 გვერდზე

# აფხაზეთის სარკინიგზო მონაკვეთის აღდგენა ძვირი „სიამოვნებაა“

გიორგი ასანიშვილი

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითმა საპარლამენტო კომისიამ გუშინდელ სხდომაზე მოისმინა შპს „საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორის ირაკლი ეზუგბაიას ინფორმაცია საქართველოსა და რუსეთს შორის, აფხაზეთის ტერიტორიის გავლით, სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის საკითხებზე მიმდინარე მოლაპარაკებების შესახებ.

ცალკეული დეპუტატების, კერძოდ, რომან კუსიანის პროტესტის მიუხედავად, სხდომა დახურულ რეჟიმში ჩატარდა. ასეთი ფორმატით მუშაობა ირაკლი ეზუგბაიამ მოითხოვა. არადა, „საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელისავე განმარტებით, დასამალი არაფერია. **„ამ თემასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია მედიისთვის ცნობილია, მაგრამ მაინც უმჯობესია, რომ საკითხი სამუშაო რეჟიმში განვიხილოთ,“** - განაცხადა ეზუგბაიამ.

დროებითი საპარლამენტო კომისიის სხდომის დაწყების წინ შპს „საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორი საქართველო-რუსეთის დამაკავშირებელ სარკინიგზო მონაკვეთზე მიმოსვლის აღდგენის ზოგიერთ ასპექტს შეეხო.

როგორც ცნობილია, აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა და რუსეთის ტრანსპორტის მინისტრმა იგორ ლევიტინმა გასული წლის 16 დეკემბერს თბილისში გამართულ რუსეთ-საქართველოს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის კომისიის მორიგი სხდომის ფარგლებში მიიღეს.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ახალი მოთხოვნა, რომელსაც მიწოდება სჭირდება


B

*თუ თქვენ უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში გაყიდეთ ან იყიდეთ ნებისმიერი სახის უძრავი ქონება, იქნება ეს საცხოვრებელი ბინა თუ საოფისე ფართი, მაშინ თქვენთვის ნაცნობი იქნება მშრალი ხიდი, უფასო განცხადებების გაზეთები და შუამავლისათვის განკუთვნილი ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი. წლების განმავლობაში უძრავი ქონების შეძენა ნაცნობების, უძრავი ქონების სააგენტოების ან ეგრეთ წოდებული "მაკლერების"'საშუალებით ხდებოდა, ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება, ჩვენი ცხოვრების ჩვეულებრივ მახასიათებელს ემსგავსება. უძრავი ქონების ბიზნესის მნიშვნელოვანი ატრიბუტია ამ ქონების რეალიზაცია. დღეს არსებული ბინათმშენებლობის ფონზე, რომელიც საოცარი მასშტაბურობითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა, მომხმარებელს უჭირს სწორი გადაწყვეტილების მიღება, რადგან ხშირია ობიექტის რამდენიმე მფლობელზე გაყიდვის თუ დაგვიანების ფაქტები.*




# რეკომენდაცია გუბერნატორის წინააღმდეგ

*შიდა ქართლის რწმუნებულს მიხეილ ქარელს კვლავ უკანონო ქმედებებში ადანაშაულებენ. გუბერნატორს ამჯერად სახალხო დამცველი ამხელს. სახალხო დამცველის აპარატმა პრეზიდენტის რწმუნებულთან მიხეილ ქარელთან დაპირისპირებული მოქალაქის საქმე შეისწავლა და მივიდა დასკვნამდე, რომ საქმე „შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, რომელიც ჩადენილია მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელის მიერ“.*

მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელე - გუბერნატორი მიხეილ ქარელი ჩვეულებრივ მოქალაქეს ნოდარ მაისურაძეს იჯარით აღებული მიწის ნაკვეთით სარგებლობის საშუალებას არ აძლევს. დავა, რომელიც კარგა ხანია, მიმდინარეობს, საკმაოდ გახმაურებულია და მიუხედავად სასამართლოს მიერ მაისურაძის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილებებისა, საქმე ლოგიკურად არ დასრულებულა. მეტიც, მართლმსაჯულების ვერდიქტი, ზოგ შემთხვევაში, იგნორირებული აღმოჩნდა.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი მასალების თანახმად, 1997 წლის 20 ნოემბერს გორის მერიასა და სახაზინო საწარმო „ქვემო ხვითში“ არსებულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივის შრომითი კოლექტივის წარმომადგენელ ნოდარ მაისურაძეს შორის დაიდო საიჯარო ხელშეკრულება 230 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის 9-წლიანი ვადით გადაცემის შესახებ.

**„2004 წელს პრეზიდენტის რწმუნებული მიხეილ ქარელი პირადად ჩავიდა სოფელ ქვემო ხვითში და მაისურაძის კუთვნილი საიჯარო მიწის ნაწილი სოფლის მცხოვრებლებს თავად გადასცა, იმ მიზეზით, თითქოს ეს ნაკვეთი მაისურაძეს უკანონოდ ჰქონდა მითვისებული. მიხეილ ქარელი პირადად ზომავდა მიწის ნაკვეთებს და ამის შემდეგ ადგილობრივ ჟურნალისტებს განუცხადა: „თავს ბედნიერად ვგრძნობ, რადგან ერთხელ და სამუდამოდ გათავისუფლდა სოფელი სიღატაკისგან. დღეს სოფელმა დაიბრუნა ის დიდი სიმდიდრე, რომელსაც 500 ჰექტარი მიწა ჰქვია“. თუმცა, როგორც შემდგომში გაირკვა, მიწა მოსახლეობისთვის არ გადაუცია“,** - აცხადებენ სახალხო დამცველის აპარატში.

გაგრძელება A4 გვერდზე

# ქობულეთის ახალი გამგებელიც გადადგა

*აჭარაში გამგებლების გადადგომის ტრადიცია გრძელდება. რევოლუციის შემდეგ თანამდებობა დატოვა ქობულეთის უკვე მეხუთე გამგებელმა სოსო ქათამაძემ. იგი ამ თანამდებობაზე ერთი თვის წინ, აჭარის უმაღლესი საბჭოდან წავიდა.*

ემზარ დიასამიძე
*ბათუმიდან*

როგორც თავად ქათამაძე აცხადებს, მას გადადგომის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ძალზე გაუჭირდა: **„მე ამავდროულად პარტიის რაიონულ ორგანიზაციასაც ვხელმძღვანელობდი, ვიყავი დეპუტატიც. ერთდროულად რამდენიმე თანამდებობაზე აღმოვჩნდი... ყველას გაუკვირდა ჩემი იქ წასვლა და მთხოვდნენ, რომ ისევ დეპუტატად დავბრუნებულიყავი. მეც ამაზე ვფიქრობდი და, პრინციპში, ამან მიმაღებინა გადაწყვეტილება. მე გუნდის წევრი ვარ და გუნდის ინტერესებს ვიცავ ყოველთვის**“.

აჭარის მთავრობის აპარატის უფროსი ოთარ დიასამიძე ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარისაგან თავს იკავებს და მთავრობის თავმჯდომარის საფრანგეთიდან დაბრუნებას ელოდება.

აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრის, რესპუბლიკელი მურმან დუმბაძის განცხადებით კი, ქათამაძეს გამგებლად წასვლის სურვილი თავიდანვე არ ჰქონდა: **„აშკარაა, რომ იგი ლევან ვარშალომიძის ინტერესების წინააღმდეგ წავიდა. გამგებლის თანამდებობა დღეს გასაფუჭებელი ადგილია. ქათამაძე ზურაბ ნოღაიდელის კადრია. ახლა საინტერესო იქნება შემდეგი ფაქტი - ვარშალომიძეს მისი მოწინააღმდეგე კადრი არც უმაღლეს საბჭოში აწყობს. ამიტომაც არ გამოვრიცხავ, რომ ამ დღეებში რიგგარეშე სესია მოიწვიონ და ქათამაძეს უფლებამოსილება მაინც მოუხსნან**“.

ქათამაძის გადადგომასთან დაკავშირებით საკუთარ ვერსიას ავრცელებს „ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია“. მან ქობულეთის გამგეობა საპრივატიზაციო კონკურსის კორუფციული გარიგებით ჩატარებაში ამხილა. ორგანიზაციის წევრის, მერაბ ოსანაძის განცხადებით, კომისიას, როგორც წესი, გამგებელი ხელმძღვანელობდა: **„კორუფციულ გარიგებაში მის მოადგილეს, თენგიზ ზოიძეს უნდა მიეღო მონაწილეობა, რადგან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესყიდვის კონკურსში კანონი მისი მოგვარის სასარგებლოდ დაირღვა. ჩვენ ქათამაძეს ვურჩიეთ, რომ არ მიეღო ასეთ გარიგებებში მონაწილეობა და, ეტყობა, მან ეს გაითვალისწინა**“.

# აფხაზეთის სარკინიგზო მონაკვეთის აღდგენა ძვირი „სიამოვნებაა“

*პირველი გვერდიდან*

მანამდე კი, 2005 წლის მაისში რუსეთის, საქართველოს, სომხეთისა და აფხაზეთის რკინიგზელთა ოთხმრივ შეხვედრაზე მხარეები სოჭი-ინგირის სარკინიგზო მონაკვეთის აღსადგენად საერთაშორისო კორსორციუმის („შავი ზღვის რკინიგზა“) შექმნის შესახებ შეთანხმდნენ, რომელიც რუსეთმა, საქართველომ, სომხეთმა და აფხაზეთმა ერთობლივად დააფუძნეს.

ირაკლი ეზუგბაიას აზრით, აფხაზეთის სარკინიგზო მონაკვეთის აღდგენა კონსორციუმს 250 მილიონ დოლარამდე დაუჯდება. **„მე რამდენჯერმე მოვინახულე ეს მონაკვეთი. რკინიგზის ტექნიკური მდგომარეობა ძალზე რთულია. რკინიგზის გალის მონაკვეთი, ფაქტობრივად, აღარ არსებობს. ოჩამჩირის მონაკვეთი კი მეტ-ნაკლებად ნორმალურ მდგომარეობაშია,“** - განაცხადა ეზუგბაიამ.



*ეზუგბაიას თქმით, დასამალი არაფერია, თუმცა, მაინც ჯობია საკითხი სამუშაო რეჟიმში იყოს განხილული.*

როგორც ირკვევა, რუსეთ-საქართველოს დამაკავშირებელი რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთზე აღდგენითი სამუშაოები მიმდინარე წელს დაიწყება. წელსვე, საქმიანი წრეების მონაწილეობით, შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც აფხაზეთის რკინიგზის აღდგენის ბიზნეს-გეგმას შეიმუშავებს. აგრეთვე შეიქმნება კომპანია, რომელიც აღნიშნული მონაკვეთის მართვას განახორციელებს.

# სასერტიფიკაციო გამოცდები ექიმებისთვის

*ყველა ექიმს, ვისაც სერტიფიკატი 1999 წლამდე აქვს მიღებული, სასერტიფიკაციო გამოცდების ჩაბარება მოუწევს. სერტიფიცირება უნდა გაიაროს ყველა იმ ექიმმაც, რომელსაც აქამდე არ მიუღია სერტიფიკატი და დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სურვილი აქვს.*

თამარ დვალი

ბოლო პერიოდში სამედიცინო სფეროში გახშირებული ინციდენტების შემდეგ, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ვლადიმერ ჭიპაშვილი ექიმთა სერტიფიცირების პროცესს იწყებს. ცოტა ხნის წინ ჯანდაცვის მინისტრმა რამდენიმე ექიმის თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხი დააყენა. დღეს ჭიპაშვილი მიიჩნევს, რომ მხოლოდ ექიმების გათავისუფლება სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს. პრობლემების მოსაგვარებლად, საჭიროა ექიმებმა სასერტიფიკაციო გამოცდები ჩააბარონ, **„მათ უნდა დაამტკიცონ, რომ მზად არიან, მაღალ დონეზე მოემსახურონ ავადმყოფებს,“** - აღნიშნა ჭიპაშვილმა.

განაცხადების მიღება უკვე დაიწყო. საბუთების მიღება ივნისის ბოლომდე გაგრძელდება, გამოცდები კი, 10 ივლისიდან დაიწყება. ამიერიდან ექიმებს საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარება ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ მოუწევთ.

**„თუკი ექიმების კვალიფიკაციის მუდმივი სრულყოფისა და ამაღლებისთვის ერთიანი სისტემა არ შევქმენით, მხოლოდ ექიმების დასჯა ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, შედეგს ვერ გამოიღებს,“** - განაცხადა ჭიპაშვილმა. მისივე თქმით, გამოცდების ჩაბარების მსურველი ბევრია, მათი უმრავლესობა კი, ახალკურსდამთავრებულები არიან.

ექიმთა სერტიფიცირების პროცესს წელს პირველად ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო ჩაატარებს. მანამდე ეს ფუნქცია სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის კომპეტენციაში შედიოდა.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ლადო ჭიპაშვილის თქმით, იგი პირადად მიადევნებს თვალყურს ექიმთა სასერტიფიკაციო გამოცდებს. როგორც მინისტრი ვარაუდობს, გამოცდების შემდეგ, მედიცინის რიგებს ბევრი ახალკურსდამთავრებული შეემატება.

**„სერტიფიცირება უნდა გაიაროს ყველა იმ ექიმმა, რომელსაც აქამდე არ მიუღია სერტიფიკატი და დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სურვილი აქვს. სერტიფიცირება ასევე უნდა გაიარონ იმ ექიმებმაც, რომელთაც სერტიფიკატი 1999 წლამდე ჰქონდათ“,** - განაცხადა სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსმა გია თვალავაძემ.

საქართველოში სულ 46 ათასი ექიმია. როგორც მედიკოსთა ნაწილი მიიჩნევს, პაციენტები ექიმის გამო ყველა დროში იღუპებოდნენ, მაგრამ მხოლოდ ბოლო ათწლეულია, რაც ამას უბედური შემთხვევის ნაცვლად, დანაშაულს უწოდებენ. ამ საკითხზე პირველი მნიშვნელოვანი პუბლიკაცია რობერტ ფერნერიმ „british medical journal“-ში დაბეჭდა. ავტორის გამოკვლევის მიხედვით, 70-80-იან წლებში მხოლოდ სამ ექიმს წაუყენეს ბრალად პაციენტის სიკვდილი, ხოლო 90-იან წლებში ასეთმა შემთხვევებმა ბევრად იმატა. როგორც ფერნერის გამოკვლევებმა გვიჩვენა, სასიკვდილო შეცდომათა უმრავლესობას სჩადიან არა ქირურგები, არამედ ანესთეზიოლოგები და თერაპევტები.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დოცენტის აკაკი ბაქრაძის აზრით, იგივე სიტუაციაა საქართველოშიც. მისი თქმით, სამედიცინო საზოგადოება მზად უნდა იყოს მოსალოდნელი ცვლილებებისთვის.

**„ვთვლი, რომ ექიმის ყოველი ქმედება იურიდიულად გამართული უნდა იყოს. საჭიროა დაინერგოს სამედიცინო შეცდომის დაზღვევა. შეცდომის საზღაური თავისთავად გამოიწვევს ექიმის პროფესიული დონის სრულყოფას. რაც შეეხება ექიმისადმი პაციენტის ნდობის დაკარგვას, ვფიქრობ ამას გლობალური ხასიათი არ ექნება. ექიმები უნდა შევეგუოთ იმას, რომ მასმედია ძირითადად სამედიცინო საქმიანობის ნეგატიურ მხარეზე იქნება აქცენტირებული,“** - განაცხადა აკაკი ბაქრაძემ.

მედიკოსთა დიდი ნაწილი დადებითად შეხვდა სასერტიფიკაციო გამოცდების დაწყებას. მათი აზრით, ეს ექიმთა იმიჯის დაბრუნებასაც შეუწყობს ხელს.

# ცესკო მარკირებისთვის სითხეს ეძებს

*ცენტრალური საარჩევნო კომისია მარკირებისთვის ისეთი სითხის ძებნას განაგრძობს, რომლის სწრაფად მოშორება შეუძლებელი იქნება. ცესკო-ს თავმჯდომარის განაცხადებით, ჯერ მოსაწონი სითხე ვერ იშოვეს.*

ნათია მსხილაძე

აპრილის მიწურულს, ოპოზიციურმა პარტიებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისია მარკირების პროცედურის გაუქმებას მოითხოვს. ამ თემას, რა თქმა უნდა, ცესკო-ს თავმჯდომარე გურამ ჩალაგაშვილი გამოეხმაურა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მარკირების პროცედურის გაუქმება ცესკო-ს გადასაწყვეტი არ არის. შეგახსენებთ, რომ კანონში ცვლილებების შეტანა საქართველოს პარლამენტის პრეროგატივაა. შესაბამისად, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მხრიდან მსგავსი განცხადების გაკეთება არალოგიკურიც იქნებოდა.

ჩალაგაშვილის განმარტებით, წინა არჩევნებზე გამოყენებული მარკირების სითხის მოშორება დღეისთვის უკვე პრობლემას არ წარმოადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული სითხის გამოყენება მიზანშეუწონელია. არადა, არსებული კანონმდებლობით, მარკირების პროცედურის ჩატარება აუცილებელია. ამასვე მოითხოვენ საერთაშორისო ორგანიზაციები. აქედან გამომდინარე, ცენტრალური საარჩევნო კომისია ვალდებულია, მარკირების ის სითხე იშოვოს, რომლის თითიდან მოშორება გარკვეული დროის განმავლობაში შეუძლებელი იქნება.

ამასობაში, ცესკო-ს ბრიტანული ორგანიზაცია „ლანთერეიდ გლობალ სალფლაისი“ გამოეხმაურა და სითხეც გამოაგზავნა, თუმცა, ექსპერიმენტის შედეგად, ეს სითხეც არ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს.

როგორც ცესკო-ში განგვიცხადეს, არსებული მარკირების სითხე, კალიუმის მიქრომატით შორდება, რომელიც აფთიაქებში დაახლოებით 50 თეთრი ღირს. ამის შემდეგ, არასამთავრობო სექტორის მხრიდან მარკირების პროცესის საერთოდ გაუქმების საკითხი დადგა, თუმცა ჩალაგაშვილის თქმით, მარკირება ეუთო-ს ერთ-ერთი რეკომენდაციაა.

# ერის მოქცევის დღესასწაული

საქართველოში ერის მოქცევის დღესასწაულის ტრადიცია აღდგა. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებიდან, ყოველ 5 ივნისს ქვეყანაში ივერიის ნათლობას ზეიმობდნენ. ათეისტურ ხანაში მივიწყებული ტრადიცია სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერში განახლდა. ბოლო წლებიდან დღესასწაულს აქ განსაკუთრებული პატივით აღნიშნავენ. წელსაც ამ დღეს საზეიმო წირვა-ლოცვა შესრულდება სამთავროს ფერისცვალების ტაძარში, იქ, სადაც ივერიის პირველი ქრისტიანი გვირგვინოსნების წმიდა მეფე მირიანისა და წმინა დედოფალ ნანას საფლავებია.

*24 საათი*

# „თავისუფალი სიტყვა“

**გადაცემა გადის რადიო „უცნობის“ ეთერში ყოველი სამუშაო დღის 13 საათზე. გადაცემას უძღვება ჟურნალისტი ეკა ხოფერია. სტუდიის სტუმარია პარლამენტარი ლევან ბერძენიშვილი.**

**ეკა ხოფერია:** რატომ მოსწონს საზოგადოების გარკვეულ ნაწილს იგორ გიორგაძე?

ლევან ბერძენიშვილი: პატრიოტულად განწყობილი საზოგადოებიდან არავის არ მოსწონს იგორ გიორგაძე. გიორგაძე და მისი უცნაური ყაიდის დროშები მოსწონთ ადამიანებს, რომელთაც ამ საქმეში ფულს უხდიან. ამას ვამბობ ძალიან გულწრფელად და ასი პროცენტით.

**ე.ხ.** როგორ ფიქრობთ, მოწონების სხვა მოტივაცია რომ იყოს შეუძლებელია? თქვენ უყურებთ იმ ადამიანებს, ვინც აქციაზე დადის, რას ფიქრობთ ამაზე?

**ლ.ბ**. არა მარტო იმ ხალხს ვუყურებ, ვინც დადის აქციაზე, არამედ მათაც, ვისაც საზოგადოება იგორ გიორგაძემდეც კარგად იცნობდა. ეს ხალხი რომელიც აქციაზე დგას, ამბობს იმას, რომ ჩამოვა იგორი და ყველაფერი კარგად იქნება. თუმცა, კონკრეტულად რას აპირებს, მემარჯვენე იქნება თუ მემარცხენე, შეამცირებს თუ გაზრდის გადასახადებს, საქართველოს როგორ მოაწყობს, ადგილობრივ თვითმმართველობაზე რას ფიქრობს? მის მომხრეებში ვერ ვნახე ადამიანი, რომელსაც აინტერესებს იგორ გიორგაძის დოქტრინა.

**ე.ხ.** დოქტრინა ის ხომ არ არის, რომ საქართველო რუსეთთან ურთიერთობას დაალაგებს?

**ლ.ბ.** გასაგებია, რომ საქართველო იგორ გიორგაძის შემთხვევაში დაალაგებს ურთიერთობას რუსეთთან, რუსეთი ბელორუსი-საქართველოს კავშირს შექმნის და ყველაფერი იქნება კარგად. მაგრამ, ამ ხალხის მისამართით კითხვები გვიჩნდება, რუსეთში რომ არ არის ყველაფერი კარგად, საქართველოს საქმე როგორ იქნება? საქართველოს დალაგების შემთხვევაში ჭიათურაში აღდგება წარმოება? ასე შორს იგორ გიორგაძის არც ერთი მომხრე არ მიდის. ისინი ამბობენ, რომ იგორი კარგია. ვინაიდან მათ აქვთ უფლება და საშუალება ხელი მოჰკიდონ კრიტიკულ თემებს, მათ ასევე აქვთ საშუალება, ხელისუფლებას მისცენ იმის კომფორტი, რომ ამ თემებით ხელისუფლებას ედავება არა საზოგადოება, არამედ რუსეთი. სანდრო გირგვლიანის მკვლელობა თითქოს რუსეთის და ოპოზიციის იმ ნაწილის სადარდებელია, რომელიც აგენტურითაა სავსე. ხელისუფლება და გიორგაძე ურთიერთობის ძალიან იოლი მოდელია - კარგი ხელისუფლება და ცუდი გიორგაძე. ამ მოდელში შეიძლება კარგი ოპოზიცია ვერ ჩაეწეროს და ამიტომ გაუჩნდა ოპოზიციას სამართლიანი მოსაზრება, რომ ეს წამოწყებული თამაშია. თუმცა მე სულაც არ ვფიქრობ, რომ გიორგაძე და სააკაშვილი შეხვდნენ ერთმანეთს და დახაზეს ნახაზი. „ფე-ეს-ბეს“ ნაბიჯები იმდენად მარტივი გახდა, რომ იოლი გასათვლელია.

ახლა როგორ მოიქცევა გიორგაძე, ვთქვათ, კოკო გამსახურდია ატარებს მიტინგს ზუგდიდში, იგორ გიორგაძეც ჩაატარებს. მერე ხელისუფლება იტყვის, რომ დამთხვევაა, თან მიანიშნებს, რომ მოულოდნელად არაფერი არ ხდება.

**ე.ხ.** ასეთ შემთხვევაში გიორგაძის სამიზნე რა არის, ოპოზიციის დისკრედიტაცია თუ... ?

**ლ.ბ.** გიორგაძის სამიზნეა, აჰყვეს ხელისუფლებას თამაშში და გახდეს მთავარი ოპოზიცია. რუსეთში, სერიოზულ საიტებზე გიორგაზე მოხსენიებულია, ქართული ოპოზიციის ლიდერად. მაგრამ რუსეთში არ იციან, რომ იგორ გიორგაძე საქართველოში არის ნული. ყველა გამოკვლევამ აჩვენა, რომ ყველაზე ნაკლებად სანდო კაცი არის იგორ გიორგაძე. მადლობელი ვარ ჩვენი საზოგადოების, რომ ეს კაცი, როგორც საბჭოთა უშიშროების კადრი, მათი ნდობით არ სარგებლობს.

**ე.ხ.** ზეპირ განცხადებეში დავით გამყრელიძემ იგორ გიორგაძე ბინ ლადენს შეადარა. იქვე ისიც იყო აღნიშნული, რომ არსებობს ეჭვები, როგორც კი ეჭვების საფუძველი გვექნება, საზოგადოებას ვამცნობთო, თქვეს ოპოზიციურმა პარტიებმა. ხელისუფლების რომელი ქმედებაა საეჭვო?

**ლ.ბ.** ეს არის პატარა ბინ ლადენი. იგორ გიორგაძე არის წარუმატებელი ტერაქტის ავტორი. წარუმატებელი ტერაქტი მეტყველებს მის კვალიფიკაციაზე. იგორ გიორგაძე ცუდი ჩეკისტი იყო, რის შემდეგაც ტერორისტი გახდა, ამ აზრზე საზოგადეობა ერთსულოვანია. ამ კაცის ორგანიზაციები საქართველოში თავისუფლად არსებობენ, ეს, რა თქმა უნდა, იწვევს კითხვებს. საინტერესოა, როგორ გაიარეს ამ ორგანიზაციებმა რეგისტრაცია? ამ თვალსაზრისით არის თუ არა დაცული საქართველოს კანონები? რომ ამბობენ, კომისია შევქმნათო, კომისიის შექმნამდე ხომ არ დაინტერესდებოდნენ, იგორ გიორგაძემ როგორ შეიძლება შექმნას ფონდი, რა თანხები წარმოადგინა, საინტერესოა ამ თანხების წარმომავლობა და სხვა.

ხელისუფლებას შეეშინდა, რომ იგორ გიორგაძის პარტიასთან მყარი პოზიციის გამოხატვით, არ წასვლოდა ლიბერალი ხელისუფლების იმიჯი. ხელისუფლება არ შეუშინდა ეკლესიის ნგრევას, და რატომღაც გიორგაძის უმწიკვლო სახელის შებღალვას შეუშინდა.

1 ივნისი
ახალი თაობის კავშირი



1 ივნისი
ბავშვთა დაცვის დღეა

მაგთიკომი სარგებლობს შემთხვევით და მიესალმება
საქართველოს ბავშვებისა და მათი მშობლების
მისწრაფებებს, წარმატებებს, ოცნებებსა და იმედებს.
მომავალი იწყება დღეს.

25 11 11 25 00 00 525
www.magtigsm.ge
მაგთი MAGTI
GSM

## მოკლედ

### პრემიერ-მინისტრი რწმუნებულებს შეხვდა

რეგიონული საინვესტიციო პროგრამების განხორციელების განხილვის მიზნით, გუშინ პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა სახელმწიფო კანცელარიაში პრეზიდენტის რწმუნებულები დაიბარა.

როგორც პრემიერ-მინისტრმა გამართულ შეხვედრაზე განაცხადა, აუცილებელია, რომ აღნიშნული პროექტები სწრაფად განხორციელდეს, რადგან ეს ძალზე მნიშვნელოვანია რეგიონების განვითარებისთვის. 2006 წელს საინვესტიციო პროგრამების დასაფინანსებლად ნახევარი მილიარდი ლარია გათვალისწინებული. აქედან 100-მილიონ ლარს მსოფლიო ბანკი და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები გამოყოფენ. ნაწილი კი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდება. პრემიერ-მინისტრის ინფორმაციით, დაახლოებით 350 სკოლის რეაბილიტაციისთვის გათვალისწინებულია - 80 მილიონი ლარის, ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაციისთვის - 40 მილიონი ლარის, ხოლო საავტომობილო მაგისტრალებისა და ადგილობრივი გზების აღსადგენად - 200 მილიონი ლარის დახარჯვა. პრემიერის განცხადებით, საინვესტიციო პროგრამების განხორციელების მიმდინარეობას იგი პირადად, ადგილზე გაეცნობა. **ინტერპრესნიუსი**

### ახალქალაქის ბაზას კიდევ ერთი ეშელონი ტოვებს

გუშინ დილით წალკიდან რუსეთის ფედერაციის მიმართულებით კიდევ ერთი ეშელონი გავიდა. ვაგონებში ახალქალაქის რუსული სამხედრო ბაზიდან გამოტანილი ტექნიკა იყო ჩატვირთული. ამ ეტაპზე საქართველოდან 15 ერთეული სამხედრო თვითმავალი საარტილერიო დანადგარი გავიდა.

საქართველოდან რუსული სამხედრო ტექნიკის გაყვანის პროცესს ერთობლივი კომისია აკონტროლებს. რუსულ სამხედრო ტექნიკას წალკიდან ხვალაც გაიტანენ. ტექნიკა გავა ბათუმიდანაც. ეშელონის დატვირთვა დაწყებულია და იგი საქართველოს ტერიტორიას 1 ივნისს დატოვებს. **მედიანიუსი**

### აშშ-ს ფინანსთა ახალი მინისტრი ეყოლება

ჯორჯ ბუშმა აშშ-ის ფინანსთა მინისტრის გადადგომის შესახებ განცხადება გააკეთა. აშშ-ის პრეზიდენტმა ჯონ სნოუს გადადგომის შესახებ თეთრი სახლის ვარდისფერ ბაღში გამართულ ცერემონიაზე განაცხადა. მისი თქმით, ვაკანტურ პოსტზე შესაძლო კანდიდატად Goldman Sachs-ის ხელმძღვანელი, 60 წლის ჰენრი პოლსონი განიხილება.

ჰენრი პოლსონი „იქნება ფინანსთა გამოჩენილი მინისტრი და მე მოვუწოდებ სენატს მალე დაამტკიცოს იგი“ - განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა. ჯონ სნოუ აშშ-ის ფინანსთა უწყებას 2003 წლის თებერვალიდან ხელმძღვანელობს. ხმები მისი გადადგომის შესახებ 2006 წლის აპრილიდან დადის. **ინტერპრესნიუსი**

### „საუკუნის პროცესი“ სეულში

სეულში გამართულ სასამართლო პროცესს „საუკუნის პროცესი“ უწოდეს. საქმე კორპორაცია „დეუს“ ხელმძღვანელ კიმ უ ჩუნის პროცესს ეხება. მას ბრალი ფინანსურ მაქინაციებსა და კრედიტორების მოტყუებაში ედება. საქმე თითქმის ათი წლის წინანდელ მოვლენებს უკავშირდება. 1997 წელს არსებული ფინანსური კრიზისის გამო კორპორაცია „დეუ“ გაკოტრებულად გამოცხადდა. კორპორაციის ხელმძღვანელი რამდენიმე წელი საზღვარგარეთ იმალებოდა, თუმცა ერთი წლის წინ ის სამშობლოში ნებაყოფლობით დაბრუნდა. კიმ უ ჩუნს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა და სამხრეთ კორეისთვის უპრეცედენტო ჯარიმა, 22 მილიარდი დოლარის გადახდა შეეფარდა. **ინტერპრესნიუსი**

### ერაყში ჟურნალისტები იღუპებიან

ბაღდადში „სი-ბი-ეს“-ის ჟურნალისტები დაიღუპნენ. ორი ბრიტანელი ჟურნალისტი, რომელიც ამერიკულ ტელეკომპანია „სი-ბი-ეს“-ში მუშაობდა, დაიღუპა, ერთმა კი მძიმე ჭრილობა მიიღო.

ავტომობილი, რომელშიც ჟურნალისტები ისხდნენ, ნაღმზე აფეთქდა. ოპერატორი პოლ დუგლასი და ხმის ოპერატორი ჯეიმს ბროლანი დაიღუპნენ, კორესპონდენტი კიმბერლი დოზიერი მძიმედ დაიჭრა. დუგლასი ტელეკომპანიის ვეტერანი იყო. 1990 წლიდან იგი სამხედრო მოქმედებების ზონებში - ბოსნიაში, ავღანეთში მუშაობდა. ბროლანი ტელეკომპანიის უშტატო თანამშრომელი იყო და ერთ წელზე მეტი ავღანეთსა და ირანში მუშაობდა.

დოზიერი, რომელიც თითქმის სამი წელი ამზადებდა რეპორტაჟებს ერაყიდან, მძიმე მდგომარეობაში ამჟამად ბაღდადის საავადმყოფოში იმყოფება.

გადამღები ჯგუფი ბაღდადში ლონდონიდან ჩავიდა. ერაყის დედაქალაქში ჟურნალისტები სიუჟეტს სამხედრო პატრულთან და აშშ-ს ფეხოსნებთან ერთად გადაადგილებისას იღებდნენ. აფეთქებისას ასევე დაიღუპა ამერიკელი ოფიცერი და ერაყელი თარჯიმანი.

ამერიკელ სამხედროთა თქმით, აფეთქების მომენტში ჟურნალისტები დაჯავშნულ ავტომანქანასთან სიუჟეტს იღებდნენ.

ერაყი ჟურნალისტების საქმიანობისათვის ყველაზე სახიფათო ქვეყნად ითვლება. 2003 წლიდან ამ ქვეყანაში 100 ჟურნალისტი დაიღუპა. მიმდინარე წელს დაიღუპა 20 ადამიანი. ბოევიკთა გააქტიურების შედეგად ერაყში ორშაბათს 50-მდე ადამიანი დაიღუპა. **ინტერპრესნიუსი**

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი

# ომი ნოტებით

პირველი გვერდიდან

**„აქვე დავძენთ, რომ საქართველოს მხარის არაერთი შეთავაზების მიუხედავად, რუსეთის მხარე თავს იკავებს დაიწყოს მოლაპარაკება საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ რუს მშვიდობისმყოფელთა სავიზო უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით“**, - ნათქვამია განცხადებაში.

საგარეო საქმეთა სამინისტრო რუსეთის მხარის ამგვარ ქმედებას განიხილავს როგორც **„უპატივცემულობის მორიგ გამოხატულებას ორი სახელმწიფოს ურთიერთობებსა და სამშვიდობო პროცესში მოქმედი მექანიზმების მიმართ“**.

გუშინვე საგარეო საქმეთა სამინისტროში საქართველოში რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ვლადიმერ ჩხიკვიშვილი დაიბარეს, რომელსაც საპროტესტო ნოტა გადაეცა.

იმავდროულად, საქართველოს ელჩი რუსეთში ირაკლი ჩუბინიშვილი რუსეთის საგარეო უწყებამ იგივე მიზნით დაიბარა. მას გააცნეს განცხადების შინაარსი, რომელიც ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში საქართველოს მოქმედებებს ეხება. მოსკოვის განცხადებით, ოფიციალურმა თბილისმა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სპეცდანიშნულების რაზმი ყველა შეთანხმების დარღვევით შეიყვანა. **„კონფლიქტის ზონაში ძალიან დაძაბული ვითარება შეიქმნა“**, - ნათქვამია განცხადებაში.

**„რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ფლობს ინფორმაციას, რომ 27 მაისს კონფლიქტის ზონაში უეცრად იქნა შეყვანილი საქართველოს სპეციალური დანაყოფები“**, - განაცხადა გუშინ რუსეთის საგარეო უწყების წარმომადგენელმა მიხაილ კამინინმა. მისი თქმით, ამის შედეგად ბლოკირებული იყვნენ სამშვიდობო ძალები. **„მხოლოდ რუსი მშვიდობისმყოფელების მოთმინების წყალობით გახდა შესაძლებელი სცენარის უარესი განვითარებისა და სისხლისღვრის თავიდან აცილება“**, - განაცხადა კამინინმა.

მან ასევე აღნიშნა, რომ რუსეთი შეშფოთებას გამოხატავს შექმნილი სიტუაციის გამო და აფრთხილებს საქართველოს, რომ პასუხისმგებლობა ყველა ანალოგიურ მოქმედებაზე, რომელიც კონფლიქტის ზონაში დაძაბულობის ესკალაციისაკენ იქნება მიმართული, ქართულ მხარეს ეკისრება.


საქართველოს საგარეო უწყება რუსი კოლეგების მიერ მოყვანილ ფაქტებს უარყოფს და კონტრბრალდებებს უყენებს.

თავის მხრივ, საქართველოს საგარეო უწყებამ უარყო რუსი კოლეგების მიერ მოყვანილი ფაქტები. **„პოლიციურმა ძალებმა, რომლებიც არსებული შეთანხმებების საფუძველზე დაკომპლექტებულია ადგილობრივი მოსახლეობით, იმოქმედა კანონის შესაბამისად და გააკეთა ყველაფერი, რათა არ მომხდარიყო კონფლიქტის ზონაში არსებული მდგომარეობის ესკალაცია, ხოლო ქართული პოლიციის დადანაშაულება სამშვიდობო ძალების საგუშაგოების ბლოკირებასთან დაკავშირებით, ყოვლად უსაფუძვლოა“**, - ნათქვამია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხში.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მიზანშეწონილად მიიჩნევს, გადაუდებლად დაიწყოს მუშაობა ერთობლივი საპოლიციო ცენტრის ამოქმედების მიზნით, „რათა მომავალში თავიდან იქნეს აცილებული ანალოგიური სახის ინციდენტები“.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოგვარების საკითხებში გიორგი ხაინდრავა რუსეთის საგარეო უწყების განცხადებას „მტკნარ სიცრუეს“ უწოდებს. მისი განმარტებით, სპეცდანიშნულების რაზმების კონფლიქტის ზონაში შეყვანა გამორიცხულია, რადგან მათ სამშვიდობოების ბლოკ-საგუშაგოები უნდა გაევლოთ.

სახელმწიფო მინისტრის თქმით, ქართული მხარის არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, რუსულ სამშვიდობო ნაწილებში როტაცია მაინც დაიწყო, რაც აშკარა კანონდარღვევა და საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ რუსი სამშვიდობოების მხრიდან ძალის დემონსტრირებაა.

ყველაზე მკაცრი შეფასება რუსული სამშვიდობო ძალების მიერ განხორციელებული როტაციის მიმართ გუშინ საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ გამოთქვა. **„რუსების ქმედებით დაირღვა რუსეთ-საქართველოს შორის მოქმედი სავიზო და სასაზღვრო რეჟიმი, რაც არის სისხლის სამართლის დანაშაული. შესაბამისად, ყველა ეგრეთწოდებული რუსი მშვიდობისმყოფელი, რომელსაც არ გააჩნია საქართველოს ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების მიერ გაცემული ვიზა, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად წარმოადგენს სისხლის სამართლის დამნაშავეს“**, - ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

**„აღნიშნული ქმედებით რუსეთის მხარემ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ის ხელს უშლის ცხინვალის რეგიონის კონფლიქტთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების სამშვიდობო ინიციატივებს“**, - მიაჩნიათ თავდაცვის სამინისტროში.

# ევროსასამართლომ აშშ-ევროკავშირის შეთანხმება დაბლოკა

პირველი გვერდიდან

სამშაბათს, ლუქსემბურგში განთავსებულმა ევროსასამართლომ განაცხადა, რომ ევროპის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება „მგზავრთა მონაცემების აღრიცხვის“ შეთანხმების ძალაში შესვლის შესახებ მოკლებულია სამართლებრივ ბაზას. **„შესაბამისად, ევროპის სასამართლომ ანულირება გაუკეთა საბჭოს გადაწყვეტილებას შეთანხმების ძალაში შესვლის შესახებ,**“ - განაცხადა სასამართლოს პრესცენტრის წარმომადგენელმა, თუმცა სასამართლომ ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოებს 2006 წლის 30 სექტემრამდე მისცა ვადა, რომ მათ ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლისათვის უფრო ობიექტური, რეალური და ლეგალური არგუმენტები წარადგინონ.

ევროსასამართლოს განცხადებით, აშშ-ს სახელმწიფოსათვის მგზავრთა შესახებ მონაცემების მიწოდება შესაძლოა გაგრძელდეს სექტემბრამდე, ხოლო ამის შემდეგ, თუ ევროკომისია ამგვარი ქმედებისათვის სამართლებრივად უფრო მყარ არგუმენტებს არ მოიტანს, მაშინ შესაძლოა ამერიკის მიმართულებით მოგზაურნი გახდნენ ხანგრძლივი ჩხრეკის ობიექტები, რაც, რა თქმა უნდა, მგზავრებისათვის მეტად არასასიამოვნო და არასასურველია.

არის იმის საშიშროებაც, რომ ის ავიაკომპანიები, რომლებიც მგზავრთა შესახებ დეტალური ინფორმაციის გადაცემას დაიწყებენ აშშ-შ სახელმწიფოსათვის, მგზავრებს დაკარგავენ, რაც მათ ეკონომიკურ მდგომარეობას გააუარესებს, თუმცა ზარალი ალბათ გარდაუვალია, რადგან, მეორე მხრივ, ამგვარი შეთანხმების „ჩაგდების“ შემთხვევაში, აშშ-ს ხელისუფლება ამ ავიაკომპანიებს მკაცრი ზომების მიღებით ემუქრება, რომელიც ერთ მგზავრზე 6 000 ამერიკულ დოლარამდე ჯარიმას ითვალისწინებს.

ევროპარლამენტი მიიჩნევს, რომ მგზავრთა დეტალური მონაცემების გადაცემა აშშ-ს ხელისუფლებისათვის ამ უკანასკნელის მიერ შესაძლოა გამოყენებულ იქნეს არა მარტო ტერორიზმთან ბრძოლის საკითხში, არამედ სხვა მიზნებისათვისაც.

აღსანიშნავია, რომ ევროსასამართლოს ამგვარი განცხადებით ევროპის მონაცემთა დაცვის სამსახურის ზედამხედველმა მიმართა, რა თქმა უნდა, პარლამენტის მხარდაჭერით. სასამართლომ განაცხადა, რომ ეს ზედამხედველის მიერ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებებში ასეთი სერიოზული ჩარევის პირველი შემთხვევაა.

ევროკავშირი და აშშ კი ჯიუტად მოითხოვენ შეთანხმების ძალაში შესვლას. მათი მთავარი არგუმენტი არის ის, რომ ამგვარი ხელშეკრულების არსებობა ხელს შეუწყობს ტერორიზმის და სხვა მძიმე დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლას.

დოკუმენტი, რომელიც ამ შეთანხმების იმპლემენტაციას ითვალისწინებს, აშშ-სა და ევროპის წარმომადგენლების მიერ გასულ წელს იქნა ხელმოწერილი, თუმცა ხელშეკრულების დეტალები საჯარო არ არის და კონფიდენციალურ ინფორმაციას წარმოადგენს.

# გაწევრიანებისკენ

პირველი გვერდიდან

პარიზში ვიზიტით მყოფი საქართველოს პრეზიდენტი ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეაზე სიტყვით გამოვიდა. პრეზიდენტის 20-წუთიანი მიმართვა ფრანგულად დაიწყო და ინგლისურად გაგრძელდა. სააკაშვილმა ხაზი გაუსვა იმას, რომ საქართველო დემოკრატიული მეზობლებისაგან არაფრით განსხვავდება. საქართველოს პრეზიდენტი პირობას დებს, რომ საქართველო ნატო-სთვის რეგიონში საიმედო პარტნიორი იქნება.

„დეკლარაცია ნატო-სთან საქართველოს ურთიერთობების შესახებ“ გუშინ ერთხმად მიიღეს და ტაშითაც დააჯილდოვეს. როგორც პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელის მოადგილე ნიკა რურუა აღნიშნავს, საქართველოს ნატო-ში მოწინააღმდეგეებიც ჰყავდა, თუმცა ეს წინააღმდეგობა გადალახულია.

**„ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეა საქართველოში მიღწეულ წარმატებებზე საუბრობს,“** - განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ბარამიძემ.

საქართველოს მიერ ინდივიდიუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმით (IPAP) მიღწეულ წარმატებებს დეკლარაციის ცალკე პუნქტი აღნიშნავს.

## დეკლარაცია საქართველო-ნატო-ს ურთიერთობების შესახებ

**მიღებულია ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის პლენარულ სხდომაზე**
**30 მაისი, 2006 წელი, პარიზი**

**ასამბლეა,**

1. ხაზს უსვამს რა, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სრული ინტეგრაციისთვის საქართველოს მნიშვნელოვან ძალისხმევას 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და უსაფრთხოების სფეროებში განხორციელებული რეფორმების თვალსაზრისით;
2. აღიარებს რა, რომ ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივა არის მნიშვნელოვანი სტიმული აღნიშნული რეფორმების განხორციელებისათვის;
3. ხაზს უსვამს რა, რომ ალიანსი ღიაა იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც იზიარებენ მის ფასეულობებსა და პასუხობენ მის სტანდარტებს და რომ მისი გაფართოვება ან ახლო თანამშრომლობა ალიანსთან იყო და არის ევროატლანტიკური სივრცის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მნიშვნელოვანი ფაქტორი;
4. აღიარებს რა, რომ ეკონომიკური, პოლიტიკური და უსაფრთხოების ინსტიტუტების რეფორმა საქართველოში გახლავთ ხანგრძლივი პროცესი და ხელისუფლების მიერ გაწეული ძალისხმევა არის ევროატლანტიკურ ინსტიტუტებში ინტეგრაციისკენ პროგრესული სწრაფვის მნიშვნელოვანი ინდიკატორი;
5. აღიარებს რა, საქართველოს სურვილს, რაც შეიძლება სწრაფად ჩაებას გაწევრიანების სამოქმედო გეგმაში (MAP) და საბოლოოდ გაერთიანდეს ნატო-ში;
6. მიესალმება რა საქართველოს სურვილს თავისი შეიარაღებული ძალებით, ნატო-ს წევრ ქვეყნებთან ერთად, ჩაერთოს რთულ და პოტენციურად სახიფათო სიტუაციებში;
7. აღიარებს რა, იმ მნიშვნელოვან პროგრესს, რომელსაც საქართველომ მიაღწია ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმით (IPAP) დასახული მიზნების განხორციელებაში;
8. გამოხატავს რა, შეშფოთებას იმის თაობაზე, რომ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის რეგიონებში არსებული მოუგვარებელი კონფლიქტები კვლავაც წარმოადგენს რეგიონში დაძაბულობის წყაროს;
9. აღნიშნავს რა, რომ არსებული მოლაპარაკების ფორმატების გათვალისწინებით, რუსეთმა უფრო კონსტრუქციული როლი უნდა ითამაშოს ამ კონფლიქტების მოგვარებაში;
10. მიესალმება რა, ბოლოდროინდელ შეთანხმებებს რუსული ბაზებისა და შეიარაღებული ძალების საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანასთან დაკავშირებით, როგორც პოზიტიურ ნაბიჯს და გამოხატავს რა, ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის სურვილს, შეიტანოს თავისი წვლილი ამ პროცესის საერთაშორისო მონიტორინგში;
11. მოუწოდებს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი სახელმწიფოების მთავრობებს და პარლამენტებს:

ა. რაც შეიძლება მოკლე ვადებში მიიღონ პოზიტიური გადაწყვეტილება საქართველოსთან ინტენსიური დიალოგის დაწყების თაობაზე, სასურველია 2006 წლის ზაფხულისათვის;
ბ. ტექნიკური დახმარება გაუწიონ საქართველოს ევროატლანტიკურ ინსტიტუტებში ინტეგრაციის დაჩქარების მიზნით;
გ. დაეხმარონ ურთიერთმისაღები გადაწყვეტილების პოვნაში იმ კონფლიქტების მოსაგვარებლად, რომლებმაც დააზარალეს მთელი რეგიონი.

დოკუმენტში ასევე ნათქვამია, რომ ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეა შეშფოთებულია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მოუგვარებელი კონფლიქტების გამო, რაც რეგიონში დაძაბულობის საფრთხეს ქმნის.

დეკლარაციაში რუსეთი ორჯერაა ნახსენები. ასამბლეა აღნიშნავს, რომ რუსეთმა უფრო კონსტრუქციული როლი უნდა შეასრულოს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მოგვარების საქმეში.

მეორედ კი რუსეთის ხსენება სამხედრო ბაზებთან დაკავშირებით ხდება. დეკლარაციის ავტორები „პოზიტიურ ნაბიჯად მიიჩნევენ საქართვლოდან რუსეთის ბაზებისა და სამხედრო ძალების გაყვანის შესახებ ბოლო დროს მიღწეულ შეთანხმებებს და კიდევ ერთხელ ადასტურებენ ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის სურვილს, შეასრულოს საერთაშორისო დამკვირვებლის მოვალეობები“.

დეკლარაციის თანახმად, ასამბლეა ასევე მოუწოდებს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრქვეყნებს ტექნიკური მხარდაჭერა აღმოუჩინონ საქართველოს ევროატლანტიკურ ინსტიტუტებთან ინტეგრაციის დასაჩქარებლად; ასევე - „დაეხმარონ ყველა მხარისათვის მისაღები გადაწყვეტილებების პოვნაში მოუგვარებელი კონფლიქტების დარეგულირებასთან დაკავშირებით, რომლებიც ტანჯავს რეგიონს.“

სერიოზული განცხადებებისა და გამოსვლების პარალელურად, ნატო-ს გუშინდელ თავყრილობას არც მხიარულება დაჰკლებია. კონგრესის სასახლის სტუმრების განწყობაზე რუსმა ლიბერალ-დემოკრატმა ვლადიმირ ჟირინოვსკიმ იზრუნა.

საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ გამარჯვებას რუსი პარლამენტარი მისთვის ჩვეული „დახვეწილი“ ორიგინალობით გამოეხმაურა. ჟირინოვსკი განსაკუთრებით მიხეილ სააკაშვილის გამოსვლის შემდეგ გაერთო და საქართველოს პრეზიდენტს „უმკითხავა“ კიდეც. მისი წინასწარმეტყველებით, საქართველო, იუგოსლავიის მსგავსად, ექვს ნაწილად დაიყოფა, ხოლო პრეზიდენტ სააკაშვილის მმართველობის ხანა 2006 წლის 9 სექტემბრამდე გასტანს. „რუსეთი საქართველოსთვის გიორგაძეს ამზადებს,“ - გაამხილა ჟირინოვსკიმ.

„მე ჟირინოვსკი სტრასბურგიდან მახსოვს. ის მაშინ პოლიტიკური შოუების სკანდალური ვარსკვლავი იყო და ასეთად დარჩა, თუმცა, სამწუხაროდ, მისი განცხადებები ხშირად კრემლის პოზიციას ემთხვევა ხოლმე,“ - გაიხსენა ძველი დრო საქართველოს პრეზიდენტმა.

საქართველოს დელეგაცია საქართველოში გუშინვე გამოემგზავრა. ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეაზე მიღებულ საკითხებს კი ოქტომბერში, რიგის სამიტზე ნატო-ს წევრი-ქვეყნების პრეზიდენტების განხილვა ელის.

# შანტაჟის ობიექტი ლუკაშენკოც ხდება

ბელარუსს აიძულებენ ათას კუბურ მეტრ გაზზე 200 დოლარი გადაიხადოს.

სწორედ ამ ფასად მიჰყიდის „გაზპრომი“ ბელარუსს ათას კუბურ მეტრ გაზს, თუ ლუკაშენკო გარკვეულ პირობას არ შეასრულებს - ეს პირობა კი ბელარუსის მაგისტრალური გაზსადენის მფლობელი კომპანიის, „ბელტრანსგაზის“ რუსული ენერგოგიგანტისთვის გადაცემას ითვალისწინებს. შეგახსენებთ, ბელარუსი ჯერჯერობით კიდევ სარგებლობს უპირატესობით და ათას კუბურ მეტრ გაზში მხოლოდ 46,68 დოლარს იხდის.

აღსანიშნავია, რომ უფრო ადრე გავრცელებული ინფორმაციით, „გაზპრომი“ 2007 წლიდან ბელარუსს გაზს 147 დოლარად მიჰყიდდა, თუმცა ახლა უკვე საუბარია გაცილებით მაღალ ტარიფზე.

გაზეთ „კომერსანტს“ „გაზპრომის“ თანამშრომლებმა განუცხადეს, რომ გაზზე ფასის გაზრდა პირდაპირ უკავშირდება 15 მაისს ბელარუსის პრემიერ-მინისტრის მიერ რუსეთის მთავრობის ხელმძღვანელ მიხეილ ფრადკოვისათვის გაგზავნილ წერილს.

წერილში სიდორსკიმ პირდაპირ მიანიშნა, რომ ბელარუსი „მზად არის განიხილოს გაზის ტრანსპორტირების ერთობლივი ორგანიზაციის შექმნის საკითხი“, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ ბელორუსი საწვავს კვლავ დაბალ ფასად მიიღებს. გარდა ამისა, ბელორუსის პრემიერი წერდა, რომ გაზზე ევროპული ფასის დადება ეწინააღმდეგებოდა რუსეთ-ბელორუსიის ერთობლივი სახელმწიფოს შექმნის იდეას.

„გაზპრომი“ ასევე გეგმავს „ბელტრანსგაზის“ მაგისტრალური გაზსადენების საკუთრებაში მიღებას. თუ რა დაუჯდება ეს „გაზპრომს“, ჯერჯერობით უცნობია. თუმცა, 2003 წელს რუსული კომპანია ამ გაზსადენებს ერთმილიარდ დოლარად აფასებდა, ბელორუსის პრეზიდენტ ალექსანდრე ლუკაშენკოს კი მიაჩნდა, რომ მათი ფასი მინიმუმ 5 მილიარდი დოლარია.

ბელორუსის გაზსადენების ქსელის დასაკუთრება „გაზპრომის“ სტრატეგიული ამოცანაა. ამ საკითხზე მოლაპარაკებები უკვე რამდენიმე წელია მიმდინარეობს, თუმცა ჯერჯერობით უშედეგოდ.

რუსეთი ევროპის ქვეყნებს გაზს 250 დოლარად აწვდის (ათას კუბურ მეტრზე). რამდენიმე დღის წინ „გაზპრომის“ დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილემ ალექსანდრე მიხეევმა განაცხადა, რომ 2-3 წელიწადში გაზის ფასი უკრაინის, მოლდავეთის, ბელორუსიის, ლატვიის, ლიტვისა და კავკასიის ქვეყნებისათვის დასავლეთ ევროპის ფასებს მიუახლოვდება.

*24 საათი*

# გენერალურიდან გაერთიანებულ შტაბამდე

თავდაცვის სამინისტროს მიმართვის საფუძველზე, საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივით შევიდა. საკითხი შეეხება იმ საკანონმდებლო ცვლილებას, რომლის საფუძველზეც მოხდება შეიარაღებული ძალების გაერთიანებულ შტაბად გარდაქმნა.

გაერთიანებული შტაბის შექმნა ხელს შეუწყობს შეიარაღებული ძალების ყველა კომპონენტის ერთიან, მაღალ დონეზე საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნებას და შეიარაღებული ძალების ყველა სახეობის ეფექტიან მართვას. ამასთან, გაერთიანებული შტაბი ხელს შეუწყობს საქართველოს შეიარაღებული ძალების ნატოსთან თავსებადობის მიღწევას, რაც პირველ რიგში, სახეობებს შორის მოქმედების კოორდინაციის მაღალ ხარისხს გულისხმობს, - მიაჩნიათ საქართველოს თავდაცვის სამინისტროში..

გაერთიანებული შტაბის ჩამოყალიბება გაცილებით ეფექტიანს გახდის საბრძოლო მოქმედებათა დაგეგმვას და განხორციელებას, რომლის დროსაც გათვალისწინებული იქნება შეიარაღებული ძალების ყველა კომპონენტი.

საჰაერო და საზღვაო ძალებიდან უკვე შერჩეული არიან შესაბამისი განათლების ოფიცრები, რომლებიც დაინიშნებიან გაერთიანებულ შტაბში სხვადასხვა თანამდებობაზე. 2006 წლის 11 მაისს საქართველოს პარლამენტის დადგენილებით, შეიქმნა კომისია, რომელიც მუშაობს ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნული სტრუქტურული ცვლილების გამო კონსტიტუციაში ცვლილების დროულად შესატანად. კომისიის წევრები სხვებთან ერთად არიან: პარლამენტარი გიორგი თარგამაძე, თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი, თავდაცვის მინისტრის მოადგილე მამუკა კუდავა, პარლამენტარები გიორგი ბოკერია, ნიკოლოზ გვარამია, კახა კუკავა.

კონსტიტუციური გადასინჯვის პროექტი წარედგინება საქართველოს პარლამენტს, რომელიც მას საყოველთაო სახალხო განხილვისთვის გამოაქვეყნებს. პარლამენტში კანონპროექტის განხილვა მისი გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ იწყება. გასულ კვირას გაერთიანებული შტაბის შექმნის საკითხზე არასამთავრობო ორგანიზაციებმაც იმსჯელეს. თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლობა მინისტრის პირველი მოადგილის მამუკა კუდავას ხელმძღვანელობით ფონდი "ღია საზოგადოება საქართველოს“ ოფისში იმყოფებოდა, სადაც ამ ინიციატივის დეტალური განხილვა მოხდა.

*მედიანიუსი*



მოკლედ

## მოიხდის თუ არა ბოდიშს კოტე კემულარია

თბილისის საქალაქო სასამართლოს გუშინ არასამთავრობო ორგანიზაცია „ემპათიას“ ხელმძღვანელის მარიამ ჯიშკარიანისა და უშიშროების საბჭოს მდივნის, იუსტიციის ყოფილი მინისტრის, კონსტანტინე კემულარიას დავის არსებითი განხილვა უნდა დაეწყო, თუმცა, მოპასუხის ანუ კოტე კემულარიას წერმომადგენლის პროცესზე გამოუცხადებლობის გამო, სასამართალო სხდომა რამდენიმე დღით გადაიდო.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ემპათიას“ ხელმძღვანელი და ამავდროულად სასჯელაღსრულების დაწესებულებებში საზოგადოებრივი მონიტორინგის საბჭოს წევრი მარიამ ჯიშკარიანი იუსტიციის ყოფილი მინისტრისგან პატივისა და ღირსების შელახვისთვის მორალური ზიანის ანაზღაურებას მოითხოვს.

საქმე ისაა, რომ კოტე კემულარიამ მინისტრობის პერიოდში მარიამ ჯიშკარიანის წინააღმდეგ შეურაცხმყოფელი ინფორმაცია გაავრცელა. კამულარიამ ჯიშკარიანს მექართამეობასა და კორუფციაში დასდო ბრალი.

იუსტიციის მაშინდელმა მინისტრმა მარიამ ჯიშკარიანი, როგორც სასჯელაღსრულების დაწესებულებებზე მონიტორინგის საბჭოს წევრი ექიმი, ციხის საავადმყოფოში ჯანმრთელი პატიმრების გადაყვანაში დაადანაშაულა.

„კემულარიამ დამადანაშაულა, თითქოსდა კორუფციული გარიგებებით, მცდარ რეკომენდაციებს ვუწევდი ჯანმრთელ პატიმრებს, რის შემდეგაც ისინი ციხის საავადმყოფოში ხვდებოდნენ. კემულარია ტელეეთერით ირწმუნებოდა, რომ ამ საქმიანობაში საბჭოს წევრები ვიღებდით რაღაც წილებს. ჯერ ერთი, მე არ მქონდა ციხის საავადმყოფოში პატიმრის გადაყვანის უფლება. მე მხოლოდ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე შემეძლო რეკომენდაციის დაწერა. კემულარიამ თვითონაც არ იცოდა, საერთოდ რაზე ლაპარაკობდა“, - აცხადებს მომჩივანი და იუსტიციის ყოფილი მინისტრისგან ბოდიშის მოხდას და გავრცელებული ინფორმაციის საჯაროდ უარყოფას მოითხოვს. გარდა ამისა, მოსარჩელე მორალური ზიანის ანაზღაურებისთვის კემულარიასგან 5 ათასი ლარის გადახდას მოითხოვს.

*24 საათი*

## სასამართლოს კურიერების მუშაობა კონტროლდება

სასამართლოებში დოკუმენტების მოძრაობის ხარისხი და ოპერატიულობა გაუმჯობესდა. როგორც უზენაეს სასამართლოში აცხადებენ, სასამართლოს კურიერების მუშაობა კონტროლდება და კურიერებიც მონდომებით მუშაობენ. თუკი ადრე უწყების მიტანა და სხავადასხვა დოკუმენტის მოძრაობა, ტექნიკური პრობლემების გამო, ხშირად გვიანდებოდა, ამჯერად უზენაესი სასამართლოს კურიერებს უკვე არც ტრანსპორტის პრობლემა აქვთ და არც საწვავის. მათ სპეციალური ლოგოიანი მანქანა ემსახურებათ და კურიერებსაც სპეციალური ფორმა აცვიათ.

„უახლოეს მომავალში უზენაესის მაგალითს სხვა სასამართლოებიც გადაიღებენ და მათი კურიერებიც გამართულად იმუშავებენ“, - აცხადებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

*24 საათი*

## წინასწარი პატიმრობა ბეჟან გვაზავას

ზუგდიდის სასამართლომ წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა რამდენიმე დღის წინ იარაღის უკანონოდ ტარების ბრალდებით დაკავებულ ბეჟან გვაზავას.

ბრალდებულის ადვოკატი აცხადებს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებას ზემდგომ ინსტანციაში გაასაჩივრებს და, მისი დაცვის ქვეშ მყოფის თავისუფლების სანაცვლოდ, მართლმსაჯულებას გირაოს გადახდას შესთავაზებს.

როგორც ცნობილია, ბეჟან გვაზავა სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა წალენჯიხის რაიონის დაბა სქურის ტერიტორიაზე დააკავეს. პოლიციის ინფორმაციით, მან კურორტ სქურში, პატრიოტული ბანაკის მიმდებარე ტერიტორიასთა ახლოს იარაღიდან უმისამართოდ გაისროლა.

ბეჟან გვაზავა ზვიად გამსახურდიას დროინდელი ეროვნული გვარდიის ოფიცერი იყო. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ბეჟან გვაზავა ეროვნული გვარდიის სხვა წევრებთან ერთად ახალმა ხელისუფლებამ შემოირიგა. გვაზავა ედუარდ შევარდნაძის პერიოდში გამსახურდიას მომხრე გვარდიის სხვა წევრებთან ერთად ტყეში იმალებოდა. 1998 წლის 19 ოქტომბერს კი აკაკი ელიავას ცნობილ ამბოხებაშიც მონაწილეობდა. გვაზავას ედუარდ შევარდნაძეზე 1998 წლის 9 თებერვალს განხორციელებულ ტერაქტში მონაწილეობაც ედებოდა ბრალად. იგი გოჩა ესებუასთან ერთად მონაწილეობდა 1998 წლის თებერვალში ზუგდიდში გაერო-ს თანამშრომლების მძევლად აყვანაში.

*ინტერპრესნიუსი*

## აქციის მიზეზი - ობიექტური გამოძიების მოთხოვნა

შიდა ქართლის პოლიციის შენობასთან გუშინ ხალხმრავლობა იყო. ორი წლის წინ გარდაცვლილი ლაშა მაყაშვილის ახლობლებმა საპროტესტო აქცია მოაწყვეს და სამართალდამცველებს საქმის არაობიექტურად გამოძიებაში დასდეს ბრალი.

ლაშა მაყაშვილის ცხედარი ორი წლის წინ მდინარე მტკვრის სანაპიროზე იპოვეს. თავდაპირველად სისხლის სამართლის საქმე თვითმკვლელობის მუხლით აღიძრა, თუმცა მოგვიანებით, გარდაცვლილის ოჯახის წევრების პროტესტის შემდეგ გამოძიებამ კვალიფიკაცია შეცვალა და სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღძრა.

ლაშა მაყაშვილის მკვლელობის საქმემ ოთხი გამომძიებელი გამოიცვალა, მაგრამ მკვლელობაში ეჭვმიტანილი ჯერჯერობით დადგენილი არ არის. გარდაცვლილის ოჯახის წევრები გამოძიების ხელახლა დაწყებას ითხოვენ და ყველა იმ ადამიანს ადანაშაულებენ, ვინც არაობიექტურ გამოძიებაში მონაწილეობდა. სამართალდამცველების მხრიდან გუშინდელ აქციასთან დაკავშირებით კომენტარები არ გაკეთებულა.

*ინტერპრესნიუსი*

## სამუშაო ვიზიტი უნგრეთში

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე, გენერალ-ლეიტენანტი ბადრი ბიწაძე და მისი მოადგილე ეკა გიგაური სამუშაო ვიზიტით უნგრეთის ქალაქ შიოფოკში გაემგზავრნენ.

როგორც საზღვრის დაცვის დეპარტამენტის პრესსამსახურში აცხადებენ, ვიზიტის დროს გაიმართება შეხვედრები ევროპული სასაზღვრო სამსახურების ხელმძღვანელ პირებთან, სადაც ორმხრივი თანამშრომლობის საკითხებს განიხილავენ.

შეხვედრაზე ქართული მხარე საქართველოს სასაზღვრო უწყების პრეზენტაციას წარმოადგენს. საუბარი შეეხება უწყებაში მიმდინარე რეფორმებს (სასაზღვრო პოლიციად გარდაქმნა), მის ინტეგრაციას შინაგან საქმეთა სამინისტროში და ევროკავშირის ინსტიტუციებში გაერთიანებას.

შეხვედრაზე მხარეები ოპერატიული ინფორმაციის გაცვლისა და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის, კონტრაბანდის, არალეგალური მიგრაციისა და ტრანსსასაზღვრო დანაშაულის შესახებ ინფორმაციის გაცვლისა და ტერორიზმის წყაროების აღმოჩენის სფეროში საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების მხრიდან ხელშეწყობის საკითხებს განიხილავენ.

უნგრეთში ქართული სასაზღვრო წარმომადგენლების ვიზიტი ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში ყოველწლიურად ხორციელდება. ვიზიტი 2 ივნისს დასრულდება.

*ინტერპრესნიუსი*

# რეკომენდაცია გუბერნატორის წინააღმდეგ

პირველი გვერდიდან

საქმე ისაა, რომ 2004 წლის 21 ივლისს გორის რაიონის გამგეობამ, დადგენილების საფუძველზე, გააუქმა გორის მერიასა და ნოდარ მაისურაძეს შორის დადებული იჯარის ხელშეკრულება და მიწის ფართობზე კონკურსი გამოაცხადა. ხსენებული დადგენილება ნოდარ მაისურაძემ სასამართლოში გაასაჩივრა.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 184-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გასაჩივრებული აქტის მოქმედება ჩერდება ადმინისტრაციული საჩივრის რეგისტრაციის მომენტიდან, აგრეთვე - ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის თანახმად, სარჩელის მიღება სასამართლოში აჩერებს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებას. ანუ, გორის გამგეობის დადგენილება არ უნდა ამოქმედებულიყო მანამდე, სანამ სასამართლო გადაწყვეტილებას არ გამოიტანდა. თუმცა, მიუხედავად ამისა, 2004 წლის 10-16 სექტემბრის გაზეთ „გორის მოამბეში“ გორის რაიონის გამგეობამ გამოაცხადა კომერციული კონკურსი სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მიწის ფართობზე, რომელთა შორის იყო 230 ჰექტარი სახნავი მიწა სოფელ ქვემო ხვითში.

2004 წლის 13 სექტემბერს კი, გორის რაიონულმა სასამართლომ განჩინება გამოიტანა - დაკმაყოფილდა მაისურაძის მოთხოვნა და საჯაროდ გამოცხადებული კონკურსი შეჩერდა. თუმცა, გორის რაიონის გამგეობამ კონკურსი მაინც ჩაატარა და მიხეილ ქარელის მიერ სოფლის მოსახლეობისთვის დარიგებული სადავო მიწა იჯარით გადაეცა ფიზიკურ პირთა ჯგუფს.

ახალი მოიჯარე შპს „სალთვისი-2“-ის ხელმძღვანელი გიორგი კერესელიძე მაისურაძისთვის მიწერილ ერთ-ერთ წერილში წერდა, რომ მოქმედებდა „ზემდგომი ორგანოების დავალებით“.

**„გარდა ამისა, ერთ-ერთ ინციდენტს მაისურაძის მიერ მოყვანილი ხორბლის თვითნებურად აღების ფაქტს წინ უსწრებდა გიორგი კერესელიძისა და ნოდარ მაისურაძის სატელეფონო საუბარი, სადაც გარკვევით ისმის მუქარა. კერესელიძემ გააფრთხილა მაისურაძე - თუ მოსავალს არ დათმობ, მოგიტაცებთ ან დაგიჭერთო. როგორც ჩანს, შპს „სალთვისი-2“-ის მართვაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ დაინტერესებული პირები ადგილობრივი მმართველობიდან“,** - აცხადებენ სახალხო დამცველის აპარატში.

სხვათა შორის აღსანიშნავია, რომ მორიგ ინციდენტზე - მაისურაძის მიერ მოყვანილი პროდუქტის - 500 ტონა ხორბლის ძარცვასთან დაკავშირებით, რომელსაც სერიოზული შეხლა-შემოხლა მოჰყვა, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. მიუხედავად იმისა, რომ გამოძიებისთვის ცნობილია დამნაშავეთა ვინაობა, ისინი დღემდე არ არიან დასჯილები; საინტერესოა ისიც, რომ როგორც ომბუდსმენის აპარატის თანამშრომლები აცხადებენ, ძარცვის პროცესს ესწრებოდა გორიდან გამოგზავნილი პოლიციელთა ჯგუფი, რომელიც მშვიდად ადევნებდა თვალყურს განვითარებულ მოვლენებს. ჟურნალისტებთან საუბარში პოლიციელები აცხადებდნენ, რომ ნაბრძანები ჰქონდათ, არ ჩარეულიყვნენ მოსალოდნელ დაპირისპირებაში.

მაისურაძის საქმის დეტალური შესწავლის შემდეგ სახალხო დამცველის აპარატმა რამდენიმე სახის სერიოზული კანონდარღვევა აღმოაჩინა - მათ შორის უმთავრესი ის, რომ მხარის გუბერნატორი არ იყო უფლებამოსილი თავისი შეხედულებისამებრ განეკარგა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწა.

**„მიხეილ ქარელის მხრიდან მოსახლეობისთვის მიწის ნაკვეთების გადაცემა სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია, უკანონობაა და შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, რომელიც ჩადენილია მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელის მიერ“,** - აცხადებენ სახალხო დამცველი აპარატში.

**„გიორგი კერესელიძე გუბერნატორ მიშა ქარელის სახელით ემუქრება ნოდარ მაისურაძეს. ეს ფაქტი სერიოზულ შესწავლას საჭიროებს; მით უმეტეს, რომ არსებობს სატელეფონო საუბრის ჩანაწერი, რომელშიც კარგად ისმის როგორ ემუქრება კერესელიძე მაისურაძეს,“** - წერია სახალხო დამცველის მიერ სამართალდამცველი სტრუქტურებისთვის გაგზავნილ ვრცელ რეკომენდაციებში.

მაისურაძის საქმესთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა რეკომენდაციით რამდენიმე დღის წინ მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურატურას და შინაგან საქმეთა სამინისტროს - ომბუდსმენმა მისი აპარატის მიერ მოკვლეული მასალების შესწავლა და საქმის გამოძიების დაწყება მოითხოვა. სახალხო დამცველი თვლის, რომ უნდა დადგეს რამდენიმე პირის პასუხისმგებლობის საკითხი.

რაც შეეხება მაისურაძისთვის უკანონოდ ჩამორთმეულ მიწას, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მაისურაძის საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. სასამართლომ ბათილად ცნო ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი - გორის რაიონის გამგეობის 2004 წლის 21 ივლისის დადგენილება, რომლითაც მაისურაძეს საიჯარო ხელშეკრულება გაუუქმეს და მიწის ფართობზე გამოაცხადეს კონკურსი. სასამართლოს გადაწყვეტილებით, გორის რაიონის გამგეობას დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოეცა ახალი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი - დადგენილება. მართალია, სააპელაციო სასამართლომ მაისურაძის მოთხოვნის ნაწილი დააკმაყოფილა, მაგრამ ამით დავა არ დასრულებულა - იგი ამჯერად საკასაციო სასამართლომ უნდა განიხილოს.

*24 საათი*

# უარი ევროსასამართლოსგან

ადამიანის უფლებათა დამცველ ევროპულ სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ შეტანილი განაცხადი - ქერეჭაშვილი საქართველოს წინააღმდეგ - დაუშვებლად გამოცხადდა და საქმის განხილვა შეწყდა.

1999 წლის დეკემბერში ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროების გაერთიანებასთან დაკავშირებით მომხდარი რეორგანიზაციის შედეგად სოციალური რეაბილიტაციის სამმართველოს უფროსის მოადგილე ომარ ქერეჭაშვილი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. მან თანამდებობაზე აღდგენის, გადაუხდელი ხელფასისა და პრემიის ანაზღაურების მოთხოვნით, საქართველოს შიდა სასამართლოებს მიმართა. ქართული მართლმსაჯულების საბოლოო ინსტანციის გადაწყვეტილების თანახმად, განმცხადებლის მოთხოვნა თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე არ დაკმაყოფილდა, თუმცა სამინისტროს ქერეჭაშვილისთვის გადაუხდელი ხელფასისა და პრემიის - 1094,90 ლარის - ანაზღაურება დაეკისრა.

ომარ ქერეჭაშვილი ქართული მართლმსაჯულების მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ არ დააკმაყოფილა და ევროპულ სასამართლოს მიმართა. სტრასბურგში გაგზავნილ სარჩელში მან განაცხადა, რომ შიდა სასამართლომ მისი თანამდებობაზე აღდგენის მოთხოვნა არასამართლიანად განიხილა და, ამასთან, ხელფასისა და პრემიის ანაზღაურების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება არ აღსრულებულა.

განაცხადის განხილვის შემდეგ ევროსასამართლომ ქერეჭაშვილის სარჩელი არ დააკმაყოფილა. სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით, მხოლოდ ის არგუმენტი, რომ ქერეჭაშვილი არ დაეთანხმა შიდა სასამართლოების გადაწყვეტილებას, რომლითაც იგი თანამდებობაზე არ აღადგინეს, ევროსასამართლოსთვის საკმარის საფუძველი არ აღმოჩნდა, რათა განმცხადებლის მოთხოვნა სამართლიანად ეცნო.

რაც შეეხება ქერეჭაშვილის მეორე მოთხოვნას - შიდა სასამართლოს გადაწყვეტილების აღუსრულებლობას, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებელმა სტრასბურგის სასამართლო შეცდომაში შეიყვანა, რადგან სახელმწიფოს მიერ მისთვის სადავო თანხის ჯერ - ნაწილობრივ, შემდეგ კი სრულად ანაზღაურების ფაქტი არ აცნობა.

აქედან გამომდინარე, ევროსასამართლომ ქერეჭაშვილის უფლებები სახელმწიფოს მიერ შელახულად არ მიიჩნია და საქმე არ განიხილა - განმცხადებლის სარჩელი არ დააკმაყოფილა.

*24 საათი*

# დაზარალებული დამნაშავეების დასჯას მოითხოვს

ახმეტაში მცხოვრები 66 წლის ლიანა ჩანჩლიაშვილი მის ცემასა და წამებაში მონაწილე დამნაშავეების დასჯას მოითხოვს. დაზარალებულმა დახმარებისთვის არასამთავრობო ორგანიზაციის „ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრის“ წარმომადგენლებს მიმართა.

დაზარალებულის განცხადებით, ახმეტაში მცხოვრები რამდენიმე ახალგაზრდა მას არაერთხელ დაესხა თავს და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. ერთ-ერთი ასეთი თავდასხმისას კი „დანაშაულებრივი ბანდის წევრებმა“ ის დააბეს და აწამეს. ექსპერტიზის ჩატარების შედეგად ლიანა ჩანჩლიაშვილს მენჯის ძვლების მოტეხილობა, მძიმე ფორმის დაჟეჟილობები, ტრავმული დაზიანებები და თავის ტვინის შერყევა დაუდგინდა.

როგორც „ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრში“ აცხადებენ, მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულმა ახმეტის პოლიციას, თელავის პროკურატურას და შს კახეთის მთავარ სამხარეო სამმართველოს მომხდარის შესახებ წერილობით არაერთხელ აცნობა, საქმე დღემდე გამოუძიებელია.

„ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი“ სამართალდამცველებს სასწრაფო რეაგირებისკენ მოუწოდებს.

„მოვითხოვთ, კახეთის შს სამხარეო სამმართველოს ხელმძღვანელობამ გაატაროს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები, რათა ფაქტის გახმაურების შემდეგ დაზარალებული ლიანა ჩანჩლიაშვილის სიცოცხლეს საფრთხე არ დაემუქროს“, - აცხადებენ ცენტრის წევრები.

*ინტერპრესნიუსი*





"თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

# ანექსიის პირას

ზაზა ფაჩუაშვილი

*კრემლი პოლიტიკურ სტრიპტიზს განაგრძობს და სულ უფრო და უფრო აშიშვლებს თავის წითელ სისხლიან სხეულს. როგორც აღმოჩნდა, დუმის ზოგიერთი პოლიტიკოსის მრავალწლიანი აბდაუბდა განცხადებები საქართველოს ტერიტორიის ანექსიის აუცილებლობის თაობაზე მოსკოვის იდეოლოგიად გადაიქცა (თუ თავიდანვე ასე იყო?) და მაშინ, როცა ლამისაა ნახევარი ციმბირი ჩინეთმა წაიღოს, რუსული სამხედრო მანქანა ცხინვალსა და აფხაზეთს ეპოტინება. აქ კი მათ ხვდებათ სეპარატისტების მიერ მომზადებული სპეციალური განცხადებები, რომლებიც უხეირო ძაღლის მოსაზიდად დაწყებულ წრუპუნს მოგვაგონებს. მაგალითად, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ „უტროს“ რუსი ჟურნალისტისთვის მიცემულ ინტერვიუში ოფიციალურად განაცხადა,* „Вернуть Абхазию мирным путем невозможно!“*-ო. ამ ინტერვიუს ქვემოთ გთავაზობთ. მანამდე კი ორიოდე კითხვით მივმართავთ სახელმწიფო მინისტრს კონფლიქტების მოგვარების დარგში გოგა ხაინდრავას.*

**- ბატონო გოგა, რას უნდა ნიშნავდეს აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლის სერგეი შამბას მხრიდან ოფიციალურად გაკეთებული განცხადება იმის თაობაზე, რომ აფხაზეთის დაბრუნება მშვიდობიანი გზით შეუძლებელიაო? ადრე ასეთი განცხადბები მათ არ გაუკეთებიათ.**

- მე არ მინახავს, მაგრამ თუკი ასეთი განცხადება გაკეთებულია, ეს არის ომისკენ მოწოდება. სხვანაირად ამის შეფასება შეუძლებელია. ეს არის პირდაპირი მუქარა, რაც ჩემთვის გასაკვირია, მით უმეტეს მაშინ, როცა სამშვიდობო მოლაპარაკებები მიმდინარეობს, და იმ ადამიანისგან, რომელიც აფხაზური მხრიდან ხელმძღვანელობს ამ სამშვიდობო პროცესს. ჩვენ გვინდა კონფლიქტის მშვიდობიანად, ცივილიზებულად მოგვარება და ყველა წინადადება, რასაც ჩვენ აფხაზებს ვთავაზობთ, ამ პრინციპს ეფუძნება. ამის მიუხედავად, მეორე მხრიდან გვესმის მხოლოდ „არა!“: ადამიანის უფლებების დაცვაზე - „არა!“, ქართულად სწავლებაზე - „არა!“, საერთაშორისო პოლიციურ კომპონენტზე - „არა!“, საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიურ ჩართვაზე - „არა!“, თანამშრომლობაზე - „არა!“, მეგობრობაზე - „არა!“ და ასე დაუსრულებლად. ყოველივე ეს კი რუსეთის წაქეზებით და მხარდაჭერით ხდება.

რაც შეეხება მუქარას, გვესმის ყოველდღე არა მარტო აფხაზეთის, არამედ ცხინვალის მიმართულებითაც და საიდანაც მოედინება ეს მუქარა, ყველამ ძალიან კარგად ვიცით. ამიტომ უნდა ვიმოქმედოთ ძალიან ფრთხილად და მოთმინებით. მაგრამ აქვე უნდა ვთქვათ კიდევ ერთხელ, რომ არის საკითხი, რაშიც მთელი საქართველო ერთიანი და უკომპრომისო ვართ - ჩვენ არასოდეს დავთმობთ აფხაზეთს, ცხინვალს და, საერთოდ, საქართველოს ტერიტორიის არც ერთ გოჯს. ეს იცოდეს მტერმაც და მოყვარემაც.

**- ჩვენ ხშირად ვიმშვიდებთ ხოლმე თავს იმით, რომ აფხაზური მხრიდან გაკეთებული ოფიციალური განცხადებები იძულებით ხასიათს ატარებს და ამას მეტისმეტად მტკივნეულად არ უნდა განვიცდიდეთ. ეს მოსაზრება ილუზორული ხომ არ არის?**

- ჩვენ ყველა განცხადება უნდა გავაანალიზოთ და მივიღოთ ისე, როგორც არის. ჩვენი გეგმა უნდა გვქონდეს, მაგრამ ასევე მკაფიოდ უნდა ვიცოდეთ, ვისთან და რასთან გვაქვს საქმე აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში. არაერთხელ მითქვამს და ვიმეორებ, რომ ეს არის რუსეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიის პირდაპირი ანექსიის პროცესი, რომელშიც გამოყენებულია აფხაზეთისა და ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებები. რუსეთი ამისთვის იყენებს ყველა შესაძლო მეთოდს: პოლიტიკურს, ეკონომიკურს, ადმინისტრაციულს და ძალისმიერს. სამწუხაროდ, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების ნაწილი აქტიურად უჭერს მხარს ამ პროცესს და მოვა დრო, როცა აფხაზეთში ამ ხალხს თავად აფხაზები შეაჩვენებენ.

**- ცხინვალის რეგიონში?**

- ცხინვალში ვითარება ცოტათი განსხვავებულია. არსებობს ალანია, რომელიც რუსეთის დაქვემდებარებაშია და, ბუნებრივია, რომ რუსეთის გავლენა იქიდან ცხინვალის რეგიონზეც ვრცელდება. თუმცა მოსახლეობის განწყობილება ერთგვაროვანი არ არის და თუ ჩვენ შეცდომებს არ დავუშვებთ, სამშვიდობო პროცესი განვითარდება.

სამწუხაროდ, შეცდომებს ადრეც ვუშვებდით და ახლაც ვუშვებთ. ამის დასტურია გორში 27 მაისს მომხდარი ფაქტი, როცა ნიღბიანმა პოლიციელებმა სასტიკად აწამეს ოსი ეროვნების ადამიანები. რა თქმა უნდა, მსგავსი ფაქტები ხელს უწყობს ექსპანსიის განხორციელებას და ოსი ეროვნების ხალხში ჩვენს მიმართ ნეგატიური განწყობილების შექმნას. მეტს არაფერს ეს ანტისახელმწიფოებრივი აქცია არ ემსახურება. მე აუცილებლად ჩავეძიები ბოლომდე და დავაყენებ იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხს, რომლებმაც გასცეს შესაბამისი ბრძანება და ვინც აღასრულეს იგი. ჯერჯერობით, გავარკვიეთ ის, რომ ამ დანაშაულში გორის სამხარეო პოლიციის წარმომადგენლები არ მონაწილეობდნენ. პირიქით, ისინი დაკავებულებს ესარჩლებოდნენ და, როგორც დაზარალებულმა ოსებმა განაცხადეს, ადგილობრივი პოლიციელები რომ არ მოგვხმარებოდნენ, იქიდან ცოცხლები ვერ გამოვიდოდითო. ამისთვის მათი დიდი მადლობელი ვარ. მათ სახელმწიფოებრივი შეგნების ხარისხი ბევრად მაღალი აღმოაჩნდათ, განსხვავებით იმ თბილისელი (ან სხვა რომელიმე რეგიონის) ემისრებისაგან, რომლებიც გორში ჩავიდნენ და ეს დანაშაული ჩაიდინეს. ახლა კი უკან დაბრუნდნენ და სასიკვდილო საფრთხის წინაშე დატოვეს კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ქართული მოსახლეობა. ეს არის ბარბაროსობა. ეს არის სამშვიდობო პროცესისადმი ზურგში მახვილის ჩარტყმა. თუ ასე გაგრძელდა, იმ სამშვიდობო გეგმას, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა წარმოადგინა და მსოფლიომ მოიწონა, განხორციელება არ უწერია.

**- სიმართლე ითქვას, ოსი ეროვნების მოსახლეობის ასეთ მასშტაბურ დაკავებას აქამდე ადგილი არ ჰქონია.**

- საერთოდ გაუგებარია, რას ნიშნავს ეროვნულობის ნიშნით ადამიანის დაკავება. ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქმე გვაქვს არალეგიტიმურ თვითაღიარებულ რეჟიმთან და არ უნდა ვიძახოთ, ისინი ამას რატომ აკეთებენო. ისინი გააკეთებენ იმიტომ, რომ უკანონოდ არსებობენ და მოქმედებენ, იმიტომ, რომ კონკრეტული ამოცანები აქვთ დასახული და მათი მიზანია, ადამიანის უფლებების უხეში დარღვევებითა და უკანონო საქციელით გამოიწვიონ ქართული მხარე. არ შეიძლება, მათ საქციელს ისეთივე უკანონობით ვუპასუხოთ. აქედან კარგი არაფერი გამოვა, ვინაიდან ბოროტება ბოროტებას შობს, და ჩვენ პასუხს ვაგებთ მსოფლიო თანამეგობრობის წინაშე.

როდესაც ხმამაღლა ვითხოვთ ადამიანების უფლებების დაცვას და პრინციპულად მოვითხოვთ აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმისგან გალის მოსახლეობის უფლებების დაცვას, ჩვენ თვითონ ჩვენს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ეს არ უნდა გავაკეთოთ?!

ვიმეორებ, დღეს ვართ უმძიმეს მდგომარეობაში, გვყავს სერიოზული მოწინააღმდეგე, რომელიც ყველაფერზე მიდის იმისათვის, რომ ჩვენი სახელმწიფოებრიობა დაანგრიოს. თანაც, ამას აკეთებს სრულიად აშკარად, შესაბამისი ოფიციალური განცხადებების თანხლებით. ამიტომ, ვისაც არ ჰყოფნის მოთმინება, რომ სახელმწიფო სამშვიდობო გეგმა თანმიმდევრულად განახორციელოს, სახელმწიფო სამსახურს თავი უნდა დაანებოს, ვინაიდან მას უფრო დიდი ზიანი მოაქვს ჩვენთვის, ვიდრე ბანდიტებსა და ყაჩაღებს.

როდესაც ჩვენ ძალიან სერიოზულად, პრინციპულად და მზარდი ინტენსივობით ვაყენებთ სამშვიდობოების ჩანაცვლების საკითხს პოლიციური ძალებით, რათა სამხედრო ოპერაცია ცხინვალის რეგიონში პოლიციური ფორმატით შეიცვალოს, და ამ დროს ვილაც პოლიციელები მსგავს საქციელს სჩადიან, როგორ დავარწმუნოთ საერთაშორისო საზოგადოება, რომ ჩვენი ნდობა შეიძლება? ეს იმას არ უნდა ესმოდეს, ვინც გორში დანაშაული ჩაიდინა? ან, იქნებ შეგნებულად ასხამენ წყალს მტრის წისქვილზე? ამას ყველაფერს აუცილებლად გავარკვევთ!



ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

*რუსების "ბეტეერი" ცხინვალში.*

# სერგეი შამბა: „აფხაზეთის დაბრუნება მშვიდობიანი გზით შეუძლებელია!“

*გთავაზობთ აფხაზურ საიტზე გამოქვეყნებული ინტერვიუს მოკლე ვარიანტს აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრთან სერგეი შამბასთან.*

**- თბილისში დევნილებს ურიგებენ საკუთრების დამადასტურებელ სერტიფიკატებს აფხაზეთში დატოვებულ ქონებასთან დაკავშირებით. დილეტანტისთვისაც კი ცხადია, რომ საქართველო თითს იშვერს მათკენ, ვინც, თითქოსდა, მიისაკუთრა სხვისი ქონება. ასე ქმნიან საფუძველს ახალი დაპირისპირებისთვის?**

- აფხაზეთში მრავალმა ადამიანმა დაკარგა საკუთარი ქონება. ამისათვის პოლიტიკურად მაინც უნდა აგონ პასუხი მათ, ვინც ომი დაიწყო. ამიტომ, აქ ვინმეს დადანაშაულებას აზრი არა აქვს. ბევრი ადამიანი, საცხოვრებლის დაკარგვის შემდეგ, ქართველთა სახლებში გადასახლდა, იმიტომ, რომ მათი ქონება ოკუპანტებმა გაძარცვეს. ისეთი ორომტრიალი დაიწყო, რომ ყველაფრის თავის ადგილზე დაწყობა ძალიან ძნელი იქნება. თავიდანვე დავაყენეთ ზარალის ანაზღაურების საკითხი, რამაც 13 მილიარდი დოლარი შეადგინა. ვინაიდან ამ თემის განხილვა მაშინ აქტუალური არ იყო, აღარ წამოგვიწევია, მაგრამ შესაძლებლობის შემთხვევაში ისევ წამოვაყენებთ. მით უმეტეს, რომ ომის შემდეგ ეს ციფრი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ჩვენ შეგვიძლია, საქართველოს წინაშე წამოვაყენოთ პრეტენზია ყველა სახის სატრანსპორტო მიმოსვლის ბლოკირების გამო. აქ დანაკარგები მილიონებს სცილდება. ვინ დააბრუნებს ამას ყველაფერს? ჩემი აზრით, სერტიფიკატების თემა იმიტომ ამოტივტივდა, რომ ბოლო დროს თბილისს იქ მცხოვრებ დევნილთა ადაპტაციის საკითხების მოგვარება მოსთხოვეს. 13 წლის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლებას ხალხი ჩემოდნებიდან არ გადმოუსვამს, აქაოდა, ჩქარა დაგაბრუნებთო.

ახლა მათ სთხოვენ, რომ დევნილები, ასე თუ ისე, დააკმაყოფილონ. ამიტომ დაიწყო საერთაშორისო პროგრამების განხორციელება, გამოიყო ფული სასტუმროების გასათავისუფლებლად და ა.შ. ხალხს ჰგონია, რომ აფხაზეთში დაბრუნება ამით მთავრდება. სერტიფიკატის დარიგება კი, ჩემი აზრით, სხვა არაფერია, თუ არა ამ ილუზორული იმედის დაბრუნება. ეს არის საქართველოს ლიდერების პოპულიზმი. ალბათ, კიდევ მრავალი წლის განმავლობაში საქართველო აფხაზეთში დაბრუნების უაზრო იმედებით თავს დაიმშვიდებს. თუმცა, სწორედ საქართველო ოდესმე უნდა დაფიქრდეს იმის შესახებ, რომ პირველმა აღიაროს აფხაზეთი.

**- ძნელი წარმოსადგენია, რომ საქართველოში, სადაც აფხაზეთის გაგონებაზე კბილებს აღრჭიალებენ, აღიარონ აფხაზეთი.**

- ჩვენ ამ რეგიონში უნდა თანავიცხოვროთ! აფხაზეთის დაბრუნება მშვიდობიანი გზით შეუძლებელია. შესაძლებელია თუ არა ეს ომის გზით? ვფიქრობ, ესეც არარეალურია. მსოფლიო პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ ტერიტორიის დაპყრობა შეიძლება, მაგრამ ამ ტერიტორიაზე დიდი ხნით ყოფნა - შეუძლებელი. ეს ვერ შეძლეს: ამერიკამ - ვიეტნამში, ერაყში და ავღანეთში, რუსეთმა - ავღანეთში. მით უმეტეს, საქართველო - თავისი რესურსებით... უფრო მეტიც, იგი აფხაზეთში ტერიტორიის დაპყრობასაც ვერ მოახერხებს. ასე რომ, ამის შესახებ საუბარს აზრი არა აქვს. რა რჩება? მუდმივად ასეთი კონფლიქტური სიტუაციის შენარჩუნება? ვფიქრობ, ამაში დაინტერესებული არავინაა. არ არსებობს იმის პრეცედენტი, რომ ქვეყანა, რომელმაც დამოუკიდებლობა გამოაცხადა, იგი იარაღით დაიცვა, მნიშვნელოვანი პერიოდი იარსება, დაბრუნდეს უკან, კოლონიის მდგომარეობაში.

**- საქართველო მუდმივად მიმართავს მსოფლიოს თანამეგობრობას, რომ დაიცვან გალის ქართული მოსახლეობა. რამდენად მისაღებია ამგვარი განცხადებები?**

- ყველა კითხვაზე თავად გაერომ და ეუთომ გასცეს პასუხი, როცა 2002 წელს გალში ერთობლივი მონიტორინგი ჩაატარეს. შედეგად, გამოიცა მოცულობითი დოკუმენტი, რომლის 58-ე პუნქტში პირდაპირ არის მინიშნებული, ვინ ახდენს გალში დესტაბილიზაციას. იქ წერია (ვაკეთებ ციტირებას), რომ ქართველებისგან შემდგარი შეიარაღებული რაზმები ენგურის მარცხენა ნაპირიდან შედიან აფხაზეთის ტერიტორიაზე იმისათვის, რომ შეაშინონ დაბრუნებული მოსახლეობა, ანუ დევნილები. ამისათვის ისინი, როგორც დოკუმენტშია ნათქვამი, ნაღმავენ ტერიტორიას და თავს ესხმიან მოსახლეობას. მათი მსხვერპლია მშვიდობისმყოფელები, სამართალდამცავები და სამოქალაქო ადამიანები. ყოველივე ეს კეთდება იმისათვის, რომ აჩვენონ აფხაზეთის ხელისუფლების უუნარობა, აკონტროლოს ვითარება გალში და, ამის საფუძველზე, შერეული ადმინისტრაციის შექმნა მოითხოვონ. ბოლო პერიოდში ამ მხრივ აქტიურობა ისევ შეიმჩნევა. ასევე უნდათ სამშვიდობოების უუნარობის ჩვენება. სინამდვილეში კი, ყველა უხეში კრიმინალური დანაშაული, რომლის გახსნაც მოხერხდა, მოწმობს იმას, რომ დანაშაულს სჩადიან არა აფხაზები, არამედ ზუგდიდის რაიონიდან გადმოსული შეიარაღებული რაზმები. ანდა, გალში მცხოვრები ქართველი და მეგრელი კრიმინალები... ჩვენ ზუსტად ვიცით, რომ მათ საქართველოს შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურები აფინანსებდნენ. თბილისში კურიოზული შემთხვევაც იყო, როცა ე.წ. პარტიზანები სახელმწიფო კანცელარიასთან შეიკრიბნენ და აუნაზღაურებელი ხელფასები მოითხოვეს.

**- დათანხმდება თუ არა აფხაზეთი სამშვიდობოების ფორმატის შეცვლას, ვთქვათ, რუსული კონტინგენტის შეცვლას?**

- არაერთხელ გვითქვამს, რომ ამ მხრივ ნებისმიერი ცვლილება კინტრპროდუქტიული იქნება და ჩვენ მხარს არ დავუჭერთ. საქართველოსა და აფხაზეთს შორის კონფლიქტის საფუძველი ისაა, რომ საქართველო ცდილობს, მოიპოვოს უფლება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა, ჩვენ კი - უფლება თვითგამორკვევისა. მოლაპარაკებების პროცესის ყველა მონაწილე ამოდის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობიდან. ანუ, აპრიორი საქართველოს მხარეზე სხედან ჩვენს პირდაპირ. რალატომ უნდა გავაძლიეროთ საქართველოს მომხრეთა პოზიციები და დამატებით შემოვიყვანოთ აქ ვილაც? თავის დროზე კატეგორიული უარი განვაცხადეთ მოლაპარაკებების პროცესში გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის ჩართვაზე. ჟენევაში, ამის გამო, სხდომათა დარბაზი დავტოვეთ კიდეც. მერე მაინც წავედით კომპრომისზე, რუსეთის მხარის გარკვეული ზეწოლის შედეგად დავთანხმდით იმას, რომ „მეგობრები“ მიგველო, როგორც დამკვირვებლები. ჩვენ გვესმის, რომ ასეთი ქვეყნების მონაწილეობა თანდათან უფრო მნიშვნელოვანი ხდება. სინამდვილეშიც ასე ხდება. ჩვენ იძულებული ვხდებით, საყოველთაო ზეწოლას შევეწინააღმდეგოთ. რატომ უნდა შევცვალოთ ფორმატი? ჯერ ერთი, ჩვენ თუ წინა შეთანხმებების გადახედვას დავიწყებთ, მაშინ მთლიანად დაირღვევა ის საფუძველი, რაზეც დღეს ვაშენებთ მოლაპარაკებების პროცესს. ორივე მხარეს ცვლილებების სათავისოდ განხორციელება სურს. ამიტომ სჯობს, მოლაპარაკებები იმ ფორმატში გაგრძელდეს, როგორც უკვე შეთანხმებულია.

**- რას წარმოადგენს ისეთი სტრუქტურა, როგორიცაა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქართული ხელისუფლება?**

- თავიდანვე განსაზღვრულია, რომ მოლაპარაკებებში მონაწილეობენ ქართული და აფხაზური მხარეები გაეროს ეგიდით და რუსეთის შუამავლობით. თქვენს მიერ მითითებული სტრუქტურა პოლიტიკურ დიალოგში არ მონაწილეობს. თბილისში მას იმისათვის ინახავენ, რომ აჩვენონ, თითქოს ისაა აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობა, მაგრამ იქაც მიხვდნენ, რომ ეს სტრუქტურა ტყუილად არის ჩამოკიდებული გადამხდელთა კისერზე. ამ „საპნის ბუშტებს“ მუდმივად ამცირებენ.

www.utro.ru/articles /2006/04/28/

# ქართული და აფხაზური მხარეების საკოორდინაციო საბჭოს პირველი სესიის ოქმი

**სოხუმი, 1997 წლის 18 დეკემბერი**

ქართული და აფხაზური მხარეების შეხვედრის (ჟენევა, 1997 წლის 17-19 ნოემბერი) შედეგების თაობაზე დასკვნითი განცხადების საფუძველზე შექმნილი საკოორდინაციო საბჭოს პირველი სესია, გაეროს ეგიდით და გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის, ბატონ ლივიუ ბოტას თავმჯდომარეობით, გაიმართა ქ. სოხუმში 1997 წლის 18 დეკემბერს.

ქართულ მხარეს წარმოადგენდა დელეგაცია ბატონების ვაჟა ლორთქიფანიძის, რევაზ ადამიას და თამაზ ხუბუას შემადგენლობით, აფხაზურ მხარეს - ბატონები თამაზ ქეცბა, სერგეი ცარგუში და ვიქტორ ხაშბა.

სესიის გახსნისას გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი მიესალმა სოხუმში ქართული დელეგაციის ჩამოსვლას, რომლის წევრებიც დანიშნა ბატონმა ე. შევარდნაძემ და საკოორდინაციო საბჭოში წარმოადგენენ მხოლოდ ქართულ მხარეს.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ რუსეთის ფედერაციის, როგორც ხელშემწყობი მხარის, აგრეთვე, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) და გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფში შემავალი სახელმწიფოების - საფრანგეთის, გერმანიის, რუსეთის ფედერაციის, გაერთიანებული სამეფოსა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები დამკვირვებელთა სტატუსით.

სესიის გახსნაზე სიტყვით გამოვიდა ბატონი ვ. არძინბა.

სესიის მსვლელობისას სიტყვით გამოვიდნენ, აგრეთვე, მხარეთა დელეგაციის წევრები, რუსეთის ფედერაციის, როგორც ხელშემწყობი მხარის, ეუთოს და გაეროს მეგობართა ჯგუფის წარმომადგენლები.

სესიის მონაწილეებმა მიიღეს საკოორდინაციო საბჭოს დებულება, რომლის ტექსტი თან ერთვის ოქმს.

საკოორდინაციო საბჭოს სესიის დასრულების შემდეგ მოწვეულ იქნა სამუშაო ჯგუფების სხდომები, რომლებსაც თავმჯდომარეობდა გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი. შეათანხმეს სამუშაო ჯგუფების საქმიანობის პროგრამა.

## საკოორდინაციო საბჭოს დებულება

**1. ზოგადი დებულებანი**

საკოორდინაციო საბჭო (შემდგომში - საბჭო) იქმნება 1997 წლის 17-19 ნოემბერს ჟენევაში გამართული შეხვედრის შედეგების დასკვნითი განცხადების შესაბამისად.

საბჭო შეიქმნა დასკვნითი განცხადების დებულებათა განსახორციელებლად.

**2. საბჭოს შემადგენლობა და მუშაობის ორგანიზება**

საბჭოს სხდომები ტარდება საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის თავმჯდომარეობით.

საბჭოს შემადგენლობაში შედის ქართულ და აფხაზურ მხარეთა 3-3 წარმომადგენელი. საბჭოს მუშაობაში მონაწილეობენ, აგრეთვე, გაეროს, რუსეთის, როგორც ხელშემწყობი მხარის, ეუთოს და გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის წარმომადგენლები დასკვნითი განცხადების მე-3 პუნქტში განსაზღვრული პირობებით. მხარეთა სურვილით, სხდომებზე შეიძლება ექსპერტების მოწვევა.

საბჭოს სხდომებს იწვევს გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ ორ თვეში ერთხელ, მორიგეობით - თბილისსა და სოხუმში ან მხარეთა შეთანხმებით სხვა ადგილას.

თითოეულ მხარეს აქვს უფლება, მოითხოვოს საბჭოს რიგგარეშე სხდომის ჩატარება, რომელსაც გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ნიშნავს სამი დღის ვადაში, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში კი - დაუყოვნებლივ.

სხდომათა წინასწარ დღის წესრიგს ამზადებს გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი დასკვნითი განცხადების დებულებათა და საბჭოს ადრინდელი გადაწყვეტილებების შესაბამისად და გადასცემს მის მონაწილეებს სხდომის დაწყებამდე არა უგვიანეს ათი დღისა.

თითოეულ მხარეს აქვს უფლება, წარადგინოს დღის წესრიგში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წინადადებები, რომლებიც გადაეცემა გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს სხდომამდე არა უგვიანეს ხუთი დღისა. გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი სხდომის დაწყებამდე მართავს კონსულტაციებს ამ საკითხზე.

საბჭოს სხვა მონაწილეებს, აგრეთვე, შეუძლიათ დღის წესრიგთან დაკავშირებით დააყენონ წინადადებები, რომლებსაც განიხილავს გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი და უთანხმებს მხარეებს. საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს მხარეთა კონსენსუსის საფუძველზე. იმ გადაწყვეტილებების მიღებისას, რომლებიც შეეხება გაეროს და რუსეთის ფედერაციის როლსა და პასუხისმგებლობას, აგრეთვე, საჭიროებს ეუთოს და გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის მონაწილეობას, აუცილებელია მათი თანხმობა. საბჭოს გადაწყვეტილებები სავალდებულოა ორივე მხარისათვის. საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულებისას წარმოშობილი დაბრკოლებები განხილულ უნდა იქნეს მომდევნო სხდომებზე.

კონსენსუსის არარსებობის შემთხვევაში, გადაწყვეტილებათა მიღებისას მხარეებს შეუძლიათ, შესაბამის საკითხზე გამოხატონ თავიანთი აზრი სხდომის ოქმში. სხდომების სამუშაო ენაა რუსული. საბჭოს სამდივნოს ფუნქციებს ასრულებს გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ოფისი.

**3. სამუშაო ჯგუფები**

საკოორდინაციო საბჭოს აღმასრულებელ ორგანოებია სამუშაო ჯგუფები. სამუშაო ჯგუფების შემადგენლობაში შედის ქართულ და აფხაზურ მხარეთა 2-2 წარმომადგენელი. სამუშაო ჯგუფების სხდომები ტარდება გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის თავმჯდომარეობით, რუსეთის ფედერაციის, როგორც ხელშემწყობი მხარის, ეუთოს, აგრეთვე, გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის წარმომადგენლების მონაწილეობით, დასკვნითი განცხადების მე-3 პუნქტში განსაზღვრული პირობებით. სამუშაო ჯგუფების სხდომებს იწვევს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი. მხარეთა სურვილით, სხდომებს შეიძლება დაესწრონ ექსპერტები.

**სამუშაო ჯგუფები საქმიანობენ შემდეგი მიმართულებებით:**

I სამუშაო ჯგუფი - ცეცხლის მყარი განუახლებლობისა და უსაფრთხოების პრობლემები.

II სამუშაო ჯგუფი - ლტოლვილები და ქვეყნის შიგნით ადგილნაცვალი პირები.

III სამუშაო ჯგუფი - ეკონომიკური და სოციალური პრობლემები.

**4. ექსპერტთა ჯგუფები**

ექსპერტთა ცალკეული ჯგუფები შეიძლება შექმნან საბჭომ, სამუშაო ჯგუფებმა და გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა კონფლიქტის ყოვლისმომცველ მოწესრიგებასთან დაკავშირებული საკითხების წარმოშობის შემთხვევაში მათი კონკრეტული ასპექტების შესასწავლად.

**5. საბჭოს კომპეტენცია**

**ა) ცეცხლის განუახლებლობისა და უსაფრთხოების საკითხები.**

ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ 1994 წლის 14 მაისის შეთანხმებისა და გაეროს უშიშროების საბჭოს 1994 წლის 21 ივლისის 937-ე რეზოლუციის შესაბამის დებულებათა დარღვევის ფაქტების განხილვა და გადაწყვეტილებათა მიღება მათი დაუშვებლობის თაობაზე.

მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების ეფექტიანად შესრულების საკითხის განხილვა.

ეფექტიანი ზომების მიღება იმ საქმიანობის აღსაკვეთად, რომელიც შეიძლება განახორციელონ ნებისმიერმა შეიარაღებულმა ფორმირებამ, ტერორისტულმა და დივერსიულმა ჯგუფებმა და ცალკეულმა პირებმა, მათ შორის, ისეთებმა, რომლებიც აღწევენ კონფლიქტის ზონაში, და რასაც შეუძლია მოახდინოს სამშვიდობო პროცესის დესტაბილიზაცია, გამოიწვიოს საბრძოლო მოქმედებათა განახლება.

განაღმვის განხორციელების ხელშეწყობა.

I სამუშაო ჯგუფი შეისწავლის ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის დარღვევის, ტერორისტული და დივერსიული საქმიანობის ფაქტებს, ამზადებს წინადადებებსა და რეკომენდაციებს თავისი გამგებლობის საკითხებზე.

I სამუშაო ჯგუფი სხდომებს მართავს საჭიროებისამებრ, მაგრამ ორ კვირაში ერთხელ მაინც.

**ბ) ლტოლვილები და ქვეყნის შიგნით ადგილნაცვალი პირები.**

ჟენევის შეხვედრის დასკვნითი განცხადების შესაბამისად განხილვა იმ წინადადებებისა, რომლებიც შეეხება დევნილთა და ადგილნაცვალ პირთა ნებაყოფლობითი, უსაფრთხო დაბრუნების ორგანიზებული პროცესის განახლებას.

II სამუშაო ჯგუფი ამზადებს შესაბამის რეკომენდაციებს ამ მიმართულებით.

**გ) ეკონომიკური და სოციალური პრობლემები.**

ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხების (ენერგეტიკა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, ეკოლოგია) განხილვა.

წინადადებების განხილვა იმ წინააღმდეგობათა აღმოფხვრის თაობაზე, რაც ხელს უშლის ნორმალურ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას.

III სამუშაო ჯგუფი შეიმუშავებს წინადადებებსა და რეკომენდაციებს შეთანხმებული მიმართულებებით მხარეთა ეფექტიანი თანამშრომლობისათვის.

პროექტის მხარდამჭერი
conciliation resources

## კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროექტები

აშშ-ს ელჩების კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდმა (AFCP) ქართულ კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისთვის გრანტები გამოყო, რომლითაც კონკურსში გამარჯვებული ქართული პროექტები დაფინანსდებიან. როგორც აშშ-ის საელჩოს საზოგადოებრივ საქმეთა წარმომადგენელმა მაგდა მაღრაძემ განაცხადა საკონკურსო კომისიამ უკვე შეარჩია შესაფერისი პროექტები, რომელიც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში გაიგზავნა.

„გრანტის გამოყოფაზე საბოლოო გადაწყვეტილებას აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი იღებს. ჩვენ შემოსული განცხადებებიდან 3 პროექტი გავგზავნეთ, თუმცა 2 პროექტი რეზევრში გვაქვს და თუ დეპარტამენტი დაინტერესებას გამოთქვამს, მხოლოდ იმ შემთხვევაში გავგზავნით. პასუხს დეპარტამენტიდან აგვისტოს ბოლოსთვის ველოდებით“, - განაცხადა მაგდა მაღრაძემ. მისივე თქმით, აშშ-ის ელჩების კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდში საქართველოსთვის რაიმე განსაზღვრული კვოტა არ არსებობს, რის გამოც ქართული პროექტების დაფინანსება მხოლოდ დეპარტამენტის არჩევანზეა დამოკიდებული. აშშ-დან საბოლოო პასუხის მიღებამდე საელჩო წარდგენილი პროექტების შინაარსისა და თემატიკის შესახებ ინფორმაციას არ ავრცელებს. მაღრაძის თქმით, ბოლო სამი წელია აშშ-ის ელჩების ფონდი წარდგენილებიდან ერთ-ერთ ქართულ პროექტს მაინც აფინანსებს. AFCP საშუალებას აძლევს ელჩებს განვითარებად ქვეყნებში ადგილობრივი კულტურის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და დახმარებისათვის აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტში პროექტები წამოადგინონ. გრანტების მოცულობა 15-30 ათასი აშშ დოლარია. პროექტის ხანგრძლივობაა 12-18 თვე.

## „ყვითელი ფრინველი“

აშშ-ის საელჩოს ინიციატივით, საქართველოში ინდიელი მოცეკვავეების ჯგუფი, „ყვითელი ფრინველი“ ჩამოდის. „ყვითელი ფრინველი“ ოჯახური დასია არიზონას შტატიდან, რომელიც ტრადიციულ ამერიკულ ცეკვებშია სპეციალიზებული. ჯგუფი აპაჩების, სამხრეთ-დასავლეთისა და ჩრდილოეთ ინდიელების ცეკვებს ასრულებს მათ რეპერტუარში ამაღელვებელი „ჰუპისა“ და „ცისარტყელას“ ნომრებიც შედის, რომლებიც ფლეიტისა და ინდიელების ენაზე შესრულებული სიმღერების თანხლებით სრულდება. ცეკვის გარდა, „ყვთელი ფრინველი“ ინტერაქტიულ საქმიანობასაც ეწევა, რათა მსმენელებს ამერიკის ისტორიისა და კულტურის გაგებაში დაეხმაროს.

ოკეანისგაღმიდან დასი კონცერტებს თბილისის გარდა, მარნეულში, თელავსა და გორშიც გამართავს. აღსანიშნვია, რომ საქართველოსთან ერთად „ყვითელი ფრინველი“ აზერბაიჯანსა და სომხეთსაც ეწვევა.

**შპს "ფრონტერა ისტერნ ჯორჯია"**

აცხადებს დედოფლისწყაროს რაიონის XII სალიცენზიო ბლოკის ტერიტორიაზე (ტარიბანას და მირზაანის საბადო) ნარჩენების განთავსების პროექტის საჯარო განხილვას გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მისაღებად.

პროექტის წინასწარი განხილვა შედგება 2006 წლის 11 ივლისს, 12 საათზე ქ. დედოფლისწყაროს სამუსიკო სკოლის დარბაზში. მისამართი: ცხრა ძმის ქუჩა №6.

საჯარო განხილვა შედგება 2006 წლის 15 აგვისტოს 12 საათზე ქ. დედოფლისწყაროს სამუსიკო სკოლის დარბაზში. მისამართი: ცხრა ძმის ქუჩა №6.

ნარჩენების განთავსების პროექტთან დაკავშირებულ დოკუმენტებს შეგიძლიათ გაეცნოთ ფონდ "ჰორიზონტში". მისამართი: თბილისი, დოლიძის ქუჩა №2. ტელ.: 330893.

პროექტთან დაკავშირებული მოსაზრებებისა და შენიშვნების წერილობითი ფორმით წარდგენა შეიძლება შპს "ფრონტერა ისტერნ ჯორჯია"-ს ოფისში განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღის განმავლობაში შემდეგ მისამართზე: თბილისი, ფალიაშვილის ქუჩა №12. ტელ.: 252412.

დამატებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შპს "ფრონტერა ისტერნ ჯორჯია"-ს ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მენეჯერს მარიკა ბურჯანაძეს. მისამართი: თბილისი, ფალიაშვილის ქუჩა №12. ტელ.: 252412.

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ინფორმაცია**

**"სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვაქვეყნებთ ინფორმაციას 2006 წლის 14 აპრილს, 2 და 4 მაისს შ.ს.ს. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ ჩატარებულ ტენდერებში გამარჯვებულ პრეტენდენტთა სიას:**

ა/ტრანსპორტის ტექ.მომსახურების (სერვისი) შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ საერთაშორისო ტენდერში ხელშეკრულებები გაუფორმდათ:
- პირველ და მეოთხე ლოტში - შპს "იბერიასერვისს".
- მეორე ლოტში - შპს "აუტოჰაუზს".

კომპიუტერული და ორგანიზაციული ტექნიკის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში ხელშეკრულებები გაუფორმდათ:
- პირველ, მეოთხე და მეშვიდე ლოტებში შპს "ალტა"-ს.
- მეექვსე ლოტში შპს "ანგი"-ს.

ავეჯის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში ხელშეკრულება გაუფორმდა:
- შპს "ადეესს".

**სატენდერო კომისია**

**შესწორება**

შპს “ენგურჰესი"-ს მიერ სათადარიგო ნაწილების, მოწყობილობების და მასალების შესყიდვაზე ა.წ. 25 მაისს გამოცხადებულ ტენდერის განცხადებაში დამატების შეტანის შესახებ.

1. საქონლის მიწოდების ადგილი გალის რ-ნი დას. საბერიო შპს “ენგურჰესი".

**ცვლილებები მრავალწლიანი საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში**

1. ქ. ქუთაისის ადგილობრივმა თვითმმართველობამ 2006 წლის 17 მაისის გაზეთ "24 საათში" გამოაქვეყნა განცხადება ქ. ქუთაისში ქუჩებისა და მოედნების დაგვა-დასუფთავების მომსახურების მრავალწლიანი (2006-2010 წ.) საერთაშორისო ტენდერის მეთოდით შესასყიდად. განცხადების მეორე პუნქტის მეოთხე აბზაცის შემდეგ დაემატა:

2007 წელს დამატებით უნდა ფლობდეს ჰიდრავლიკურმცლელიანი მექანიზმით აღჭურვილ 4 სპეცავტომანქანას, 6 თვითმცლელ ავტომანქანას, 200 მეტალოპლასტიკის სპეციალურ ყუთს./შეძენა მოხდეს ეტაპობრივად/.

**სატენდერო კომისია**

# შორეული 1978 წლის შემდეგ

### თბილისის ჯაზის ფესტივალი საიუბილეო თარიღს აღნიშნავს

ია ვეკუა

1978 წელს თბილისის ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი იმ დროისთვის „შეუფერებლად“, ე. წ. კაპიტალისტურ რიტმებზე 8 დღის განმავლობაში მოძრაობდა - საბჭოთა კავშირის 13 ქალაქის 23 ჯაზკოლექტივი თბილისის პირველ ჯაზფესტივალის მონაწილეები იყვნენ. მას შემდეგ 28 წელი გავიდა, თბილისის ჯაზფესტივალი უკვე მეათედ იმართება, თუმცა შორეულ 78-ში ჩატარებული კონცერტები დღემდე ინარჩუნებს კლასიკურ სინჯს.

ფესტივალის ორგანიზატორი, დღეს უკვე ჯაზრადიო „სინდიკატის“ ვიცე პრეზიდენტი გაიოზ კანდელაკი, იმ დღეებს იხსენებს: „მეშვიდე კლასიდან ვუსმენ ჯაზს. ვაგროვებდი ფირფიტებს და ჩუმად „ამერიკის ხმის“ იმ გადაცემებსაც ვუსმენდი, რომლებიც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის სპეციალურად მზადდებოდა. 70-იანი წლების თბილისში უკვე მოქმედებდა რამდენიმე ჯაზ კოლექტივი: „რერო“, გეპეის კვარტეტი და ა. შ.

1978 წლის ფესტივალამდე ნიადაგი მეტ-ნაკლებად მომზადებული იყო. ბარათაშვილის ხიდის ქვეშ, სადაც ახლა „ნაით ოფისია“ განთავსებული, კომკავშირული კლუბი ფუნქციონირებდა. ჩემთან ერთად ამ კლუბს ბექა შოშიტაიშვილი, თემურ კაჭკაჭიშვილი და თემალ კიკნაძე ხელმძღვანელობდნენ. ამ კლუბში ხშირად იკრიბებოდნენ ჯაზმენები და ჯაზის მოყვარულები. სწორედ აქ ჩატარდა საქართველოში პირველი შიდა ჯაზ ფესტივალი, რაშიც, რაც უნდა უცნაური იყოს, კომკავშირი დაგვეხმარა. შემდეგ კი საბჭოთა კავშირის პირველი ჯაზ ფესტივალისთვის დავიწყეთ მზადება“.

მოსკოვის, ლენინგრადის, რიგის, ტალინის, როსტოვის, ბაქოს, ერევნისა და ქუთაისის ბენდები თბილისში 8 დღის განმავლობაში ჯაზავდნენ. საღამოობით კი იმ ადგილას, სადაც ახლა კინოთეატრი „ამირანია“ ჯემ სეიშენები იმართებოდა. ფესტივალი ჯანსულ კახიძემ და მისმა სიმფონიურმა ორკესტრმა გახსნა. სპეციალურად ამ დღისთვის ახალგაზრდა ტალინელი კომპოზიტორის მიერ დაწერილი ნაწარმოები ორკესტრმა რამდენიმე დღეში შეისწავლა. გახსნაზე რაველის „ბოლეროც“ შესრულდა, შემდეგ კი დარბაზში ჯაზი გაბატონდა.

„საღამოები ევგენი მაჭავარიანს და იურა ვაჩნაძეს მიჰყავდა. ეს დღეები ჩვენთვის დიდი დღესასწაული იყო. მაშინ არც განათების სისტემა არსებობდა, არც ხმის აპარატურა. მხოლოდ ერთ მოსკოველ კაცს - სახელად პუპსიკას ჰქონდა აპარატურა და მოსკოვიდან თავად ჩამოიტანა. მახსოვს, რუსეთის მხარის უკმაყოფილო ტექსტები - რატომ უნდა ჩატარდეს პირველი საბჭოთა ჯაზ ფესტივალი თბილისში და არა მოსკოვში?! ეს განსაკუთრებით აწუხებდათ“, - იხსენებს გაიოზ კანდელაკი.

მოსკოვი მეორედ, 1986 წელს „შეწუხდა“. ამჯერად ფესტივალის საზღვრები გაფართოვდა და მის რუკაზე საბჭოთა ქალაქების გარდა პოლონეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის აღმნიშვნელი ნიშნულებიც გაჩნდა. ფესტივალი მაისში გაიმართა, ორგანიზატორი კი საბჭოთა საქართველოს კულტურის სამინისტრო, „საიუზკონცერტი“, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი და სხვა სახელმწიფო სრუქტურები იყო.

„მაშინ ყველაფერი სახელმწიფოს ეკუთვნოდა - ჩვენც და ჩვენი იდეებიც, ამიტომ ფესტივალის ორგანიზება სწორედ სახელმწიფო სტრუქტურებს ვთხოვეთ. მახსოვს, მათთან სიტყვა ჯაზს არ ვახსენებდი და ვეუბნებოდი, რომ თანამედროვე საესტრადო მუსიკის ფესტივალის გაკეთება მინდოდა. იჯერებდნენ. სხვათაშორის, ქართველი კომუნისტები საკმაოდ ლოიალურები იყვნენ და თანამედროვედაც აზროვნებდნენ. ბევრი მათგანის ძალიან მადლობელი ვარ“, - ამბობს გაიოზ კანდელაკი.

თუმცა ალბათ ყველაზე თანამედროვედ მოაზროვნე კომუნისტსაც არ მოუვიდოდა თავში ის, რასაც კანდელაკი 1989 წლისთვის ამზადებდა. მესამე ფესტივალი კანდელაკმა ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გეგმაში ჩაასმევინა. თავად კი მონაწილეთა შეკრება დაიწყო. ამერიკელი იმპრესარიოს დახმარებით ორი თვითმფრინავი იქირავა, რათა ვარშავაში შეკრებილი რამდენიმე ათეული მუსიკოსი თბილისში ჩამოეყვანა. ვარშავაში ცარიელი თვითმფრინავით გაფრენა არ შეიძლებოდა, ამიტომ გაიოზ კანდელაკმა შვილის, კახას, მეგობრები (მგზავრების ნაცვლად) შეკრიბა და სტუმრების ჩამოსაყვანად მათთან ერთად ვარშავაში გაემგზავრა.

1989 წლის გაზაფხული საქართველოს ისტორიაში ყველაზე ცხელი აღმოჩნდა. მიტინგები, საპროტესტო აქციები, მსვლელობები და... ჯაზ ფესტივალი. ამდენი ამერიკელი და ევროპელი სტუმარი თბილისს მანამდე არ ახსოვს: ფრედი ჰაბარდი, ჯიმი სმიტი, ლუთერ ელისონის ბენდი, არტ ბლეკი, ჯეკი მაკლინი - ამერიკელი, ფინელი, პოლონელი, შვეიცარელი და გერმანელი მუსიკოსების გვერდით ქართველი და საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების ჯაზმენები უკრავდნენ.

„მაშინ თბილისი პროტესტით სუნთქავდა. თითქმის ყოველდღე მიტინგი იმართებოდა. ჯაზ ფესტივალიც ამ პოროტესტის ერთ-ერთი ფორმა იყო. მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ საბჭოთა კავშირის საზღვრებს ერთბაშად ამდენი „კაპიტალისტური“ ქვეყნის წარმომადგენელი გადმოლახავდა და ჩვენს საზოგადოებას ე. წ. ამერიკულ მუსიკას ასეთი დოზით აზიარებდა. ბედნიერი ვარ, რომ ამ ყველაფრის მონაწილე ვიყავი. ისევე როგორც დღეს, როდესაც კვლავ განვაგრძობ ჯაზის პოპულარიზაციას. რადიო „სინდიკატი“, სწორედ, ის ტალღაა, რომლის საშუალებითაც 24 საათის განმავლობაში ჯაზის, ბლუზის, ფუჟენისა და ფანკის საუკეთესო ნიმუშები ჟღერს. ამ რადიოს მეშვეობით ბევრ ახალგაზრდა დაიწყებს ჯაზურად აზროვნებას“, - ამბობს გაიოზ კანდელაკი.



მასეო პარკერი და კახა კანდელაკი, 1998წ.

დღეს ჯაზურად აზროვნებენ გაიოზ კანდელაკის შვილი კახა და მისი მეგობარი - მიშა გიორგაძე, ანუ „ისტერნ პრომოუშენი“, რომელიც შორეულ 1978 წელს დაწყებული საქმის მემკვიდრეებად ითვლებიან. გაიოზ კანდელაკი იხსენებს: „კახა და მისი მეგობრები თითქმის ჩემთან იზრდებოდნენ. კახა თავისი მეგობრებისთვის ჩანაწერებს აკეთებდა და ჯაზის მოსმენას აჩვევდა. ისინი დღემდე ერთად არიან და ჩემს დაწყებულ საქმეს აგრძელებენ.“

მიშა გიორგაძე ერთ-ერთი იმათგანია, ვინც 1989 წელს დაქირავებული თვითმფრინავით ვარშავაში ვარსკვლავების ჩამოსაყვანად გაემგზავრა. „მაშინ პატარა ბიჭები ვიყავით. პირველად შევხვდით ასეთი დონის ვარსკვლავებს. ჩვენ საბჭოთა ეპოქის შვილები ვიყავით და ვერც კი წარმოვიდგენდით, მსოფლიოში რა ხდებოდა. მაშინ ეს ყველაფერი ჩვენთვის გართობა იყო, მაგრამ ჩემთვის და კახასთვის საბოლოოდ საქმედ იქცა“, - იხსენებს მიშა გიორგაძე.

1989 წლის ლეგენდარული ფესტივალის შემდეგ პირველი მცდელობა მხოლოდ 1996 წელს ჰქონდათ, როდესაც თბილისში რეი ჩარლზი ჩამოიყვანეს, შემდეგ „მანჰეტენ ტრანსფერი“, მასიო პარკერი. თუმცა ეს არ იყო ფესტივალი - თბილისის მეოთხე ჯაზ ფესტივალი მხოლოდ 2000 წელს, უკვე „ისტერნ პრომოუშენის“ ბრენდით ჩატარდა და ძირითადად, ქართველ და რუს ჯაზმენებს უმასპინძლა. აქვე იყვნენ სომხეთის, პოლონეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის წარმომადგენლები.

მას შემდეგ ფესტივალი სტაბილურად იმართება და ყოველ წელს უფრო მნიშვნელოვანი ხდება. მაგალითად, 2003 წელს, როდესაც ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში კენი გარეტის კვარტეტს ვუსმენდით, ვერც კი წარმოვიდგენდით, რომ მომდევნო წელს იმავე დარბაზში ჯონ მაკლაფლინსა და ბობი მაკფერენს შევხვდებოდით. ან სულაც, შარშანდელი ფესტივალი გავიხსენოთ - ჯორჯ ბენსონი, დევიდ სენბორნი, რენდი ბრეკერი და ჯონ სკოფილდი.

„ფესტივალის დასრულების მეორე დღესვე ვადგენთ იმ ვარსკვლავების სიას, რომლებიც მომდევნო წელს უნდა მოვიწვიოთ. მათ პოპულარობის, ჩვენს ბაზარზე აქტუალობისა და მუსიკალური ხარისხის მიხედვით ვირჩევთ. თუმცა ჩვენი გემოვნებაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ამ მხრივ კახა კანდელაკს ვენდობით, რადგან ყველაზე კარგად იცნობს ჯაზს. სია, როგორც წესი, გაცილებით მოცულობითია, ვიდრე საბოლოო შედეგი, რადგან ვაკლებთ იმ შემსრულებლებს, რომელთა ჰონორარს ვერ შევწვდებით, ან მათი საკონცერტო გრაფიკი ჩვენთვის მიუღებელია“, - ამბობს მიშა გიორგაძე.

სწორედ, ამ მიზეზით გამოაკლდა წლევანდელ ფესტივალს სტინგი, რომლის ჩამოსვლასაც „ისტერნ პრომოუშენი“ ჯერ კიდევ შემოდგომაზე გვპირდებოდა. თბილისი ფესტივალი ივნისში ტარდება, სტინგს კი მხოლო ინლისის ბოლოს „ეცალა“. თუმცა ვინც წლევანდელი ფესტივალის აფიშას იცნობს, ამ დანაკლისს დიდად არ განიცდის!

წელს თბილისი ჯაზ ფესტივალი (მას უკვე რამდენიმე წელია, „კოკა კოლას ჯაზ ფესტივალი“ ჰქვია) მეათედ ჩატარდება. ამ საიუბიულეო თარიღს „ისტერნ პრომოუშენი“ მხოლოდ ფესტივალით არ აღნიშნავს. 26 სექტემბერს ჯაზის მოყვარულებს კიდევ ერთი დღესასწაული ელით - ლეგენდარული ჩიკ კორეა და გარი ბარდონი თბილისს თავიანთი ერთობლივი ალბომის Crystal Silence-ის გამოსვლიდან 35 წლის იუბილეს აღსანიშნავად ესტუმრებიან.

ავიაკომპანია
"არკია ისრაელის ავიახაზები"
აბრძელებს რეგულარულ
რეისს 23 ივნისიდან, ყოველ პარასკევს
თბილისი - თელ-ავივი



თელ-ავივი - თბილისი - IZ 417 04.55-08.40
თბილისი - თელ-ავივი - IZ 418 10.25-12.25
განრიგი ძალაშია 23 ივნისიდან 20 ოქტომბრამდე. გაფრენისა და მოფრენის დროები ადგილობრივია.

ბილეთის ფასია:
275 აშშ დოლარი (ერთი გზა)
349 აშშდოლარი (ორი გზა)
თანამედროვე საჰაერო ხომალდი ბოინგ 757-200/300 (191/253 სავარძელი), უმაღლესი კლასის სერვისი, კვების რეჟიმი - მგზავრის სურვილისამებრ.

გადახდა კურსის შესაბამისად ეროვნული ვალუტით. ავიაბილეთის ფასი არ შეიცავს აეროპორტის მოსაკრებლებს.
ჩვენთან შეგიძლიათ შეიძინოთ ბილეთები ა/კ "საქართველოს ავიახაზების" თელ-ავივის რეისზე.
აგრეთვე ბილეთები ნებისმიერი მიმართულებით.
ქ. თბილისი, კარგარეთელის ქ. N 7, ტელ: 91-04-99, 91-06-16. ფაქსი: 91-04-99
e-mail: mail@arkia.ge

მეტი კომფორტი, მეტი სისწრაფე, ნაკლები ფასი

ალდაგი
გადართე 4 სიჩქარეში
26 მაისიდან 26 დღე
ცხელი ხაზი 929
ავტომობილის სრული დაზღვევა
4%



გადართე მეხუთედან მეოთხე სიჩქარეში

26 მაისიდან 26 დღის განმავლობაში, "ალდაგი" გთავაზობთ ავტომობილის სრულ დაზღვევას საუკეთესო პირობებით. პირები, რომლებიც აღნიშნულ პერიოდის განმავლობაში დააზღვევენ ავტომობილს მიიღებენ სპეციალურ ტარიფს 4%

დარეკე აქციის ცხელ ხაზზე 929 და მიიღე ინფორმაცია დამატებითი ბონუსის შესახებ.

# სიტყვათა განმარტებიდან საქმეზე

## მუზეუმის მთავარი მცველის მონოლოგი

სოფო კილასონია

დავით ლორთქიფანიძე ბევრისთვის ჯერ კიდევ ზეზვასა და მზიასთან ასოცირდება. თუმცა მისი საქმე და ინტერესები დიდი ხანია, რაც არქეოლოგიურ წიაღსვლებს გასცდა. კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და გადარჩენის პრობლემის დღის წესრიგში დასმის დღიდან სამუზეუმო სფეროსაც მიაქციეს ყურადღება. ორი წელი შესრულდება მას შემდეგ, რაც დავით ლორთქიფანიძემ „ეროვნული მუზეუმის პროექტი“ ჩაიბარა და თავად ამ პროექტის ავტორადაც წარდგა კულტურის სფეროთი დაინტერესებული საზოგადოების წინაშე.

სამუზეუმო სფეროს არცთუ ისე კარგი მდგომარეობის გამო, თავიდან დიდად არ მოხიბლულა პროექტის ხელმძღვანელობაზე საკუთარი პიროვნების წარდგენით, მაგრამ მაინც დასთანხმდა შემოთავაზებას. ისე კი ალტერნატიული წინადადებები ბევრი ჰქონია. სანამ იმ სფეროზე დავიწყებდით დიალოგს, რომლისთვისაც ჩვენი შეხვედრა დაიგეგმა, ჟურნალისტიკისა და ჟურნალისტების ზოგად ღვაწლზე ისაუბრა. განსაკუთრებულ მოვლენად მიიჩნევს მათთან ურთიერთობას, რადგანაც საკუთარ წარმატებას იმასაც აბრალებს, რომ ქართველი და უცხოელი ჟურნალისტების ინტერესის სფეროში ხშირად ექცეოდა. მცირე და საინტერესო ექსკურსის შემდგომ საქმეზე, ანუ მუზეუმზე საუბარიც დავიწყეთ. თუმცა არა, მე საუბარს არ ვთავაზობ მკითხველს, ეს უფრო ეროვნული მუზეუმის დირექტორის, ბატონი დავით ლორთქიფანიძის მონოლოგია. ჩემს რესპონდენტს ბევრი ჰქონდა სათქმელი და ის კითხვები, რომელიც მის მონოლოგს წყვეტდა, დიალოგში დიდად მნიშვნელოვნად არ მოგვჩვენებია.

### ამოცანა და რეალობა

ნებისმიერი საქმეში პირველი ამოცანა არის იმის ჩამოყალიბება, თუ რა გინდა რომ გააკეთო; მეორეა ის, თუ რა რესურსი გაქვს საამისოდ. ერთია ის, რასაც ხედავს საზოგადოება მუზეუმის სახით და მეორეა, რას წარმოადგენს მთელი ეს მექანიზმი. ეროვნული მუზეუმი კიდევ ცალკე თემაა და იგი განსხვავდება რომელიმე კონკრეტული მუზეუმისგან. ის, რაც ჩვენთან ეროვნული მუზეუმის სახით იქნება, ჩემი აზრით, არის სახელმწიფოებრივი ხედვის ნაწილი. თუ ეროვნული მუზეუმი არ არის ადაპტირებული საზოგადოებასთან, ის ვერ იმუშავებს. სხვა თემაა, რას ვხედავთ ჩვენ მუზეუმის ფუნქციაში.

თუ მივყვებით პუნქტებით: ის უნდა ინახავდეს, იცავდეს მემკვირეობას, ის უნდა იყოს ადვილად ხელმისაწვდომი მეცნიერებისთვის, მასში მეცნიერული კვლევა უნდა მიმდინარეობდეს, ეს უნდა იყოს ის ადგილი, რომელიც პირდაპირ კავშირში იქნება განათლებასთან, საზოგადოებასთან, ეკონომიკასთან.

თქვენ მეტყვით, რომ მე ვამბობ იმას, რაც სახელმძღვანელოში წერია, მაგრამ საინტერესოა, როგორ იყო ეს მოდელი ჩვენთან ადაპტირებული და როგორ იქნება ეს სამომავლოდ.

**- თქვენ გააერთიანეთ ოთხი მუზეუმი, ოთხი სრულიად განსხვავებული სპეციფიკისა, არც ერთში არ არის, მსუბუქად რომ ვთქვათ, საუკეთესო მდგომარეობა. საქმის საწყის პერიოდზე რამდენად გამართლებული იყო მათი ერთ სისტემაში მოქცევა? შექმენით ბევრად რთულად სამართავი ორგანიზმი, დღეს როგორ ფიქრობთ, ასე უნდა მოქცეულიყავით?**

- მუზეუმების კონგლომერატი არც ისე უცხო მოდელია. იგივე ლუვრი შედგება პატარ-პატარა ორგანიზმებისგან, უბრალოდ მათ გალერეები ჰქვიათ. თუ ლუვრის ფართობს დავთვლით, საქართველოს ყველა მუზეუმი დაეტევა. ყველაზე ახლოს ჩვენი პროექტი სმიტსონიანის ინსტიტუტს ჰგავს, სადაც მუზეუმები და სამეცნიერო ცენტრები ერთად არის თავმოყრილი. ანუ ეს მოდელი ახალი ველოსიპედის გამოგონება არ არის. ეს არის ის შემთხვევა, როცა რესურსის მართვას ერთ სისტემაში ახდენ.

ჩემი აზრით, ეს ყველაზე ოპტიმალური გამოსავალია - საჭიროა მთელი რესურსის გაერთიანებაში მომზადება და მერე მათი ხელახალი დალაგება. დარწმუნებული ვარ, რომ ეს სქემა ბიზნესშიც გამოიყენება.



*დავით ლორთქიფანიძე: „ფასადურ ცვლილებებს ჩვენ ფუნდამენტური ცვლილებები ვარჩიეთ.“*

თუ საუბარს დავიწყებთ ჯანაშიას მუზეუმით, აქ ამ წუთში სრული რემონტია, მიმდინარეობს მთელი შენობის რეაბილიტაცია, კოლექციები მომზადებული და დაბინავებულია. ეს ურთულესი საქმეა. ეს მუზეუმი შენობის სრული რეაბილიტაციისთვის ყველაზე მეტად იყო მზად. აქ უფრო სწორად იყო დაგეგმილი მენეჯმენტი და ფრანგ კოლეგებთან ერთად ეს სამუშაოები დავიწყეთ. პარალელურად არის „ქართუ ჯგუფი,“ რომელიც ფინანსურად გვეხმარება.

ახლახან გავხსენით საბჭოთა პერიოდის საექსპოზიციო დარბაზი, ვაკეთებთ აუდიტორიას, რომელიც ოქტომბრიდან გაიხსნება. აქამდე არ მახსოვს, რომ რომელიმე ჩვენს მუზეუმში აუდიტორია ყოფილიყოს. ეს იქნება საზოგადოებრივი ცოდნის გამავრცელებელი ადგილი, ყველაფრით აღჭურვილი. ეს მუზეუმი თავიდან ისე იყო დაგეგმილი, რომ არც ერთი საზოგადოებრივი სივრცე არ ჰქონდა, ამიტომაც მისი გადააზრება გახდა საჭირო. ცვლილებები ვერ მოხდება მალე...

### ხელოვნების მუზეუმი

რაც შეეხება ხელოვნების მუზეუმს. დიახ, ის ყველაზე დიდი ტკივილია. როცა ხელოვნების მუზეუმი ახალ სისტემაში შემოვიდა, მისი ყველაზე დიდი ნაწილი აღარ იყო მუზეუმის საკუთრება. ამ ეტაპზე მუზეუმი სრულად არის მომზადებული სარემონტოდ. სექტემბერში იწყება რემონტი. დიდი დრო სჭირდება შენობის გადაპროექტებას და დიაგნოსტიკას. ეს პროცესი სრულდება. მაგრამ რეაბილიტაციას სანამ დავიწყებდით, საჭირო იყო კოლექციების მომზადება გადაადგილებისთვის.

**- ორი წელი იყო ამისთვის საჭირო?**

- შეიძლება ხუთი წელიც დასჭირდეს, საფრანგეთის კოლექციებს დასჭირდა მეტი ხანი.

**- საფრანგეთის კოლექციებს რაოდენობრივად მაინც ნუ შევადარებთ ჩვენსას**

- რა თქმა უნდა, მაგრამ ლაპარაკია იმაზე, რომ სად უნდა წავიღოთ ისინი? არ იყო ადგილი, ახლა დავიბრუნეთ შენობის დაკარგული ნაწილები. კოლექციები, რომელიც ადგილს იცვლიან, მათ „მკურნალობა“ სჭირდებათ. წინააღმდეგ შემთხვევაში დაიღუპებიან.

ფასადურ ცვლილებებს ჩვენ ფუნდამენტური ცვლილებები ვარჩიეთ.

ამის გარდა, ჩვენ გვყავს უცხოელი კონსულტანტები, რომლებიც გვეხმარებიან ამ პროცესებში. აქ არის ლუვრის სარესტავრაციო განყოფილების კურატორი, იგი ლექციებს წაიკითხავს. საბოლოოდ ჩვენ ყველა ექსპონატის გადაადგილებასა და შეფუთვას ყველა სტანდარტის დაცვით გავაკეთებთ. მე შემიძლია სრული პასუხისმგებლობით ვთქვა, რომ ხელოვნების მუზეუმი გადავა იმ რეჟიმზე, სადაც ერთი მხრივ, იქნება მომზადებული საცავები, მეორე მხრივ, მომზადდება საექსპოზიციო სივრცე.

### „ქარვასლა“ ანუ ისტორიის მუზეუმი

ქარვასლა იყო თითქმის დაკარგული სივრცე, ერთი წელი დაგვჭირდა მის დასაბრუნებლად. შეიძლება თუ არა რეფორმის დაწყება, თუ შენ კონტროლი არ გაქვს - არა. ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ ყველა გაურკვეველმა ორგანიზაციამ მუზეუმის ტერიტორია დატოვა. ამ დღეებში გადაწყდა ქარვასლის შენობის კვლევის დაფინანსების საკითხი, რომლის ანალიზიც შემოდგომისთვის უნდა გახდეს ცნობილი.

სისტემა ამ მუზეუმებში დალაგდება.

### ღია ცის ქვეში

რაც შეეხება ღია ცის ქვეშ მუზეუმს, ამ ეტაპზე დაწყებულია მისი მზადებაც. ეთნოგრაფიული მუზეუმი იქნება სიმბიოზი, როგორც კულტურული მემკვიდრეობის, ისე ბუნების. ის იქნება ადგილი, სადაც თითოეული მხარე იქნება წარმოდგენილი, როგორც ბუნებით, მცენარეებით, ისე იმით, რასაც იგი აქამდე წარმოადგენდა. რაც მთავარია, ეს იქნება საგანმანათლებლო პროექტების ცენტრი.

**- საგანმანათლებლო ცენტრები სხვა მუზეუმებშიც ხომ იქნება?**

- დიახ, ყველაგან, მაგრამ იქ იქნება ექსპერიმენტული.

როცა საუბარია იმაზე, თუ რატომ არ მოხდა მკვეთრი ცვლილებები, გეტყვით, რომ ჩვენ არ ვიყავით დიდი ფინანსებისთვის მზად. მაგრამ ცვლილებები მხოლოდ ფულით ვერ მოხდება. რაც დავიბადე, სულ ხელოვნების მუზეუმის პრობლემებზე მესმის საუბარი. მაგრამ პირველად ახლა გაჩნდა რეალური მისი სტრუქტურის ცვლილების გეგმა.

### დაბოლოს

მუზეუმი არის ორგანიზმი, რომელიც უხსნის გზას მეცნიერებს, ბიზნესს, რომელსაც კულტურული მემკვიდრეობის სფეროში სურს ფულის ჩადება. მუზეუმის დამსახურებაა სამუზეუმო უბნის, ქუჩის პროექტის განხორციელებაც.

სიტყვა „მუზეუმი“ უნდა გახდეს საიმედო რეპუტაციის, პარტნიორის აღმნიშვნელი, რომელიც გზას გაუხსნის სხვა სფეროებს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან მალე აღარ იქნება საჭირო ეს გაერთიანება და თითოეული მუზეუმი დამოუკიდებლად გააგრძელებს არსებობას. ახლა კი საჭიროა გავარკვიოთ, რა არის ოცდამეერთე საუკუნის ეროვნული მუზეუმი. საბოლოოდ, ის, თუ როგორ ჩამოყალიბდა სამუზეუმო საქმე საქართველოში, გახდება სამაგალითო, სწორედ ისეთი, როგორსაც ვკითხულობთ სახელმძვანელოებში.

რესპონდენტის ციტირება დავასრულე, მაგრამ ჩვენი საუბარი ამით როდი დასრულებულა. სხვა მრავალთან ერთად, საუბარი გვქონდა სამუზეუმო კადრებზეც. არც ერთი რეფორმა არ განხორციელდება კარგად, თუ მას პროფესიონალი, ენთუზიასტი, საკუთარ საქმეზე შეყვარებული ადამიანები არ ახორციელებენ. მით უფრო, ჩვენს მუზეუმებს ამ საკითხში აშკარა პრობლემები გააჩნია. ბატონი დათო ამაშიც მეთანხმება, თუმცა ფაქტია, რომ მუზეუმის საკადრო რეფორმა აქამდე მაქსიმალურად უმტკივნეულო გზას ირჩევდა, როგორც ჩანს, ცვლილება ამ თვალსაზრისით ეტაპობრივი იქნება.

შეხვედრა მუზეუმის საექსპოზიციო დარბაზში დასრულდა. იქ, სადაც ხალიჩების გამოფენაა წარმოდგენილი. არაბესკები ფერადოვან ქსოვილებში ნანახი მქონდა, მაგრამ შევიფერე, რადგანაც გამიმართლა, გიდობას ხომ თავად დირექტორი, დავით ლორთქიფანიძე მიწევდა.


# განცხადება ორეტაპიანი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი" ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის, მმართველობითი და თანმდევი საგანმანათლებლო მომსახურების შესყიდვის მიზნით აცხადებს ორეტაპიან ტენდერს გლობალური ფონდის **"მალარიის პრევენციისა და კონტროლის ეფექტური განხორციელების მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების გაძლიერება საქართველოში 2004-2006 წლებში"** პროექტის (GEO304-G02-M-00) ფარგლებში გათვალისწინებულ ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. დაფინანსების წყარო: საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახსრები ("გლობალური ფონდის" პროექტი GEO304-G02-M-00).

3. შესყიდვის ობიექტია: "მალარიის პრევენციისა და კონტროლის ეფექტური განხორციელების მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების გაძლიერება საქართველოში 2004-2006 წლებში", რაც ითვალისწინებს:

- მალარიის სახელმწიფო პროგრამისა და ჯანდაცვის დაწესებულებათა შესაძლებლობების გაძლიერება;
- ქვეყნის შესაბამისი სამსახურების შესაძლებლობების გაუმჯობესება მალარიის ადრეულ დიაგნოსტირებასა და ადექვატური მკურნალობისათვის;
- მალარიის დაავადების გადამტანებზე ხელმისაწვდომი და მყარი კონტროლის განხორციელება;
- ქვეყნაში მალარიაზე ზედამხედველობის მექანიზმის გაძლიერება;
- მოსახლეობის ინფორმირება და მათი მონაწილეობის ხარისხის გაძლიერება მალარიის კონტროლისა და აღმოფხვრის სამუშაოებში.

4. მომსახურების გაწევის სასურველი ვადაა: 2006 წლის 1 ივლისი - 2007 წლის 30 ივნისი.

5. დაინტერესებულ პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 21 ივნისის 18:00 სთ.-მდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზირი N23ა, II კორპუსი, სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი".

6. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველმა უნდა უზრუნველყოს შემდეგ ცნობებისა და ინფორმაციის წარმოდგენა:

6.1 *იურიდიული პირისათვის:*

- შესაბამისი ორგანოს დადგენილება რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
- ცნობა საგადასახადო ორგანოდან, რომ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
- ცნობა ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

6.2 *ფიზიკური პირისათვის:*

- ცნობა, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა (შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);
- ცნობა, რომ უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (შინაგან საქმეთა სამინისტროდან);
- ცნობა რაიონული სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

6.3 *როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირებისათვის*:

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები: მისამართი, საფოსტო ინდექსი, ტელეფონი, ფაქსი, E- Mაილ, საბანკო რეკვიზიტები;
- სატენდერო დოკუმენტაციაზე ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (საჭიროების შემთხვევაში);
- ინფორმაცია მსგავს შესყიდვებში მონაწილეობის შესახებ;
- ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ, გადასახადის სახეების მიხედვით.

**ტენდერში** მონაწილეობის მსურველმა იურიდიულმა და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების სახით დამატებით უნდა წარმოადგინონ:

ა) ინფორმაცია მალარიის პრევენციასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელების გამოცდილების შესახებ (ინფორმაცია მალარიის მართვის და მონიტორინგის გამოცდილების და სათანადო დიაგნოსტიკური და ლაბორატორიული საქმიანობების შესახებ);

ბ) ინფორმაცია კადრების კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ (გამოცდილების მქონე ექიმებისა და ექიმი-ლაბორანტების კვალიფიკაციის მითითებით და სახელმწიფო/ან საერთაშორისო სერტიფიკატი, მისი საჭიროების შემთხვევაში);

გ) ინფორმაცია ტრეინინგებისა ან/და თემატური სასწავლო პროცესის განხორციელებისა და გამოცდილების შესახებ (არსებული მეთოდოლოგია, ინფორმაცია სათანადო ბაზის არსებობასთან დაკავშირებით);

დ) ინფორმაცია მალარიის გავრცელების საწინააღმდეგოდ მიმართული სათანადო საინფორმაციო-საგანმანათლებლო საქმიანობის გამოცდილების შესახებ;

ე) საშიშ ინფექციებზე მუშაობის გამოცდილება;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ლიცენზიები /ნებართვები შესყიდვის ობიექტით გათვალისწინებული საქმიანობის უზრუნველყოფისათვის.

7. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, 3 (სამ) ეგზემპლარად (მათ შორის: ერთი ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი და 2 (ორი) ასლი).

8. პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულ იქნება ტენდერის მსვლელობის ნებისმიერ ეტაპზე, ყალბი საკვალიფიკაციო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში.

9. საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად ასევე წარმოდგენილ უნდა იქნეს პირველადი სატენდერო წინადადება *ფინანსური მახასიათებლების გარეშე* დახურულ კონვერტში, ხელმოწერილი ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელის მიერ. პირველადი სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს:

9.1 გასაწევი მომსახურების აღწერილობასა და მეთოდოლოგიას ქვემოთ აღნიშნული მიზნების განსახორციელებლად:

- რაიონული ჯანდაცვის ცენტრების სპეციალისტთა (ეპიდემიოლოგები, პარაზიტოლოგები) სწავლება დაავადების მართვაში, ეპიდემიოლოგიურ კონტროლში და მოსახლეობის მობილიზაციაში;
- საინფორმაციო-საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელება, მოსახლეობასა და მალარიის პოტენციურ კერებში;
- მალარიასთან ბრძოლისათვის განკუთვნილი მასალებისა და აღჭურვილობის მომარაგების კონტროლი და მონიტორინგი პროექტის მიმდინარეობის ყველა დონეზე;
- არსებული საინფორმაციო და დაავადების შესახებ ანგარიშთა სისტემის გაუმჯობესება;
- თითოეულ რაიონში საინფორმაციო-საგანმანათლებლო-საკომუნიკაციო სამუშაოების განხორციელებისათვის კადრების შერჩევა და სწავლება;
- საინფორმაციო-საგანმანათლებლო-საკომუნიკაციო სტრატეგის შემუშავება მალარიის გამოვლენის, მკურნალობისა და მოსახლეობის მალარიის გადამტანებისაგან პერსონალური დაცვის უზრუნველსაყოფად.

9.2 გასაწევი მომსახურების ვადებს (გეგმა-გრაფიკი);

9.3 არსებული და მომსახურების განხორციელების უზრუნველყოფისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ინვენტარის ჩამონათვალს (სათანადო ტექნიკური პარამეტრის/სპეციფიკაციის დართვით ქართულ და ინგლისურ ენებზე), რომლის საშუალებითაც განხორციელდება აღნიშნული მომსახურება;

9.4 ინფორმაციას სუბკონტრაქტორების მიერ გასაწევი მომსახურების შესახებ და მათთან დადებული ურთიერთვალდებულებათა შესახებ ხელშეკრულებების ორიგინალს, ან ნოტარიალურად დამოწმებულ ასლებს (არსებობის შემთხვევაში);

9.5 სუბკონტრაქტორის მონაწილეობის შემთხვევაში მათ მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს მე-6 პუნქტში აღნიშნული და მათ მიერ გასაწევ საქმიანობაზე შესაბამისი საკვალიფიკაციო მონაცემები.

10.Pპირველადი სატენდერო წინადადებების შეფასებისას მხედველობაში მიიღება მათი შესაბამისობა მოცემული საქმიანობის მიზანთან.

11. 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდგომ (სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი"-ს (საიდ. კოდი: 211327580) ანგარიშზე: საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი (ბანკის კოდი: 220101502, ანგარიშის ნომერი ლარებში: 36089810205272040003 (005606074); დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია, შედგენილი ქართულ ენაზე, გაიცემა 2006 წლის 1 ივნისის 10:00 სთ-დან 2006 წლის 20 ივნისის 17:00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე ქ.თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23ა, II კორპუსი, V სართული.

12. ტენდერში შესაძლებელია ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.

13. ტენდერიოს მეორე ეტაპზე სატენდერო დოკუმენტაცია გაიხსნება 2006 წლის 28 ივნისს 16:00 სთ.-ზე.

14. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება.

15. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: მერაბ იოსავა, სანდრო კვაჭანტირაძე, დავით აბდუშელიშვილი. სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი", მისამართზე: ქ. თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23ა, II კორპუსი, ტელ./ფაქსი: (995 32) 388-210, (995 32) 388-220, (995 32) 331-939, E-mail: globalfund@caucasus.net



# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ყვარლის რაიონის გამგეობა, მისამართი ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. N1, აცხადებს ტენდერს ქ. ყვარლის სასმელი წყლით მომარაგების გასაუმჯობესებლად მდ. "დურუჯის" დრენაჟ-გალერეისა და მილსადენის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

მდ. დურუჯზე მოეწყობა დრენაჟ-გალერეა სიგრძით 400 მ, სიგანით 8 მ, სიღრმე 5 მ.

მილსადენი - 1600 მეტრზე დ 300 მმ.

შესყიდვის ობიექტის კონკრეტული პარამეტრები მითითებულია სატენდერო დოკუმენტაციაში:

1. ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარი შემდეგ რეკვიზიტებზე: ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, ა/ა N33030000, სახაზინო შემოსავლების კოდი 30564040 და წარმოადგინონ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, რის შემდეგაც გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებები და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, შემდეგ მისამართზე ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. N1 ყვარლის რაიონის გამგეობა.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირისათვის:

ა) სარეგისტრაციო დოკუმენტები და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრიდან მის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან დავალიანების არ არსებობის შესახებ;

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიართ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია და/ან ლიკვიდაცია.

ფიზიკური პირისთვის:

ა) სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან დავალიანების არ არსებობის შესახებ;

გ) ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედითუნარიანია.

სატენდერო წინადადების წარდგენის ბოლო ვადაა 2006 წლის 25 ივნისი, 12 სთ. დაგვიანებული სატენდერო წინადადებები არ მიიღება.

სატენდერო წინადადებები გაიხსნება 2006 წლის წლის 22 ივნისს, 12 სთ-ზე.

საკონტაქტო პირი თენგიზ ბუჯიაშვილი სახელმწიფო შესყიდვების კოორდინატორი. ტელ. 877 75 75 83

**სატენდერო კომისია.**

# ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2006 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

### კვების პროდუქტების მიწოდება

| ლოტი1 | საქონლის დასახელება | განზომილება | თბილისი ობიექტი №1 (რაოდ) | თბილისი ობიექტი №2 (რაოდ) | თბილისი ობიექტი №3 (რაოდ) | თბილისი ობიექტი №4 (რაოდ) | თბილისი ობიექტი №5 (რაოდ) | თბილისი ობიექტი №6 (რაოდ) | ოქროყანა (რაოდ) | მთლიანი რაოდენობა (ჯამში) | ერთეულის ფასი (ლარი) | საერთო ღირებულება (ლარი) | მიწოდების ვადები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
| შ.პ.ს „ჯი ეს-ეი“ | პური I ხ. ფქვ. | კგ | 91800 | 2570 | 8169 | 10450 | 5140 | 11020 | 3120 | 132269 | 0.65 | 85974.85 | ყოველდღე |
| | პური რუხი | კგ | 45900 | 1290 | 1560 | 5200 | 2570 | 5510 | 1560 | 63590 | 0.57 | 36246.3 | ყოველდღე |
| | ხორბლის ფქვ. I ხარ. | კგ | 1530 | 40 | 142 | 170 | 80 | 180 | 50 | 2192 | 0.54 | 1183.572 | თვეში ერთხელ |
| | ბურღულეული | კგ | 15300 | 420 | 1418 | 1750 | 860 | 1840 | 520 | 22108 | 1.4 | 30951.2 | თვეში ორჯერ |
| | ბრინჯი | კგ | 6120 | 170 | 200 | 700 | 340 | 730 | 210 | 8470 | 1.2 | 10164 | თვეში ორჯერ |
| | მაკარონის ნაწ. | კგ | 6120 | 170 | 384 | 700 | 340 | 730 | 210 | 8654 | 1.35 | 11682.36 | თვეში ორჯერ |
| | ხორცი საქონლის | კგ | 30600 | 860 | 1601 | 3500 | 1720 | 3670 | 1050 | 43001 | 6.2 | 266605 | ხუთ დღეში ერთხელ |
| | თევზი | კგ | 15300 | 430 | 1234 | 1750 | 860 | 1840 | 520 | 21934 | 4 | 87737.6 | ხუთ დღეში ერთხელ |
| | რძის ფხვნილი | კგ | 3970 | 110 | 130 | 450 | 220 | 480 | 140 | 5500 | 6.4 | 35200 | თვეში ორჯერ |
| | არაჟანი | კგ | 3060 | 85 | 100 | 350 | 170 | 370 | 100 | 4235 | 3.5 | 14822.5 | სამ დღეში ერთხელ |
| | ხაჭო | კგ | 3060 | 85 | 100 | 350 | 170 | 370 | 100 | 4235 | 4.4 | 18634 | სამ დღეში ერთხელ |
| | ყველი | კგ | 3060 | 85 | 100 | 350 | 170 | 370 | 100 | 4235 | 6.5 | 27527.5 | ხუთ დღეში ერთხელ |
| | შაქარი | კგ | 10710 | 300 | 544 | 1220 | 600 | 1300 | 370 | 15044 | 0.95 | 14291.42 | თვეში ორჯერ |
| | კარაქი | კგ | 6120 | 170 | 210 | 700 | 340 | 740 | 210 | 8490 | 4.4 | 37356 | ხუთ დღეში ერთხელ |
| | მარგარინი | კგ | 1530 | 40 | 463 | 170 | 85 | 180 | 50 | 2518 | 2.2 | 5539.82 | ხუთ დღეში ერთხელ |
| | მცენ. ზეთი | ლ | 3060 | 85 | 375 | 350 | 170 | 370 | 100 | 4510 | 2.2 | 9922.88 | თვეში ორჯერ |
| | კარტოფილი | კგ | 76500 | 2100 | 7190 | 8700 | 4300 | 9200 | 2600 | 110590 | 0.55 | 60824.5 | თვეში სამჯერ |
| | კომბოსტო | კგ | 22950 | 640 | 1902 | 2600 | 1300 | 2750 | 780 | 32922 | 0.45 | 14814.72 | თვეში სამჯერ |
| | ჭარხალი | კგ | 4590 | 130 | 563 | 520 | 250 | 550 | 160 | 6763 | 0.4 | 2705.24 | თვეში სამჯერ |
| | სტაფილო | კგ | 9180 | 260 | 769 | 1050 | 500 | 1100 | 310 | 13169 | 0.7 | 9218.3 | თვეში სამჯერ |
| | ხახვი | კგ | 9180 | 260 | 861 | 1050 | 500 | 1100 | 310 | 13261 | 0.7 | 9282.56 | თვეში სამჯერ |
| | კიტ.პომ.(სეზ.) | კგ | 2900 | 80 | 100 | 330 | 160 | 350 | 100 | 4020 | 1 | 4020 | სამ დღეში ერთხელ |
| | ბადრ.,ისპ.ფხალ.(სეზ.) | კგ | 1570 | 50 | 50 | 180 | 90 | 190 | 50 | 2180 | 0.5 | 1090 | სამ დღეში ერთხელ |
| | მწვანილი | კგ | 3060 | 85 | 284 | 350 | 170 | 370 | 100 | 4419 | 2.5 | 11046.5 | სამ დღეში ერთხელ |
| | ნიორი | კგ | 760 | 20 | 71 | 90 | 40 | 90 | 25 | 1096 | 2.5 | 2739.75 | თვეში ორჯერ |
| | ხილის წვენი | ლ | 7650 | 210 | 260 | 880 | 430 | 920 | 260 | 10610 | 1.7 | 18037 | თვეში ორჯერ |
| | კისელის კონც. | კგ | 3060 | 85 | 100 | 350 | 170 | 370 | 100 | 4235 | 3.5 | 14822.5 | თვეში ორჯერ |
| | ხილი სხვად. | კგ | 15300 | 430 | 520 | 1750 | 860 | 1840 | 520 | 21220 | 2.5 | 53050 | ხუთ დღეში ერთხელ |
| | ხილფაფა | კგ | 760 | 20 | 25 | 85 | 40 | 90 | 25 | 1045 | 2.5 | 2612.5 | თვეში ორჯერ |
| | ჩაი | კგ | 300 | 8.0 | 19 | 35 | 17 | 35 | 10 | 424 | 5 | 2120.9 | თვეში ერთხელ |
| | ტომატ-პასტა | კგ | 2290 | 65 | 103 | 260 | 130 | 280 | 80 | 3208 | 2.4 | 7698.096 | თვეში ორჯერ |
| | ძმარი | ლ | 460 | 10 | 15 | 50 | 25 | 55 | 15 | 630 | 1 | 630 | თვეში ორჯერ |
| | მარილი | კგ | 3060 | 85 | 284 | 350 | 170 | 370 | 100 | 4419 | 0.3 | 1325.58 | თვეში ერთხელ |
| | წიწაკ. საკმ. სან.. | კგ | 75 | 2 | 8 | 9 | 4 | 9 | 3 | 110 | 4 | 438.36 | თვეში ერთხელ |
| მთლიანი ჯამი | | | | | | | | | | | | 910315 | |

| ლოტი 2 | საქონლის დასახელება | განზომილება | მიწოდების ადგილი: თბილისი ობიექტი №1 (რაოდ) | თბილისი ობიექტი №2 (რაოდ) | თბილისი ობიექტი №3 (რაოდ) | თბილისი ობიექტი №4 (რაოდ) | თბილისი ობიექტი №5 (რაოდ) | ოქროყანა (რაოდ) | გორი (რაოდ) | ბათუმი (რაოდ) | ბათუმი (რაოდ) | თბილისი ობიექტი №1 (რაოდ) | თბილისი ობიექტი №2 (რაოდ) | მთლიანი რაოდენობა (ჯამში) | ერთეულის ფასი (ლარი) | საერთო ღირებულება (ლარი) | მიწოდების ვადები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 |
| შპს ბერი | პური I ხ. ფქვ. | კგ | 20650 | 20400 | 19050 | 13030 | 3010 | 7420 | 7620 | 3810 | 5400 | 44800 | 16000 | 161190 | 0.65 | 104773.5 | ყოველდღე |
| | პური რუხი | კგ | 10320 | 10220 | 9520 | 6515 | 1500 | 3710 | 3810 | 1900 | 0 | 0 | 0 | 47495 | 0.57 | 27072.15 | ყოველდღე |
| | ხორბლის ფქვ. I ხარ. | კგ | 340 | 340 | 317 | 217 | 50 | 124 | 127 | 65 | 60 | 500 | 180 | 2320 | 0.54 | 1252.8 | თვეში ერთხელ |
| | ბურღულეული | კგ | 3435 | 3410 | 3175 | 2170 | 500 | 1235 | 1270 | 635 | 600 | 5000 | 1800 | 23230 | 1.4 | 32522 | თვეში ორჯერ |
| | ბრინჯი | კგ | 1370 | 1360 | 1270 | 870 | 200 | 500 | 510 | 250 | 250 | 2000 | 710 | 9290 | 1.2 | 11148 | თვეში ორჯერ |
| | მაკარონის ნაწ. | კგ | 1370 | 1360 | 1270 | 870 | 200 | 500 | 510 | 250 | 250 | 2000 | 710 | 9290 | 1.35 | 12541.5 | თვეში ორჯერ |
| | ხორცი საქონლის | კგ | 6880 | 6815 | 6350 | 4340 | 1000 | 2470 | 2540 | 1270 | 1200 | 10000 | 3550 | 46415 | 6.2 | 287773 | ხუთ დღეში ერთხელ |
| | თევზი | კგ | 3440 | 3410 | 3170 | 2170 | 500 | 1235 | 1270 | 635 | 600 | 5000 | 1800 | 23230 | 4 | 92920 | ხუთ დღეში ერთხელ |
| | მაწონი | ლიტ | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 5000 | 0 | 5000 | 1.4 | 7000 | სამ დღეში ერთხელ |
| | რძის ფხვნილი | კგ | 900 | 885 | 825 | 565 | 130 | 320 | 330 | 165 | 160 | 650 | 460 | 5390 | 6.4 | 34496 | თვეში ორჯერ |
| | არაჟანი | კგ | 690 | 680 | 635 | 434 | 100 | 248 | 255 | 128 | 300 | 2500 | 890 | 6860 | 3.5 | 24010 | სამ დღეში ერთხელ |
| | ხაჭო | კგ | 690 | 680 | 635 | 434 | 100 | 248 | 255 | 128 | 200 | 1500 | 540 | 5410 | 4.4 | 23804 | სამ დღეში ერთხელ |
| | ყველი | კგ | 690 | 680 | 635 | 434 | 100 | 248 | 255 | 128 | 200 | 1500 | 540 | 5410 | 6.5 | 35165 | ხუთ დღეში ერთხელ |
| | შაქარი | კგ | 2420 | 2390 | 2220 | 1520 | 350 | 870 | 890 | 440 | 400 | 3500 | 1250 | 16250 | 0.95 | 15437.5 | თვეში ორჯერ |
| | კარაქი | კგ | 1380 | 1360 | 1270 | 870 | 200 | 490 | 510 | 255 | 250 | 2000 | 710 | 9295 | 4.4 | 40898 | ხუთ დღეში ერთხელ |
| | მარგარინი | კგ | 340 | 340 | 320 | 220 | 50 | 125 | 130 | 60 | 60 | 500 | 180 | 2325 | 2.2 | 5115 | ხუთ დღეში ერთხელ |
| | მცენ. ზეთი | ლ | 690 | 680 | 635 | 435 | 100 | 245 | 255 | 130 | 120 | 1000 | 355 | 4645 | 2.2 | 10219 | თვეში ორჯერ |
| | კარტოფილი | კგ | 17200 | 17030 | 15870 | 10860 | 2500 | 6180 | 6350 | 3170 | 3000 | 25000 | 8900 | 116060 | 0.55 | 63833 | თვეში სამჯერ |
| | კომბოსტო | კგ | 5170 | 5110 | 4760 | 3260 | 750 | 1850 | 1900 | 950 | 700 | 6000 | 2130 | 32580 | 0.45 | 14661 | თვეში სამჯერ |
| | ჭარხალი | კგ | 1040 | 1020 | 950 | 650 | 150 | 370 | 380 | 190 | 200 | 1500 | 540 | 6990 | 0.4 | 2796 | თვეში სამჯერ |
| | სტაფილო | კგ | 2070 | 2050 | 1900 | 1300 | 300 | 740 | 760 | 380 | 260 | 2240 | 800 | 12800 | 0.7 | 8960 | თვეში სამჯერ |
| | ხახვი | კგ | 2070 | 2050 | 1900 | 1300 | 300 | 740 | 760 | 380 | 500 | 3500 | 1250 | 14750 | 0.7 | 10325 | თვეში სამჯერ |
| | კიტ.პომ.(სეზ.) | კგ | 615 | 610 | 570 | 390 | 90 | 220 | 230 | 115 | 130 | 1100 | 390 | 4460 | 1 | 4460 | სამ დღეში ერთხელ |
| | ბადრ.,ისპ.ფხალ(სეზ) | კგ | 335 | 330 | 305 | 210 | 50 | 120 | 120 | 60 | 70 | 550 | 195 | 2345 | 0.5 | 1172.5 | სამ დღეში ერთხელ |
| | მწვანილი | კგ | 685 | 680 | 635 | 435 | 100 | 250 | 255 | 130 | 120 | 1000 | 360 | 4650 | 2.5 | 11625 | სამ დღეში ერთხელ |
| | ნიორი | კგ | 170 | 170 | 160 | 110 | 25 | 60 | 65 | 30 | 30 | 250 | 90 | 1160 | 2.5 | 2900 | თვეში ორჯერ |
| | ხილის წვენი | ლ | 1720 | 1700 | 1590 | 1085 | 250 | 620 | 635 | 320 | 600 | 5000 | 1770 | 15290 | 1.7 | 25993 | თვეში ორჯერ |
| | კისელის კონც. | კგ | 685 | 680 | 635 | 435 | 100 | 250 | 255 | 130 | 120 | 1000 | 355 | 4645 | 3.5 | 16257.5 | თვეში ორჯერ |
| | ხილი სხვად. | კგ | 3440 | 3410 | 3175 | 2170 | 500 | 1230 | 1270 | 635 | 1200 | 10000 | 3550 | 30580 | 2.5 | 76450 | ხუთ დღეში ერთხელ |
| | ხილფაფა | კგ | 175 | 170 | 160 | 110 | 25 | 65 | 65 | 30 | 0 | 0 | 0 | 800 | 2.5 | 2000 | თვეში ორჯერ |
| | ჩაი | კგ | 70 | 70 | 63 | 44 | 10 | 25 | 25 | 13 | 15 | 100 | 35 | 470 | 5 | 2350 | თვეში ერთხელ |
| | ტომატ პასტა | კგ | 520 | 510 | 475 | 325 | 75 | 185 | 190 | 95 | 120 | 1000 | 360 | 3855 | 2.4 | 9252 | თვეში ორჯერ |
| | ძმარი | ლ | 100 | 100 | 95 | 65 | 15 | 40 | 40 | 20 | 20 | 150 | 55 | 700 | 1 | 700 | თვეში ორჯერ |
| | მარილი | კგ | 670 | 680 | 640 | 440 | 100 | 250 | 260 | 130 | 120 | 1000 | 354 | 4644 | 0.3 | 1393.2 | თვეში ერთხელ |
| | წიწაკ, საკმ. სან.. | კგ | 17 | 17 | 16 | 11 | 2.5 | 6.5 | 6.5 | 3.5 | 3 | 25 | 9 | 117 | 4 | 468 | თვეში ერთხელ |
| | თაფლი | კგ | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 180 | 1500 | 535 | 2215 | 8.4 | 18606 | თვეში ერთხელ |
| | შოკოლადის ნაწარმი | კგ | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 600 | 4980 | 1770 | 7350 | 9 | 66150 | თვეში სამჯერ |
| | კაკაო | კგ | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 25 | 200 | 75 | 300 | 7 | 2100 | თვეში ერთხელ |
| | საკონდიტრო ნაწარმი | კგ | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1200 | 10000 | 3540 | 14740 | 2.5 | 36850 | სამ დღეში ერთხელ |
| მთლიანი ჯამი | | | | | | | | | | | | | | | | 1145450 | |

ლოტ 1-ში გამარჯვებული მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ტრანსპორტითა და საკუთარი ხარჯებით მიაწოდოს კვების პროდუქტები გრაფა 1-9 მითითებულ ობიექტებს გრაფა 13-ში გათვალისწინებულ მიწოდების ვადებში, ხოლო ლოტ 2-ში გამარჯვებული მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ტრანსპორტითა და საკუთარი ხარჯებით მიაწოდოს კვების პროდუქტები 1-13 გრაფაში მითითებულ ობიექტებს გარაფა 17 გათვალისწინებულ ვადებში

### მშრალი საკვები პროდუქტი

| შესყიდვის ობიექტი | მიმწოდებელი (ტენდერში გამარჯვებული) | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი) | მთლიანი ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| მდნარი ყველი (ფირფიტები) 200გრ დაფასოებული | შპს „ორბეთი“ | კოლოფი | 3,750 | 2.5 | 9375.0 |
| ხილფაფა | შპს „გორკონი“ | კგ | 2,000 | 2.7 | 5400.0 |
| თევზის კონსერვი | შპს „დია ამო“ | კგ | 35,000 | 4.35 | 152250.0 |
| პაშტეტი (ხორცის) | | კგ | 12,000 | 8 | 96000.0 |
| ყავა (უნალექო) | | კგ | 372 | 65 | 24180.0 |

### ცხენების საკვები

| შესყიდვის ობიექტი | მიმწოდებელი (ტენდერში გამარჯვებული) | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი) | მთლიანი ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| შვრია | ი.მ. „რომან გეგია“ | კგ | 71175 | 0.55 | 39146.25 |
| თივა | | კგ | 63638 | 0.20 | 12727.60 |

### სანიტარულ ჰიგიენური საგნები და სარეცხი საშუალებები

| შესყიდვის ობიექტი | მიმწოდებელი (ტენდერში გამარჯვებული) | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი) | მთლიანი ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| ერთჯერადი საპარსი | შპს „არტი“ | ცალი | 30000 | 0.29 | 8550.00 |
| სარეცხი ფხვნილი სარეცხი მანქანისათვის | შპს „ზაბელა“ | კგ | 5000 | 2.60 | 13000.00 |
| სარეცხი ფხვნილი | | კგ | 1500 | 2.10 | 3150.00 |
| ხელის საპონი | | ცალი | 1500 | 0.85 | 1275.00 |
| ხელის საპონი | | კგ | 3000 | 3.18 | 9540.00 |
| თხევადი საპონი | | კგ | 2000 | 2.22 | 4440.00 |
| ჭურჭლის სარეცხი ჟელე 300გრ | | ცალი | 5000 | 0.79 | 3950.00 |
| მინის საწმენდი სითხე 500გრ | | ცალი | 1500 | 1.83 | 2745.00 |
| დეზადორი მშრალი | | ცალი | 800 | 2.62 | 2096.00 |
| ჰაერის გამწმენდი დეზადორი | | ცალი | 250 | 1.52 | 380.00 |
| მასტიკა 1ლ. | | ცალი | 700 | 3.65 | 2555.00 |
| ნიჟარის სახეხი ფხვნილი 600 გრ | | ცალი | 1000 | 0.73 | 730.00 |
| ნიჟარის სარეცხი სითხე 500 გრ | | ცალი | 800 | 2.75 | 2200.00 |
| ავეჯის საწმენდი პულივიზატორი | | ცალი | 800 | 4.85 | 3880.00 |
| უნიტაზის დეზადორი | | ცალი | 150 | 1.32 | 198.00 |
| თხევადი ქლორი 1ლ. | | ცალი | 800 | 0.90 | 720.00 |
| ქლორამინი | | კგ | 100 | 12.90 | 1290.00 |
| გამხსნელი 0,5ლ | | ცალი | 80 | 2.60 | 208.00 |
| ჰიგიენური ქაღალდი | | ცალი | 10000 | 0.38 | 3820.00 |
| ხელსაწმენდი | | შეკვრა | 1500 | 0.63 | 937.50 |
| სასაპნე | | ცალი | 500 | 0.46 | 230.00 |
| კბილის პასტა | | ცალი | 3500 | 0.78 | 2730.00 |

### ავტოსატრანსპორტო საშუალებები

| შესყიდვის ობიექტი | მიმწოდებელი (ტენდერში გამარჯვებული) | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი) | მთლიანი ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| ნივა | [illegible] | ცალი | 10 | 13500 | 135000.0 |
| უაზი | [illegible] | ცალი | 25 | 17830 | 445750.0 |

### რუსული ავტომანქანების სხვადასხვა სახის ავტოსათადარიგო ნაწილები

| შესყიდვის ობიექტი | მიმწოდებელი (ტენდერში გამარჯვებული) | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი) | მთლიანი ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| ძრავის ზეთი bp Visco 2000 20w50 | შპს „თეგეტა მოტორსი“ | ლიტრი | 21920 | 3.7 | 81542.4 |
| ზეთის ფილტრი | | ცალი | 1400 | 6.0 | 8400.0 |
| ჰაერის ფილტრი | | ცალი | 300 | 5.5 | 1650.0 |
| სამუხრუჭე სითხე | | ლიტრი | 150 | 7.0 | 1050.0 |
| ზეთის ფილტრი | | ცალი | 1300 | 6.0 | 7800.0 |
| ჰაერის ფილტრი | | ცალი | 1200 | 5.5 | 6600.0 |
| სამუხრუჭე სითხე | | ლიტრი | 150 | 7.0 | 1050.0 |
| ინჟექტორიანის ზეთის ფილტრი | | ცალი | 70 | 6.0 | 420.0 |
| ინჟექტორიანის ჰაერის ფილტრი | | ცალი | 100 | 19.6 | 1960.0 |
| ზეთის ფილტრი | | ცალი | 700 | 6.0 | 4200.0 |
| ტაბიკი | | კომპ | 40 | 95.0 | 3800.0 |
| საწევარა | | ცალი | 100 | 73.0 | 7300.0 |
| გადაბმულობის დისკი | | ცალი | 20 | 90.0 | 1800.0 |
| გადაბმულობის ქურა | | ცალი | 10 | 450.0 | 4500.0 |
| სამუხრუჭე ხუნდი | | კომპ | 40 | 40.0 | 1600.0 |
| მუხრუჭის დიაფრაგმა | | კომპ | 10 | 5.0 | 50.0 |
| კარდანი | | ცალი | 10 | 480.0 | 4800.0 |
| რესორი | | ცალი | 10 | 265.0 | 2650.0 |
| საჭის გამაძლიერებელი | | ცალი | 10 | 320.0 | 3200.0 |
| რედუქტორის საკისარი | | ცალი | 20 | 150.0 | 3000.0 |
| გადაცემათა კოლოფის სინქრონიზატორი | | ცალი | 20 | 550.0 | 11000.0 |
| სტარტერის სარემ. კომპლექტი | | ცალი | 6 | 70.0 | 420.0 |
| გენერატორის სარემ. კომპლექტი | | ცალი | 6 | 22.0 | 132.0 |
| საწვავის ტუმბოს სარემ. კომპლექტი | | ცალი | 10 | 387.0 | 3870.0 |
| წყლის ტუმბო | | ცალი | 10 | 230.0 | 2300.0 |
| ჰაერის ფილტრი | | ცალი | 40 | 35.0 | 1400.0 |
| კომპრესორი | | ცალი | 10 | 380.0 | 3800.0 |
| ანტიფრიზი (კონცენტრანტი) მინიმუმ 40% | | ლიტრი | 6800 | 3.5 | 23800.0 |
| დიზელის ძრავის ზეთი 15/40 | | ლიტრი | 9400 | 3.2 | 30268.0 |
| ტრანსმისიის ზეთი — წითელი | | ლიტრი | 280 | 13.0 | 3640.0 |
| ტრანსმისიის ზეთი — ყვითელი | | ლიტრი | 180 | 15.0 | 2700.0 |
| ტრანსმისიის ზეთი | | ლიტრი | 860 | 4.5 | 3870.0 |
| ტრანსმისიის ზეთი (გიპოიდი) | | კგ | 250 | 5.0 | 1250.0 |
| სამუხრიჭე სითხე | | ლიტრი | 340 | 7.0 | 2380.0 |
| აკუმულიატრორი | | ცალი | 430 | 61.8 | 26574.0 |

საწვავის ფასების ცვლილება (კორექტირება) ხორციელდება ფასის საერთაშორისო კოტირების Platt s Mediterranean product cargo assessment, FOB Med Italy მიხედვით

| | იანვარი | თებერვალი | მარტი | აპრილი | მაისი |
|---|---|---|---|---|---|
| სუპერი* | 1.5 | 1.5 | 1.44 | 1.52 | 1.61 |
| პრემიუმი* | 1.38 | 1.38 | 1.36 | 1.47 | 1.57 |
| რეგულარი* | 1.27 | 1.27 | 1.23 | 1.39 | 1.5 |
| დიზელი* | 1.24 | 1.24 | 1.23 | 1.32 | 1.46 |

* მოცემულია საშუალო ფასები

### სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები

| | | |
|---|---|---|
| ქ. ქუთაისი, ორახელაშვილის ქ. №8 (ორსართულიანი შენობის კაპიტალური რემონტი 2000კვ/მ-ზე და ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები 500კვ/მ-ზე); | შპს „ოდა“ | 620687.0 |
| ქ. ქუთაისი, ჯავახიშვილის ქ. №12 (ოთხსართულიანი შენობის კაპიტალური რემონტი 1900კვ/მ-ზე). | | 719599.0 |
| ქ.ქუთაისი, ჯავახიშვილის ქ„№12 (ორსათულიანი შენობის პირველი სართულის კაპიტალური რემონტი 800კვ\მ-ზე | სპს „მელივაძე“ | 68505.0 |

### სხვადასხვა სახის საავტომობილო საწვავი

| შესყიდვის ობიექტი | მიმწოდებელი (ტენდერში გამარჯვებული) | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი) | მთლიანი ღირებულება (ლარი) | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|
| სუპერი - ტალონი | შპს „ლუკოილ ჯორჯია“ | ლიტრი | 70,950 | 1.46 | 103587.0 | რეგიონები |
| პრემიუმი - ტალონი | | ლიტრი | 385,385 | 1.36 | 524123.6 | რეგიონები |
| დიზელი - ტალონი | | ლიტრი | 49500 | 1.4 | 69300.0 | რეგიონები |
| დიზელი - სითხე | | ლიტრი | 140,800 | 1.4 | 197120.0 | რეგიონები |
| სუპერი - ტალონი | შპს „კანარგო სტანდარტ ოილ პროდუქტი“ | ლიტრი | 49,500 | 1.46 | 72270.0 | რეგიონები |
| სუპერი - ტალონი | | ლიტრი | 289,520 | 1.43 | 414013.6 | ქ.თბილისი |
| პრემიუმი - პლასტ. ბარათი | | ლიტრი | 1,276,000 | 1.38 | 1760880.0 | ქ.თბილისი |
| პრემიუმი - სითხე | | ლიტრი | 85,800 | 1.3 | 111540.0 | ქ.თბილისი |
| პრემიუმი - ტალონი | | ლიტრი | 365,970 | 1.36 | 497719.2 | რეგიონები |
| პრემიუმი - ტალონი | | ლიტრი | 4029575 | 1.34 | 5399630.5 | ქ.თბილისი |
| რეგულარი - სითხე | | ლიტრი | 343,200 | 1.22 | 418704.0 | რეგიონები |
| რეგულარი - სითხე | | ლიტრი | 19,800 | 1.19 | 23562.0 | ქ.თბილისი |
| რეგულარი - ტალონი | | ლიტრი | 1,832,600 | 1.24 | 2272424.0 | რეგიონები |
| რეგულარი - ტალონი | | ლიტრი | 1,184,700 | 1.21 | 1433487.0 | ქ.თბილისი |
| დიზელი - ტალონი | | ლიტრი | 909,700 | 1.23 | 1118931.0 | ქ.თბილისი |

24 საათი B

# ბიზნესი

© გაზეთი 24 საათი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:

## ქართული პროდუქციის გამოფენა ლატვიაში

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა

**28-29 ივნისს, ქ. რიგაში აწყობს ქართული პროდუქციის გამოფენა-პრეზენტაციას**

ღონისძიებაზე კომპანიებს თავიანთი პროდუქციის პრეზენტაციის გარდა, პოტენციურ პარტნიორებთან შეხვედრის საშუალება ექნებათ.
გამოფენაზე წარმოდგენილი იქნებიან დისტრიბიუტორები, იმპორტიორები, მსხვილი სავაჭრო ქსელების და სხვა სფეროების წარმომადგენლები.
ლატვიის სავაჭრო-სამრეწველო პალატა უზრუნველყოფს შესაბამისი სექტორებიდან ქართველი და ლატვიელი ბიზნესმენების დაკავშირებას.
გაფრენა პირდაპირი რეისით, თბილისი-რიგა-თბილისი.
დაინტერესებულ კომპანიებს დამატებითი ინფორმაცია შეუძლიათ მიიღონ შემდეგ კოორდინატებზე:

**ტელ: 293375, 223063; ფაქსი: 235760**
**ელ.ფოსტა: info@gcci.ge**

## ბაზარზე მობილური კავშირის კომპანიები ლიდერობენ

### სატელეკომუნიკაციო ბაზრის შემოსავლებმა 572,1 მილიონი ლარი შეადგინა

ნინო ნატროშვილი

*ტელეკომუნიკაციების ბაზარი მთელ მსოფლიოში განვითარების მაღალი ტემპით და სოლიდური შემოსავლებით გამოირჩევა. ეს ტენდენცია საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზარზეც დამკვიდრდა. 2004 წელს ბაზრის შემოსავლებმა ყველა რეკორდი მოხსნა და 572,1 მილიონი ლარი შეადგინა. თუ ბოლო რამდენიმე წლის სტატისტიკას გავაანალიზებთ, ვნახავთ, რომ სატელეკომუნიკაციო ბაზარი მზარდია. შემოსავლების ზრდა 2001 წლიდან იწყება. ბოლო მონაცემებით, მთლიანად, სატელეკომუნიკაციო ბაზრის შემოსავლების 63 პროცენტი მობილურ კომპანიებს, 19 - პროცენტი ადგილობრივ ოპერატორებს, 8 პროცენტი - საერთაშორისო ოპერატორებს, 4 პროცენტი - ინტერნეტოპერატორებს და 5 პროცენტი - რადიოსა და ტელევიზიებს უკავიათ.*

**საქართველოს კომუნიკაციების ბაზარი ინვესტორებისათვის ძალზე მიმზიდველია. ამ მხრივ, ნაყოფიერი აღმოჩნდა 2006 წელიც. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ფიჭური სატელეფონო კავშირით მომსახურების ლიცენზიის მოსაპოვებლად გამართულ აუქციონზე ხუთი ლიცენზია გაიყიდა.**




B2

## ENRON-ის ყოფილი ხელმძღვანელობა თაღლითობაში ამხილეს





## Google თავის პროგრამას Dell-ის კომპიუტერებში განათავსებს

B3

## სნოუს ადგილს პოლსონი დაიკავებს

გუშინ აშშ-ს ფინანსთა მინისტრმა ჯონ სნოუმ თანამდებობა დატოვა. მის ადგილს, როგორც პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა განაცხადა, საინვესტიციო-საფინანსო ჯგუფ Goldman Sachs-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, მილიონერი ჰენრი პოლსონ უმცროსი დაიკავებს.

სნოუ ამერიკის ფინანსთა სამინისტროს 2003 წლის თებერვლიდან ხელმძღვანელობდა. მისი პოზიციები მას შემდეგ შეირყა, რაც პრეზიდენტის ადმინისტრაციის აპარატის თავკაცად Goldman Sachs-ის ყოფილი ტოპ-მენეჯერი ჯოშუა ბოლტენი დაინიშნა, რომელიც არ მალავდა, რომ ფინანსთა მინისტრის პოსტზე უოლ-სტრიტელი კადრის ხილვა სურდა.



*ჰენრი პოლსონი.*



*ჯონ სნოუ.*

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3627 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9978 |
| 1 | არაბული დირჰამი | AED | 0,4896 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7980 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8386 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1721 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,3074 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3119 |
| 1 | ევრო | EUR | 2,2916 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4649 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3458 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1802 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1601 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,3445 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1966 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2473 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,3986 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,6241 |
| 1 | ლატვური ლატი | LVL | 3,2691 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,6543 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3673 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2931 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5850 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,6040 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0664 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1386 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4171 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5582 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4721 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,5660 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8775 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,2180 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1476 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4435 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2466 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4686 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0814 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2242 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2318 |




## საქართველოს უძრავი ქონების ბაზარი - ახალი მოთხოვნა, რომელსაც მიწოდება სჭირდება

*თუ თქვენ უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში გაყიდეთ ან იყიდეთ ნებისმიერი სახის უძრავი ქონება, იქნება ეს საცხოვრებელი ბინა თუ საოფისე ფართი, მაშინ თქვენთვის ნაცნობი იქნება მშრალი ხიდი, უფასო განცხადებების გაზეთები და შუამავლისათვის განკუთვნილი ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი. წლების განმავლობაში უძრავი ქონების შეძენა ნაცნობების, უძრავი ქონების სააგენტოების ან ეგრეთ წოდებული "მაკლერების"'საშუალებით ხდებოდა, ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება ჩვენი ცხოვრების ჩვეულებრივ მახასიათებელს ემსგავსება. უძრავი ქონების ბიზნესის მნიშვნელოვანი ატრიბუტია ამ ქონების რეალიზაცია. დღეს არსებული ბინათმშენებლობის ფონზე, რომელიც საოცარი მასშტაბურობითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა, მომხმარებელს უჭირს სწორი გადაწყვეტილების მიღება, რადგან ხშირია ობიექტის რამდენიმე მფლობელზე გაყიდვის თუ დაგვიანების ფაქტები. გარდა ამისა, ათი წლის წინანდელ მდგომარეობასთან შედარებით, შეიცავალა მოთხოვნილებები, პოტენციურ კლიენტს პრეტენზია გაუჩნდა კომფორტზე, ცივილურ ურთიერთობებზე და არცთუ უსაფუძვლოდ. ქართველი მომხმარებლისათვის აღარაა მთავარი ბინის ან სახლის შეძენა, მას უკვე კარგი და მაღალი ხარისხის საცხოვრებელი სჭირდება. უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისა და მასთან დაკავშირებული სხვა მომსახურებების გარშემო ჩვენს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის და ტენდენციების შესახებ, ჩვენ გავესაუბრეთ დარგის ექსპერტებს, უძრავი ქონების ბროკერი ფირმის **"პირველი საბროკეროს"** დირექტორს, **ირაკლი ყაჭეიშვილს** და საინვესტიციო კომპანია "საქართველოს რეკონტრუქციისა და განვითარების კომპანიის" (**"ჯიარდისი"**) ხელმძღვანელს **ირაკლი კილაურიძეს.***



B4

### გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის აქციის ფასი 14 პროცენტით გაიზარდა

საქართველოს საფონდო ბირჟაზე (სსბ) სამშაბათს გამართულ მე-40 (625) სესიაზე სავაჭროდ წარმოდგენილი იყო 18 კომპანიის აქციები, რომელთაგან გარიგება დაიდო 7 კომპანიის ფასიან ქაღალდზე. გარიგებების რაოდენობა 140 იყო, მათმა მოცულობამ 201 273 ფასიანი ქაღალდი შეადგინა, ჯამურმა ღირებულებამ კი - 274 462 ლარი. სსბ-ზე 180,138 ათასი ლარის გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის (UTC) აქციები გაიყიდა, 72,743 ათასი ლარის კი - საქართველოს ბანკის (GEB). გარიგებები ასევე დაიდო უნივერმაღ "თბილისის" (UTB), "თელასის" (AEST), "ფოთის წისქვილქარხნის" (PTTS), საქტრანსპროექტის (STP), "ცეკავშირის თბილისის უნივერსალური საბითუმო სავაჭრო ბაზის" (TSUB) აქციებზე. **პრაიმნიუს ბიზნესი**

### კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში აუქციონი გაიმართება

2 ივნისს, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში, ციფრების სამნიშნა კომბინაციის ნუმერაციის რესურსით სარგებლობის მისაღებად, აუქციონი გაიმართება. აუქციონში გამარჯვებული ნუმერაციის რესურსს აირჩევს შემდეგი ციფრების კომბინაციიდან - 8-52, 8-53, 8-54. სალიცენზიო მოსაკრებლის საწყისი თანხა 15 000 ლარია. შეგახსენებთ, რომ კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ნუმერაციის რესურსით სარგებლობისათვის ლიცენზიის მისაღებად აუქციონის გამოცხადების თხოვნით მიმართეს კომპანიებმა - შპს"ჯორჯიან ტელეკომმა", შპს"ლაგმა" და შპს"კომუნიკაციების საკონსულტაციო ჯგუფმა". აღნიშნული კომპანიები ახორციელებენ საერთაშორისო საკომუნიკაციო მომსახურებას, რისთვისაც საერთაშორისო დაშვების სამნიშნა კოდი ესაჭიროებათ. აუქციონი კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში 2 ივნისს 14 საათზე გაიმართება. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ფასების ზრდის მიზეზი ენერგომატარებლების გაძვირებაა

საქართველოში სხვადასხვა პროდუქციაზე ფასების ზრდის ძირითად მიზეზად ეკონომიკის ექსპერტი ბონდო ზარნაძე ენერგომატარებლების გაძვირებას ასახელებს. მისი თქმით, ყველა პროდუქტი ქალაქში, ძირითადად, ავტოტრანსპორტით შემოდის. შესაბამისად, ენერგომატარებლები იხარჯება, რაც გაძვირების მიზეზი ხდება. "ტრანსპორტირების ხარჯებში ენერგომატარებლების წილი ყველაზე მაღალია. გაზის ფასის ზრდა ელექტროენერგიასაც აძვირებს, რადგან საბაზო ელექტროსადგურები გაზზე მუშაობენ. ფასების ზრდის მთავარი მიზეზი არის ბუნებრივ აირზე, საწვავსა და ელექტროენერგიაზე ფასების ზრდა," - აცხადებს ექსპერტი. იგი მიიჩნევს, რომ ფასების ზრდით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიც ძალიან ზარალდება. "როდესაც პროდუქციის ხარჯები იზრდება, მიღებულ პროდუქციაზე მოგება მცირდება, შემცირებული მოგებიდან კი ბიუჯეტშიც შემცირებული მოგების გადასახადი შედის. აქედან გამომდინარე, მთელი ქვეყნის მასშტაბით ბიუჯეტს ძალიან ბევრი აკლდება," - განმარტავს ექსპერტი. ბონდო ზარნაძის თქმით, ენერგომატარებლების ფასი მსოფლიო ბაზარზეც იზრდება და იქ ჩვენ არ გვაქვს ზეგავლენის მოხდენის საშუალება, თუმცა, საქართველოში შემაკავებელი ფაქტორები უნდა ამოქმედდეს. მაგალითად, არსებობს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია, რომელსაც ადგილობრივ ბაზარზე დენის ტარიფის დარეგულირება შეუძლია. "როდესაც მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სიღარიბის ზღვარზეა, ბოლო ორი წლის განმავლობაში ფასების, სულ მინიმუმ, 40-პროცენტიანი ზრდა ფიქსირდება. კერძოდ, საქონლის ან ღორის ხორცი 8-9 ლარი ღირს, შარშან ისეთივე ხორცი 4,5-5 ლარი ღირდა," - ამბობს ზარნაძე. ამასთან, მისივე თქმით, საქართველოში უცხოელი ინვესტორები შემოდიან, როგორც "ეკონომიკური ვამპირები". მათი მიზანია, მაქსიმალური მოგება მიიღონ და ხალხის სოციალური ვითარება ნაკლებად ადარდებთ. ხოლო სამამულო ინვესტორზე, რომელიც ამ ქვეყნის მოქალაქეა, ზეგავლენის მოხდენა უფრო ადვილია. "როდესაც უცხო ქვეყნის ინვესტორი მოდის, კარგია, მაგრამ ჩვენ გვირჩევნია, ადგილობრივი მოსახლეობა ჩვენმა მეწარმემ დაასაქმოს," - ამბობს ექსპერტი. **მედიანიუსი**

### გაერო-ს ექსპერტებმა ყოფილი საბჭოთა ქვეყნების ეკონომიკის განვითარება იწინასწარმეტყველეს

გაერო-ს ექსპერტებმა ყოფილი საბჭოთა ქვეყნების ეკონომიკის განვითარება იწინასწარმეტყველეს. 2006 წელს ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში ეკონომიკა გაიზრდება, კერძოდ, დაფიქსირდება შემდეგი მაჩვენებლები: აზერბაიჯანის ეკონომიკა გაიზრდება 15 პროცენტით, ყაზახეთში - 8,3 პროცენტით, სომხეთსა და ტაჯიკეთში - 8 პროცენტით, უკრაინასა და საქართველოში - 6 პროცენტით, რუსეთში - 5,8 პროცენტით, ყირგიზეთსა და თურქმენეთში - 5 პროცენტით. ამგვარი პროგნოზი გააკეთეს გაერო-ს მოხსენების ავტორებმა. მოხსენების სათაურია - "ეკონომიკური ტენდენციები, რისკები და შესაძლებლობები ევროპული ეკონომიკური კომისიის რეგიონის ქვეყნებისათვის". 2005 წელს ეკონომიკური ზრდის ტემპები ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში (ბალტიის ქვეყნების გამოკლებით) ცოტათი შენელდა. ფოლადსა და ბამბაზე ფასის მკვეთრი ვარდნა ნეგატიურად აისახა იმ ქვეყნების ეკონომიკაზე, რომლებიც ამ პროდუქტზე არიან სპეციალიზირებულნი.

გაერო-ს ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ეკონომიკის რესტრუქტურიზაცია და ნავთობის მიწოდების გაზრდა რუსეთის ეკონომიკას დინამიკურობის შენარჩუნებაში დაეხმარება. ნავთობისა და გაზის სექტორის განვითარება აზერბაიჯანსა და ყაზახეთში ინვესტიციებისა და წარმოების გაზრდას შეუწყობს ხელს. შეწყდება ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელება უკრაინაში. მოხსენების ავტორები წინასწარმეტყველებენ, რომ ადგილი ექნება სამრეწველო პროდუქციაზე ფასების ზრდას რეგიონში, განსაკუთრებით - ყაზახეთსა და უკრაინაში. აქედან გამომდინარე, ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში ინფლაციის დონის მომატებასაც არ გამორიცხავენ. **ინტერპრესნიუსი**

### რეისი ერევანი-თბილისი-ბათუმი ივნისიდან ამოქმედდება

ივნისიდან ახალი სარკინიგზო ექსპრესი ამოქმედდება, რომელიც შეასრულებს რეისს ერევანი-თბილისი-ბათუმი. როგორც სააქციო საზოგადოება "სომხეთის რკინიგზაში" აცხადებენ, მატარებელი 12-ვაგონიანი იქნება, რეისები კი თვის ლუწ რიცხვებში განხორციელდება. კომპანიაში ჯერჯერობით ვერ აზუსტებენ სამგზავრო ბილეთის ფასს, თუმცა თბილისი-ერევანის რეისზე კუპით მგზავრობა 15 დოლარის ეკვივალენტია. სარკინიგზო უწყებაში ვარაუდობენ, რომ აჭარასა და სომხეთს შორის სარკინიგზო მიმოსვლა ამ რეგიონში სომეხი დამსვენებლების რიცხვს კიდევ უფრო გაზრდის. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ბაზარზე მობილური კავშირის კომპანიები ლიდერობენ

პირველი გვერდიდან

სატელეკომუნიკაციო ბაზრის სეგმენტების ცვლილებას თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ 2000-2004 წლების ჯამურმა შემოსავლებმა იმატა: ადგილობრივი ოპერატორების - 75,59 პროცენტით, საერთაშორისო ოპერატორების - 68,61 პროცენტით, მობილური ოპერატორების - 153,54 პროცენტით, ინტერნეტპროვაიდერების - 231,08 პროცენტით, რადიოსა და ტელევიზიის - 184,44 პროცენტით. ყველაზე ნაკლებად მზარდი სეგმენტი ფოსტაა (18,32 პროცენტი).

კომუნიკაციების ბაზარს თუ გადავხედავთ, მეტ-ნაკლებად სტაბილური ზრდა მობილური კავშირის სეგმენტს ახასიათებს, რაც ყოველწლიურად 25-30 პროცენტის ფარგლებში მერყეობს.

ტელეკომუნიკაციების ბაზრის ექსპერტები აღნიშნავენ, რომ როგორც მთელ მსოფლიოში, ისე საქართველოში მობილური სატელეფონო ბაზრის ზრდის ტენდენცია და მისი აბონენტების რაოდენობის, ფიქსირებული სატელეფონო ქსელის აბონენტებთან გათანაბრება (ხშირად, გადაჭარბებაც) შეინიშნება. საქართველოშიც საერთაშორისო ტენდენციის ანალოგიური ვითარებაა. 2000 წელს მობილური ქსელის აბონენტთა რიცხვი 155,4 ათასი იყო. 2004 წელს ეს მაჩვენებელი 840.6 ათას აბონენტს გაუტოლდა. ფიქსირებული ქსელის აბონენტთა რიცხვი 2000 წელს 508.750 ათასი იყო, 2004 წელს - 683.275 ათასი. აღნიშნულ წლებში ფიქსირებული ქსელის აბონენტთა რიცხვის ზრდა 25,5 პროცენტს შეადგენდა, ხოლო მობილური ქსელის აბონენტთა რიცხვი თითქმის 441 პროცენტით გაიზარდა. საბოლოო ჯამში, მობილური ქსელის აბონენტთა რიცხვმა ფიქსირებული ქსელის აბონენტთა რაოდენობას გადააჭარბა. ბოლო მონაცემებით, ამ სხვაობამ 157 ათასი აბონენტი შეადგინა.

**მობილური ოპერატორების შემოსავლები 2000 - 2004**

| | 2000 | 2001 | 2002 | 2003 | 2004 |
|---|---|---|---|---|---|
| | 110,646,960.0 | 139,903,674.4 | 188,166,621.6 | 264,870,793.5 | 354,712,895.0 |
| ზრდა წინა წელთან შედარებით | | 26.44% | 34.94% | 40.30% | 33.92% |

**სატელეკომუნიკაციო სექტორის შემოსავლები მშპ-ში**

| | 2000 | 2001 | 2002 | 2003 | 2004 |
|---|---|---|---|---|---|
| სატელეკომუნიკაციო შემოსავლები | 224.80 | 254.40 | 327.20 | 426.50 | 572.10 |
| მშპ | 6,015.40 | 6,647.90 | 7,459.40 | 8,560.10 | 9,422.00 |
| სატელეკომუნიკაციო შემოსავლების პროცენტი მშპ-ში | 3.74 | 3.83 | 4.39 | 4.98 | 6.07 |

საქართველოს კომუნიკაციების ბაზარი ინვესტორებისათვის ძალზე მიმზიდველია. ამ მხრივ, ნაყოფიერი აღმოჩნდა 2006 წელიც. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ფიჭური სატელეფონო კავშირით მომსახურების ლიცენზიის მოსაპოვებლად გამართულ აუქციონებზე ხუთი ლიცენზია გაიყიდა. მათ შორის, 800 მეგაჰერც სიხშირის ზოლში საქმიანობის ლიცენზიაში კომპანია "ტელეკომინვესტმა" რეკორდული თანხა - 71 887 039 მილიონი ლარი გადაიხადა. სხვადასხვა დიაპაზონის სიხშირეში საქმიანობის ორი ლიცენზია იყიდა კომპანია "მაგთიკომმა" და, შესაბამისად, 20 მილიონი და 26 მილიონი ლარი გადაიხადა. აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობდა "ჯეოსელიც". თუმცა ამ კომპანიის ადმინისტრაციამ ჩათვალა, რომ ფასი მაღალი იყო. 2000 მეგაჰერც სიხშირულ ზოლში რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია კომპანია "არგოტექსმა" 19 მილიონ ლარად იყიდა. ანალოგიურ დიაპაზონში საქმიანობის უფლება "ტელეკომინვესტ საქართველომ" 18 მილიონ დოლარად მოიპოვა.

ამ ეტაპზე მობილური კომპანიების ბაზარზე შპს "მაგთიკომი", შპს "ჯეოსელი" საქმიანობს. რაც შეეხება შპს "მობიტელს", რომელმაც "მეგაკომის" სიხშირეები შეიძინა, და შპს "ბლუმფინ ლიმიტედს", მათ ბაზარზე საქმიანობა ჯერ არ დაუწყიათ. ასევე ბაზარზე შესვლის უფლება აქვს შპს "არგოტექსს" და "ტელეკომინვესტ საქართველოს". მათ შესაბამისი ლიცენზიები 2006 წელს იყიდეს.

საქართველოს კომუნიკაციების კომისია ბაზარზე ახალი ინვესტიციების განხორციელებას არ გამორიცხავს. "პრინციპში, ბაზრის განვითარებას ბევრი ფაქტორი უწყობს ხელს. მთელ მსოფლიოში შენარჩუნებულია ტენდენცია, რომ კომუნიკაციების ბაზარი უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე ქვეყნის ეკონომიკა. ეს სფერო არის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული და მოგების მომტანი.

მეორე მხრივ, მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოში კომუნიკაციების სფერო კიდევ უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე მთელ მსოფლიოში. ამ სფეროში ბევრი რეფორმა გატარდა. ინვესტორს შეექმნა მაქსიმალურად ლიბერალური გარემო. მარტივი და მოსახერხებელი მექანიზმი. სიხშირეების მინიჭების ძალიან გამჭვირვალე და გასაგები წესი. მოისპო კორუფცია, რომელიც ამ სფეროში არსებობდა. ვისაც ბიზნესის კეთება და ფულის დაბანდების სურვილი ჰქონდა, მათ მაქსიმალურად მარტივი პირობები შევუქმენით, რის შემდეგაც დაიწყო ინვესტიციების შემოსვლა. ეს ტენდენცია გრძელდება. ამ სფეროში შემოსული ინვესტიციების შედეგები 2007-2008 წლებში საქართველოს კომუნიკაციების ბაზარზე აისახება. სახელმწიფოს ამ სფეროში ბევრი რესურსი აქვს. მთავარია, სიხშირე გაიყიდოს სწორ დროს და სწორ ფასად. საქართველოს ბაზარზე იზრდება კონკურენცია, იკლებს მომსახურების ფასი და იმატებს ხარისხი," - განუცხადა "24 საათს" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარემ დიმიტრი ქიტოშვილმა.

ბოლო მონაცემებით, მობილური კავშირით მომსახურების ზრდის ტენდენცია კვლავ შენარჩუნებულია. წინა წლებთან შედარებით, მისი შემოსავლების მატებამ 33,92 პროცენტი შეადგინა (354. 712. 895. 000 ლარი). აქვე აღსანიშნავია მობილური ტელეფონების აბონენტთა რიცხვის ზრდა. საქართველოს მობილური კავშირგაბმულობის ბაზარზე ორი კომპანია საქმიანობს - შპს "მაგთიკომი" და შპს "ჯეოსელი". მათი დაფარვის დონე საქართველოს ტერიტორიის 95 პროცენტია.

# პირველი ცათამბჯენი მსოფლიოს სავაჭრო ცენტრის ადგილზე

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტებისას დანგრეული მსოფლიოს სავაჭრო ცენტრის ადგილზე უკვე აშენდა პირველი საოფისე ცათამბჯენი. ეს არის შუშა-ბეტონის 57-სართულიანი შენობა, რომელიც 700 მილიონი დოლარი დაჯდა.

ახალი ცათამბჯენი მდებარეობს მისამართზე მსოფლიოს სავაჭრო ცენტრი 7 (WTC 7). ამ მისამართზე ადრე 47-სართულიანი საოფისე შენობა იდგა, რომელიც მსოფლიოს სავაჭრო ცენტრის ტყუპი ცათამბჯენის ნგრევის დროს, ხანძრის შედეგად დაინგრა.

ახალი ცათამბჯენი უსაფრთხოების გამკაცრებული მოთხოვნების შესაბამისად აშენდა. მისი ავტორი არქიტექტორები ირწმუნებიან, რომ ახალი ცათამბჯენის კონსტრუქცია მრავალსართულიან შენობათა ახალი სტანდარტების შემუშავებისას საფუძვლად გამოდგება.

ცათამბჯენის მშენებლობას ცნობილი ამერიკელი სამშენებლო მაგნატი და ინვესტორი ლარი სილვერსტინი ხელმძღვანელობდა. სილვერსტინმა, რომელიც მსოფლიოს სავაჭრო ცენტრისა და მისი შემოგარენის ფაქტობრივი მფლობელია, ნიუ იორკისა და ნიუ ჯერსის შტატების პორტების სამმართველოსგან დანგრეულ ცათამბჯენთა ადგილზე ხუთი ახალი შენობის აგების უფლება აპრილში მიიღო.

სამი ცათამბჯენი უშუალოდ მის კონტროლს დაექვემდებარება, დანარჩენ ორს კი მფლობელობაში მიიღებს პორტების სამმართველო. ამ ორიდან ერთია "მშვიდობის კოშკი" (ფრიდომ ტაუერი), რომლის მშენებლობაც, ბოლო მონაცემებით, დაახლოებით 2.1 მილიარდი დოლარი დაჯდება.



ახალი ცათამბჯენის გახსნის ცერემონიაზე, სილვერსტინმა განაცხადა, რომ დანგრეული ტყუპების ადგილზე პროექტით გათვალისწინებული ყველა ცათამბჯენის მშენებლობა 2012 წელს უნდა დასრულდეს.

რაც შეეხება ახალ WTC 7-ს, მისი საოფისე ფართობი 158 ათას კვადრატულ მეტრს შეადგენს. ეს შენობა ჯერ ცარიელია, თუმცა სილვერსტინი იმედოვნებს, რომ წლის ბოლომდე აუცილებლად შეძლებს მის მთლიანად გაქირავებას. წინასწარი მონაცემებით, კვადრატული მეტრის იჯარით აღება ამ შენობაში მხოლოდ 550 დოლარი დაჯდება. ეს კი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ცენტრალური მანჰეტენის საოფისე ფართების საიჯარო ღირებულება.

სილვერსტინმა, რომელიც ახლა 74 წლისაა, მსოფლიოს სავაჭრო ცენტრის მახლობლად მდებარე მიწის ნაკვეთის იჯარით აღების კონკურსი 1980 წელს მოიგო და იქ საოფისე ცათამბჯენი ააგო. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტებამდე ცოტა ხნით ადრე კი მან იჯარით აიღო ის ტერიტორიაც, რომელზეც მსოფლიოს სავაჭრო ცენტრის ტყუპი ცათამბჯენები იყო აშენებული.

### სემეკი საფეხურებრივ ტარიფებს განიხილავს

საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია პარლამენტარების თხოვნის საფუძველზე ელექტროენერგიის საფეხურებრივ ტარიფებს განიხილავს. კერძოდ, საუბარია საფეხურებრივი ტარიფის ქვედა ზღვარის შეცვლაზე, რომელიც ტარიფს თვეში 100 კილოვატსაათი ელექტროენერგიის მოხმარების შემთხვევაზე განსაზღვრავს. როგორც საინფორმაციო სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენ"-ს სემეკის ეკონომიკური ანალიზისა და ფასწარმოქმნის დეპარტამენტში განუცხადეს, პასუხი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დღე-დღეზე მზად იქნება. "პარლამენტარების აზრით, 100-კილოვატსაათიანი ზღვარი არასაკმარისია. მათ სემეკს თხოვნით მიმართეს, რომ ის 120 კილოვატსაათამდე გაიზარდოს," - განაცხადა დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ივერი შალამბერიძემ. მისივე განმარტებით, სემეკი ყველა შესაძლო ვარიანტს განიხილავს, თუმცა აქვე აღნიშნა, რომ პირველი საფეხურის 100-დან 120 კილოვატსაათამდე გაზრდა გამოიწვევს დენის ტარიფის ზრდას მეორე და მესამე საფეხურის მომხმარებლებისათვის. "არ გვინდა, რომ ის მომხმარებლები დაზარალდნენ, რომლებისათვის ტარიფი ისედაც მაღალია. მაგალითად, ამ ცვლილებამ შესაძლოა, მესამე საფეხურის მომხმარებლებისათვის 1 კილოვატსაათზე ტარიფის 17,69-დან 19 თეთრამდე ზრდა გამოიწვიოს, რაც არ არის სასურველი, რადგან მათთვის ტარიფი ისედაც მაღალია," - განაცხადა შალამბერიძემ და აღნიშნა, რომ საბოლოო დასკვნებს ამასთან დაკავშირებით სემეკი უახლოეს დღეებში დადებს. შეგახსენებთ, რომ სემეკმა ელექტროენერგიის ახალი სამომხმარებლო ტარიფები მიმდინარე წლის 11 მაისს დაამტკიცა. სამომხმარებლო ტარიფები დიფერენცირებულია.

კერძოდ, მომხმარებლები ელექტროენერგიის საფასურს იმის მიხედვით გადაიხდიან, თუ რა რაოდენობით ენერგიას მოიხმარენ ისინი. თბილისელები, რომლებიც თვეში 100 კილოვატსაათ ელექტროენერგიას მოიხმარენ, ერთ კილოვატსაათში 13,48 თეთრს გადაიხდიან, 101-დან 300 კილოვატსაათის ჩათვლით - 16 თეთრს, ხოლო 301-დან ზემოთ - 17,69 თეთრს. რაც შეეხება რეგიონების მოსახლეობას, ის ვინც 100 კილოვატსაათამდე ელექტროენერგიას მოიხმარს, 12,98 თეთრს გადაიხდის, 101-დან 300 კილოვატ საათის ჩათვლით - 16,52 თეთრს, ხოლო 300 კილოვატზე ზევით - 17,50 თეთრს. **ჯი-ეიჩ-ენი**

### საქართველო დიდ მოგებას ნახავს

სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოში მეკალმახეობის განვითარებით, ქვეყნიდან თევზის ექსპორტის განხორციელებას რეალურად მიიჩნევს. როგორც "ჯი-ეიჩ-ენს" სამინისტროს მეთევზეობის განყოფილების მთავარმა სპეციალისტმა მიხეილ კუტალაძემ განუცხადა, საქართველოს გააჩნია იმის პოტენციალი, რომ დიდი რაოდენობით სხვადასხვა ჯიშის თევზი აწარმოოს და შემდეგ მოახდინოს მისი ექსპორტირება უცხოურ ქვეყნებში. მისივე თქმით, თევზის ექსპორტის განხორციელების შემთხვევაში საქართველო დიდ მოგებას ნახავს. ცნობისთვის, საქართველო წელიწადში 300 ტონამდე კალმახს აწარმოებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

### აფრიკული ლოქო ქართულ ბაზარზე

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეთევზეობის განყოფილება მეთევზეობის დარგის განვითარებით დაინტერესებულ ინვესტორს აფრიკული ლოქოს შემოტანას სთავაზობს. როგორც "ჯი-ეიჩ-ენს" სამინისტროს მეთევზეობის განყოფილებიდან აცნობეს, 1 კბმ წყალში შესაძლებელია 3 კგ-მდე აფრიკული ლოქოს გაზრდა. მათივე თქმით, 2,5 კგ წონის აფრიკული ლოქო სასაქონლე სახეს იძენს და მისი შემოტანა მომგებიანი იქნება. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ამერიკელები ტაბახმელაში ქარხანას აშენებენ

ამერიკული კომპანია ტაბახმელაში, თევზისთვის საჭირო სპეციფიკური საკვების საწარმოებლად, ქარხანას აშენებს. როგორც "ჯი-ეიჩ-ენისთვის" გახდა ცნობილი, საქართველო წელიწადში 500 ტონამდე იმპორტირებულ თევზის საკვებს მოიხმარს. სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეთევზეობის განყოფილების მთავარი სპეციალისტის მიხეილ კუტალაძის განცხადებით, თევზისთვის საჭირო საკვები, ძირითადად, თურქეთიდან, იტალიიდან და დანიიდან შემოდის. 1 კგ საკვების ღირებულება 1,5 აშშ დოლარს შეადგენს. მეთევზეობის განყოფილებაში მიიჩნევენ, რომ თევზის საკვების ქარხნის არსებობა საქართველოში მეთევზეობის განვითარებას შეუწყობს ხელს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## Volvo - სპეციალურად ალერგიული ადამიანებისთვის



ასთმისა და ალერგიული დაავადებების შვედურმა ასოციაციამ სპეციალური გამოკვლევების ჩატარების შედეგად დაადგინა, რომ მოცემულ მომენტში, მსოფლიოში მხოლოდ ერთი ავტომობილი არსებობს, რომელიც ასთმით დაავადებულებსა და ალერგიული ადამიანების ჯანმრთელობის მდგომარეობისთვის აბსოლუტურად უსაფრთხოა. ეს ავტომობილი კი Volvo-ს ახალი თაობის S80-მოდელი გახლავთ. აღნიშნული მარკის ავტომობილები ახალი სისტემის წყალობით ავტომობილის სალონში ხელს უწყობს სუფთა ჰაერის შენარჩუნებას.

## Nokia პატენტი ტელეფონების წინააღმდეგ იბრძვის




მობილური ტელეფონების უმსხვილესმა მწარმოებელმა Nokia-მ პატენტ ტელეფონებს ბრძოლა გამოუცხადა. კომპანიამ ბრძოლის სპეციალური პროგრამა შეიმუშავა.

კომპანიის წარმომადგენლის თქმით, ბოლო პერიოდში პატენტი მობილური ტელეფონებისა და საფირმო აქსესუარების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. ამის გამო კომპანია Nokia კონტრაბანდისტების წინააღმდეგ გალაშქვრას აპირებს.

ასე რომ, ცოტა ხნის წინ დასრულებული სასამართლო პროცესი, რომელიც Nokia-სა და კომპანია Supliment Corp.-ს შორის მიმდინარე დავას იძიებდა, Nokia-ს სასარგებლოდ დასრულდა. სასამართლომ პატენტი პროდუქციის გამავრცელებელ კომპანიას ფინური კომპანიისთვის 1,36 მილიონი დოლარის გადახდა დააკისრა. Supliment-ის ხელმძღვანელს გერმან ლოზანოს და მისი ძმა ჰავიერს კი კონტრაბანდული ტელეფონების წარმოება-გავრცელების გამო სასამართლომ 6 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

## ევროკავშირი მომსახურების სფეროს ლიბერალიზაციას მოითხოვს

ევროკავშირის მინისტრები მომსახურების სფეროს ლიბერალიზაციის საკითხში შეტანილ დირექტივებს დადებითად აფასებენ. მომსახურების სფეროს ლიბერალიზაცია ევროპულ კომპანიებს ევროკავშირის მონაწილე ქვეყნების ბაზარზე თავისუფალი მუშაობის საშუალებას მისცემს. ევროკავშირის მინისტრების განცხადებით, ბრიუსელის შეხვედრის შემდეგ მიღწეული შედეგები ევროკავშირის კრიზისის გადალახვაში გადამწყვეტ როლს ითამაშებს.

ევროპის მოქმედი მომსახურების სფეროების გაერთიანება ევროპის ეკონომიკური განვითარებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფეხურია. 2005 წლის მონაცემებით, ევროკავშირის მომსახურების ბაზარზე 116 მილიონი ადამიანია დაკავებული, რაც სამუშაო ძალის საერთო კონტინგენტის 70%-ია.

# VERTU სკანდინავიურ და აზიურ ბაზრებს იპყრობს



კომპანია Vertu-ს მსოფლიოში ყველაზე ელიტარული მობილური ტელეფონების მწარმოებელია. ის Nokia-ს ქვეკომპანიაა. Vertu-ს პრეზიდენტის ალბერტო ტორესის ინფორმაციით, მსოფლიოში მის მიერ წარმოებული მობილური ტელეფონების პოპულარობა დღითიდღე იზრდება. მისი აზრით, ძვირადღირებულ მობილურ ტელეფონებზე მოთხოვნილება კომპანიის გეოგრაფიულ გავრცელებას უკავშირდება. კომპანიამ სულ ცოტა ხნის წინ თავისი პროდუქცია აზიისა და სკანდინავიის ბაზრებზე გაიტანა. კიდევ ერთი ფაქტი, რომელმაც Vertu-ს პოპულარულობა განაპირობა Nokia-ს მიერ ახალი მოდელების გამოშვებას უკავშირდება.

ტორესი იმედოვნებს, რომ კომპანია 2006 წლიდან, ასი ათას ტელეფონს გაყიდის, მაშინ როცა, გასულ წელს სულ რამდენიმე ათასი ტელეფონი გაიყიდა. მისივე პროგნოზით, კომპანია Vertu, პროდუქციის გაყიდვის თვალსაზრისით, ერთ მილიონიან ზღვარს მხოლოდ ათი წლის შემდეგ მიაღწევს.

შეგახსენებთ, რომ კომპანია Vertu Nokia-ს ერთ-ერთი უმსხვილესი ქვეგანყოფილებაა. Vertu-ს ელიტარული ტელეფონების ღირებულება ჯერ ცნობილი არ არის.

# DAEWOO-ს ყოფილ შეფს 10 წელი მიუსაჯეს

სამხრეთ კორეის სასამართლომ კორპარაცია Daewoo-ს დამფუძნებელს და ყოფილ შეფს კიმ ვუ ჩუნგს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. მას ბრალი რამდენიმე მუხლით წაუყენეს. მათ შორის კი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპანიის თანხების უკანონო მითვისება და ფინანსური მაქინაციებია. ქრთამის აღების ბრალდებაში კი სასამართლომ კომპანიის შეფი უდანაშაულოდ სცნო. კორეის სასამართლომ 69 წლის კიმ ვუ ჩუნგს, 10 ათას დოლარიანი ჯარიმის გარდა, კომპენსაციის სახით, კიდევ 22 მილიარდი დოლარის გადახდა დააკისრა. კორპორაცია Daewoo სამხრეთ კორეაში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი სამრეწველო კომპანია იყო, რომელიც დაგროვილი ვალების გადაუხდელობის გამო დაიშალა.



კიმ ვუ ჩუნგი.

კორპორაციის ყოფილი ხელმძღვანელი კორეაში ერთი წლის წინ, საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ დააკავეს. 1999 წელს კუმ ვუ ჩუნგი კომპანიაში შექმნილი სირთულეების თავიდან აცილების მიზნით, ქვეყნიდან წავიდა. ცნობილია, რომ ამ პერიოდში ის საფრანგეთში ცხოვრობდა, კორეაში კი გასულ 2005 წელს დაბრუნდა.

"კომპანიის შეფის მიერ საქმიანი ეთიკისა და თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების გამო მკაცრი განაჩენი გარდაუვალი იყო. მისმა დანაშაულებრივმა ქმედებებმა უმდიდრესი Daewoo Group გაკოტრებამდე მიიყვანა",- განაცხადა მოსამართლემ.

ამის შემდეგ კორპორაცია დაიშალა და ცალკეულ ნაწილებად გაიყიდა. ამერიკულმა საავტომობილო გიგანტმა General Motors-მა კორპორაცია Daewoo Motors-ის აქციების დიდი პაკეტი შეიძინა და 2002 წელს GM Daewoo შექმნა.

# ENRON-ის ყოფილი ხელმძღვანელობა თაღლითობაში ამხილეს



კენეტ ლეი.



სკილინგი.

ენერგეტიკული კომპანია Enron-ის ყოფილ ხელმძღვანელებს კენეტ ლეის და ჯეფრი კილინგს ფასიანი ქაღალდების თაღლითობასა და შეთქმულებაში ადანაშაულებენ. ხელმძღვანელობის მიერ ჩადენილმა ფინანსურმა მაქინაციებმა კომპანია 2001 წელს ამერიკაში ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ გაკოტრებამდე მიიყვანა.

კომპანია Enron-ი, საბაზრო კაპიტალიზაციის თვალსაზრისით, ამერიკულ კომპანიებს შორის მეშვიდე ადგილზე იმყოფებოდა. მისი ერთ-ერთი დამაარსებელი კენეტ ლეი სასამართლომ წაყენებული ბრალდების ექვსივე პუნქტში, ხოლო აღმასრულებელი დირექტორის პოსტის მფლობელი სკილინგი 28-იდან 19-ში დამნაშავედ სცნო. აღნიშნული ვერდიქტი პროკურატურის დიდ გამარჯვებად ითვლება. პროკურატურა კომპანია Enron-ის საქმეებს ოთხი წლის განმავლობაში იკვლევდა. ამასთან, კომპანიის ცხრამეტმა მაღალჩინოსანმა ჩადენილი დანაშაული უკვე აღიარა.

Enron-ის გაკოტრებამ ამერიკის შეერთებულ შტატებში გრანდიოზული სკანდალის სახე მიიღო და სასამართლოს და პროკურატურას კორპორატიული მსოფლიოს არაკეთილსინდისიერი ფინანსური ოპერაციებით დაინტერესების ბიძგი მისცა. ამ პროცესებში ისეთი კომპანიებიც ჩაებნენ, როგორიცაა "HelthSouth", "Worldcom", GlobalCrossing" და Adelphia". ამ ყოველივემ კი ამერიკის ეკონომიკას კოლოსალური ზარალი მიაყენა. სკანდალმა ამერიკის კონგრესს 2002 წელს ფინანსური პასუხისმგებლობის და სააქციო კომპანიების აუდიტის საკითხის გამკაცრებისკენ მოუწოდა.

ლეის და სკილინგის ბრალეულობა იმაში მდგომარეობს, რომ მათ აქციონერებს, ინვესტორებს და მარეგულირებელ ორგანოებს კომპანიაში მიმდინარე მოვლენები შეგნებულად დაუმალეს. კონკრეტულად კი, ისინი კომპანიის წარმომადგენლებს არარეალურ კვარტალურ შემოსავლებს აჩვენებდნენ. მაშინ, როცა კომპანიის საქმეები სერიოზულად გართულდა, ლეიმ და სკილინგმა საკუთარი აქციების გაყიდვა დაიწყეს. Enron-ის გაკოტრების შედეგად კომპანიის 20 ათასი თანამშრომელი უმუშევარი დარჩა. მათ საპენსიო დანაზოგებიც დაკარგეს, უმეტესობა კი სიღატაკის ზღვარზე აღმოჩნდა.

გამოძიების თანახმად, 1999-2001 წლებში ლეიმ Enron-ში თავისი აქციების გაყიდვის შედეგად 220 მილონი დოლარი მიიღო, სკილინგმა კი - 150 მილიონი.

გარდა ამისა, Enron-ის საქმეს სკანდალური პოლიტიკური ელფერიც დაკრავს. ლეი თავის შესაძლებლობებს და ფულად სახსრებს პოლიტიკური ძალების მოსყიდვისთვის აქტიურად იყენებდა. არჩევნების პერიოდში გულუხვად ასპონსორებდა რესპუბლიკური პარტიის კანდიდატებს. უნდა აღინიშნოს, რომ ლეიმ კოლოსალური თანხები მოახმარა ჯორჯ ბუშის წინასაარჩევნო კამპანიას, რის სანაცვლოდაც ის ყველაზე გულუხვ კორპორატიულ სპონსორადაც დაასახელეს.

სასამართლო პროცესი, რომელიც ლეის და სკილინგს საბოლოო განაჩენს გამოუტანს, 11 სექტემბერს გაიმართება. სავარაუდოდ, სასჯელი, რომელსაც მათ სასამართლო მიუსჯის, 45 წლით თავისუფლების აღკვეთას გულისხმობს. იმის გათვალისწინებით, რომ ლეი 64 წლისაა, სკილინგი კი - 52-ის, ადვილი მისახვედრია, რომ კომპანიის ორივე ხელმძღვანელს დარჩენილი სიცოცხლის გატარება ციხეში მოუწევს. მანამდე კი მათ 5 მილიარდის გადახდა მოუწევთ, რომ 11 სექტემბრამდე დარჩენილი პერიოდი ღია ცის ქვეშ გაატარონ.

# Google თავის პროგრამას DELL-ის კომპიუტერებში განათავსებს

კომპიუტერული კორპორაცია Dell-ი და საძიებო ინტერნეტ-პორტალი Google კომპიუტერებში საკუთარი პროგრამული უზრუნველყოფის პაკეტის განთავსებაზე შეთანხმდნენ.

საქმე ეხება რამდენიმე პროგრამას და, მათ შორის, კომპანია Google-ის ინსტრუმენტების პანელს და საშინაო გვერდს, რომელსაც ეს ორი კომპანია ერთობლივად შეიმუშავებს.

გარიგების ფინანსური მხარეზე კომპანიები ჯერ არ შეთანხმებულან, თუმცა მათი წარმომადგენლები იმედოვნებენ, რომ ერთობლივი პროექტი ორივე კომპანიისთვის წარმატებული იქნება.

კომპანია Google-ის ხელმძღვანელი ერიკ შმიდტი აცხადებს, რომ მათი ერთობლივი პროექტი მსოფლიოში პირველი პრეცედენტია და მომავალში მას ბევრი სხვა კომპანია მიბაძავს.




ახალი პროექტის პრეზენტაციაზე.

პერსონალური კომპიუტერების მწარმოებელი უმსხვილესი კომპანია Dell-ის წარმომადგენლები კი გარიგებასთან დაკავშირებით ჯერ კომენტარს არ აკეთებენ.

Google-მა კომპანია Dell-თან თანამშრომლობამდე მთელი რიგი წინააღმდეგობები გაიარა. მას კომპანია Microsoft-თან შერკინება მოუხდა. მეორე საძიებო სისტემა Yahoo-მ კი ამ ბრძოლაზე უარი თავისი ნებით განაცხადა. გარიგება კომპანია Google-ს სერიოზულ ფინანსურ მოგებას მოუტანს, რაც კომპანია Microsoft-ისთვის არცთუ ისე სახარბიელოა.

შეგახსენებთ, რომ Google და Microsoft-ი სრულიად განსხვავებულ ბიზნეს-მოდელებზე მუშაობენ. კომპანია Mikrosoft-ში აცხადებენ, რომ კონკურენტი კომპანიის მიერ წამოწყებული ახალი სარეკლამო კამპანია მათ სერიოზულად დააზარალებს.

## აშშ-ს ბირჟაზე კლებაა










გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა კლება დაფიქსირდა. ინვესტორთა განწყობაზე უარყოფითი გავლენა ნავთობის ფასების მომატებამ და დოლარის კურსის ვარდნამ, რომელიც აშშ-ს ფინანსთა მინისტრის ჯონ სნოუს გადადგომას მოჰყვა, მოახდინა.

საბოლოოდ, Dow Jones Index 0,89 პროცენტით, 11.178,24 პუნქტამდე შემცირდა. 1,01 პროცენტით შემცირებულმა Nasdaq Index-მა 2.188,09 პუნტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index 0,8 პროცენტით, 1.269,92 პუნქტამდე დაიკლო.

## ნავთობი ორკვირიან მაქსიმუმამდე გაძვირდა

გუშინ ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 71,99 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 72,44 დოლარი/ბარელამდე გაძვირდა. ეს კი უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში დაფიქსირებული მაქსიმალური მაჩვენებელია.

ანალიტიკოსთა აზრით, ოპეკის მიერ ბაზრის მაქსიმალური მომარაგების დაპირების მიუხედავად "შავი ოქროს" გაძვირების მიზეზი ირანის ბირთვული პროგრამის ინგვლივ არსებული გაურკვეველი ვითარება და მექსიკის ყურეში მოსალოდნელი შტორმია. გარდა ამისა, ნავთობის გაძვირების ხელი ბენზინის ფასის ზრდამაც შეუწყო, რაც საავტომობილო სეზონის დადგომამ განაპირობა.

## ოპეკი ნავთობის მოპოვების გაზრდას აპირებს, ვენესუელა კი შემცირებას ითხოვს

ნავთობის ექსპორტიორ ქვეყანათა ორგანიზაციის - ოპეკის გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებელმა მოჰამედ ბერკინდომ განაცხადა, რომ კარტელის წევრ ქვეყნებს 2010 წლისათვის ნავთობის მოპოვების მოცულობის დღე-ღამეში 6 მილიონ ბარელამდე გაზრდა შეუძლიათ. მისი თქმით, ამისათვის დაახლოებით 100 მილიარდი დოლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელება იქნება საჭირო.

ბერკინდომ ბაზრის მაქსიმალურად მომარაგების პირობა დადო და ნავთობის გადამამუშავებლებს სიმძლავრეების გაზრდისაკენ მოუწოდა, რადგან მხოლოდ მოპოვების მოცულობის გაზრდა ბაზარზე ფასების დაწევას ხელს ვერ შეუწყობს.

ვენესულას ნავთობის მინისტრი რაფაელ რამირესი კი პირიქით, ნავთობის მოპოვების შემცირების მოთხოვნით გამოვიდა. მისი თქმით, ბაზარი გადავსებულია, ნავთობის მარაგი კი საშუალო ისტორიულ მაჩვენებელზე მაღლაა და თუ ოპეკი მის აზრს არ გაითვალისწინებს და "შავი ოქროს" მოპოვებას არ შეამცირებს, ამჟამინდელი მოცულობა მაინც უნდა შეინარჩუნოს და გაზრდის გადაწყვეტილება არ მიიღოს.

რამირესის აზრით, ნავთობის ფასების ზრდა არა საბაზრო ფაქტორებით, არამედ ირანის ბირთვული პროგრამის და საგადად, მსოფლიოში შექმნილი მძიმე გეოპოლიტიკური სიტუაციითაა განპირობებული.

## MITTAL STEEL-მა შესაძლოა, ტაქტიკა შეცვალოს

ლუქსემბურგისა და ბელგიის რეგიონ ვალონიას მთავრობები, რომლებიც, Arcelor-ის აქციების 5,6 და 2,4 პროცენტს ფლობენ, ევროპული მეტალურგიული გიგანტის და რუსული "სევერსტალის" შერწყმას ეჭვქვეშ აყენებენ.

ლუქსემბურგის ეკონომიკის მინისტრმა ჟან კრეკემ განაცხადა, რომ მთავრობა შექმნილ სიტუაციას აანალიზებს. მისი თქმით, Arcelor-ის და "სევერსტალის" შერწყმა "ერთ-ერთი შესაძლებელი ვარიანტია" და რომ Mittal Steel-ის წინადადება კვლავ ძალაში რჩება.

ბელგიურ მხარეს კი მაკროეკონომიკური ხასიათის პრობლემები აღელვებს, როგორიცაა აღნიშნული გარიგების გავლენა მოსახლეობის დასაქმებაზე და რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე.

ინდური კონცერნი Mitaal Steel კი Arcelor-ის აქციების 51 პროცენტის ხელში ჩაგდების იმედს ისევ არ კარგავს. თუმცა, თუ არ გამოუვა, მაშინ ლაკშმი მიტალის პირმშო გაერთიანებული "Arcelor-სევერსტალის" აქციების 30-40 პროცენტის შეძენას შეეცდება. ამ შემთხვევაში, გაერთიანებული კომპანიის უმსხვილესი აქციონერები ინდური მხარე და ალექსეი მორდაშოვი იქნებიან, მათ ნებისმიერ დროს შეეძლებათ აქციონერთა კრების მოწვევა და სასურველი გადაწყვეტილების გატანა. ასე რომ, თუ Arcelor-ის და "სევერსტალის" გაერთიანება შედგა, შესაძლოა, მის შიგნით Mittal Steel-ის და მორდაშოვის მმართველი ალიანსი წარმოიქმნეს.

## Sony ახალ აქსესუარებზე მუშაობს

კომპანია Sony თავისი ცნობილი კონსოლის PlayStation-ის მარკით, სუვენირებსა და აქსესუარებს გამოუშვებს. უახლოეს მომავალში იაპონური კორპორაციის მიერ წარმოებული პროდუქციის ფანატებისთვის სხვადასხვა სუვენირული განყოფილებებიც გაიხსნება, სადაც წარმოდგენილი იქნება SP-ლოგოტიპით დამშვენებული სპეციალური ბოკალები, ხელჩანთები, ყურსასმენები და კიდევ მრავალი ორიგინალური აქსესუარი. ერთადერთი, რასაც კომპანია PlayStation-ის მარკით აწარმოებდა, გახლდათ ყურსასმენები, რომელთა ღირებულებაც 115 დოლარია.

ცოტა ხანში კი კომპანია, Sony-ის მუსიკალური აპარატურისთვის განკუთვნილ ნიანგის ტყავის ჩანთებს გამოუშვებს. მისი ფასი სავარაუდოდ 270 დოლარი იქნება.

SonyPleyStation-ის სუვენირების მთელი პროდუქციის შეძენა კომპანიის ფანატებს 1550 დოლარი დაუჯდებათ.

## მოსაზრება

წერილის მოწერა გადამაწყვეტინა პროფესიულმა დამოკიდებულებამ, რადგანაც ჩვენი სფერო დაემსგავსა ანდაზას - "ვინც რა უნდა სთქვასო წისქვილმა კი ფქვასო".

ამ დღეებში კონტროლის პალატის მიერ გახმაურებულმა ცნობამ, საქართველოში თითოეული მცხოვრები დღეში საშუალოდ თურმე 50 გრამ პურს მიირთმევს, პოლემიკა გამოიწვია. მინდა დავაზუსტო, 50 გრამი - ეს აღრიცხული პურია, დანარჩენი 250 გრამი, უბრალოდ, აღურიცხავია, რადგანაც ზუსტად ასახავს პურის ბაზრის რეალურ სურათს საცხობების რაოდენობას და მათი ლეგალიზაციის დონეს. ადამიანის პურის მოხმარების დღიური ნორმა 300 გრამია, თბილისში დღე-ღამეში 350-400 ტონამდე პური მოიხმარება 1 მილიონი 200 ათასის გათვალისწინებით. შესაძლებელია ეს ციფრი ცოტა ნაკლებიც იყოს, თუ გავითვალისწინებთ კვების პროდუქტების ბაზრის მრავალფეროვნებას.

ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელიც ითვალისწინებს 100 ათასამდე ბრუნვას და საგადასახადო შეღავათებს აწესებს, უამრავი პურის მწარმოებლის (არალეგალურად მომუშავე) თავშესაფრად იქცა, რასაც ფიქსირებული გადასახადის დროს ნაკლებად ახერხებდნენ (ვერ ახერხებდნენ). რა მეთოდებს და ხერხებს არ იყენებენ, გადასახადებს თავი რომ აარიდონ და კონკურენტუნარიანი გახდნენ. ზოგიერთმა ჯვარი გამოხატა პურზე, ზოგიერთმა ტენდერში 1 კგ პურზე 57 თეთრით გაიმარჯვა, იმ დროს, როდესაც მარტო ფქვილი 1 კგ 50 თეთრია. ერთი სიტყვით, "მიღწევები" სახეზეა.

რით შეიძლება პრობლემა გადაიჭრას: პურის ბიზნესის ლეგალიზაციის ხელშეწყობა შესაძლებელია პურის ვაჭრობაში (სასურსათო მაღ.) დროებითი წესების შემოღებით, თუნდაც ექსპერიმენტის სახით, რომელსაც 50-100 ან 200 პურის ყოველდღიურ აღრიცხვას აუცილებლად მოსთხოვს სასურსათო მაღაზიას. პურის ბიზნესი ასეთი შემოღებით, გვერწმუნეთ, გათეთრდება, რადგანაც ეს წესი გამორიცხავს გამყიდველი მძღოლების გარიგებებს და ზოგ შემთხვევაში ამ სქემებში ბევრ გაუთვითცნობიერებელ მაღაზიის მეპატრონის პოზიციას, რომელიც მაღაზიაში მხოლოდ თვის ბოლოს სტუმრობს და იქ რა ხდება, წარმოდგენა არა აქვს.

ასეთ პირობებში ხელი შეეწყობა ამ სფეროს ლეგალიზაციას. თუ ასეთი მიდგომები განხორციელდა, მდგომარეობა ლეგალიზაციის მიმართებაში რადიკალურად შეიცვლება. შესაძლებელია, ოპონენტებმა თქვან, ეს ვაჭრობის წესების დარღვევაა. ვპასუხობ, 50 გრამი მოხმარებული პური ვაჭრობის წესების დარღვევა არ არის? პურის ცხობის ჩრდილში დგომა დარღვევა არ არის? ლეგალური ბიზნესის დაჩაგვრა დარღვევა არ არის? სწორედ ასეთმა პირობებმა წაახალისა და ტირაჟირდა არგადამხდელი საწარმოები, რომლის გამოც ლეგალური ბიზნესი ამ სფეროში შეუძლებელი გახდა. ინფორმაციისათვის, გარდა ენერგომატარებლების მატებისა, ფქვილმა, რომელიც პურის ცხობის ძირითადი ნედლეულია, წლის დასაწყისიდან 50 ლარით მოიმატა (1 ტონაზე), ანუ 11%-ით.

მალხაზ დოლიძე

*მეწარმე, თბილისის პურის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე*




## ამინდი

| | 31/05 | 1/06 | 2/06 |
|---|---|---|---|
| კიევი | 20 | 23 | 19 |
| რიგა | 18 | 10 | 16 |
| ვილნიუსი | 11 | 16 | 17 |
| მოსკოვი | 13 | 18 | 22 |
| მინსკი | 9 | 18 | 20 |
| პარიზი | 12 | 18 | 18 |
| რომი | 22 | 16 | 21 |
| ლონდონი | 15 | 17 | 20 |
| მადრიდი | 25 | 25 | 27 |
| ბონი | 10 | 11 | 15 |
| ვარშავა | 11 | 18 | 21 |
| ათენა | 29 | 29 | 28 |
| ბერნი | 6 | 8 | 12 |
| ამსტერდამი | 10 | 10 | 12 |
| ოსლო | 12 | 17 | 15 |
| ანკარა | 34 | 33 | 36 |
| ვარნა | 30 | 19 | 22 |
| დელი | 52 | 53 | 45 |
| ტოკიო | 28 | 28 | 28 |
| კოპენჰაგენი | 10 | 14 | 11 |
| ბაქო | 30 | 32 | 33 |
| ერევანი | 37 | 38 | 36 |
| ასტანა | 25 | 19 | 19 |
| ჰელსინკი | 15 | 11 | 10 |
| დუბლინი | 13 | 15 | 17 |
| ლისაბონი | 31 | 27 | 26 |
| პრაღა | 8 | 7 | 12 |
| სოფია | 20 | 15 | 12 |
| ბუდაპეშტი | 10 | 16 | 18 |
| ბუხარესტი | 25 | 22 | 21 |

# საქართველოს უძრავი ქონების ბაზარი - ახალი მოთხოვნა, რომელსაც მიწოდება სჭირდება



*ირაკლი კილაურიძე.*



*ირაკლი ყაჭეიშვილი.*

პირველი გვერდიდან

"დღეს საქართველოს უძრავი ქონების ბაზარი იმდენად დიდია, რომ წინ უსწრებს მოთხოვნას, აქედან გამომდინარე, კარგი ბინის, აგარაკის თუ საოფისე ფართის შეძენა, პრობლემა აღარ არის. ამიტომაც არის, რომ მომხარებელს შეეცვალა შეხედულებები და სხვა მოთხოვნილებებიც გაუჩნდა, მას სურვილი აღარ აქვს ბინა ეგრეთ წოდებული "მაკლერისგან" შეიძინოს, მისთვის უფრო მისაღებია საბროკერო კომპანიას მიმართოს, სადაც ურთიერთობების ფორმები გაცილებით ცივილურია. უძრავი ქონების ბაზარი დღითი დღე ვითარდება, შესაბამისად განვითრების ტემპს მიჰყვება მისი შესატყვისი სერვისი. ინოვაციას ბაზარი ითხოვს, ბაზარს კი ეს პრეტენზია პოტენციური კლიენტის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე უჩნდება" - მიაჩნია ირაკლი ყაჭეიშვილს და აღნიშნავს, რომ საქართველოს უძრავი ქონების ბაზარზე ეს ტენდენცია უკვე იგრძნობა. გაჩნდა ახალი მოთხოვნა, რომელსაც მიწოდება სჭირდება.

"თანამედროვე მსოფლიოში უკვე უამრავი ორაგანიზაცია არსებობს, რომელიც უძრავი ქონების რეალიზაციაზე ზრუნავს და განსხვავებული პროდუქტებისა თუ მომსახურების საშუალებით, ცდილობენ ადამიანის ცხოვრება უფრო სასიამოვნო და საინტერესო გახადოს. უძრავი ქონების ბაზარი მუდმივ სიახლეებს ითხოვს, ცივილური გარემო და მაღალი დონის საშუამავლო მომსახურება, ეს ის მოთხოვნებია, რომელიც ქართველ მომხმარებელსაც გაუჩნდა," - ახალი ტენდენციების შესახებ საუბრობს "ჯიარდისის" გენერალური დირექტორი ირაკლი კილაურიძე.

"ვიყიდი", "გავყიდი", "ვიქირავებ", "ვიგირავებ"... - ეს ის მწირი მოთხოვნებია, რომლის მიწოდებაზეც საქართველოს უძრავ ქონების ბაზარზე "უძრავი ქონების სააგენტოები" და ეგრეთწოდებული "მაკლერები", შეძლებისდაგვარად, ზრუნავენ. თუმცა რამდენად ეფექტურია და მისაღებია იქ არსებული ურთიერთოების ფორმები მომხმარებლისთვის, ამას უკვე თავად მომხმარებელი განსაზღვრავს. დღეს, უკვე ტრადიციად ქცეული ამგვარი გარიგებები შორსაა ამ ბიზნესისთვის დამახასიათებელი დასავლური პრინციპებისგან. გასათვალისწინებელია, რომ პოტენციურ მომხმარებელსა და "უძრავი ქონების სააგენტოს" შორის "საქმიანი ურთიერთობა" მხოლოდ უძრავი ქონების რეალიზაციით ამოიწურება, ასეთ დროს სააგენტოები სამშენებლო კომპანიის სახელით გამოდიან და მის ინეტერესებზე არიან ორიენტირებული, შედეგად მომხმარებელი ხშირ შემთხვევაში მოტყუებული და უკმაყოფილო რჩება. დღეს ბაზარზე სხვა მოთხოვნილებები გაჩნდა. მომხმარებლისთვის საკმარისი აღარ არის, მიიღოს მხოლოდ ინფორმაცია, რა, სად, რა ფასად იყიდება, არამედ მას სჭირდება კომპლექსური მომსახურების პაკეტი, დაწყებული ბინის შერჩევიდან, მისი თანმდევი პროცედურებით დასრულებული.

"პირველი საბროკერო" საქართველოს უძრავი ქონების ბაზარზე ამ ბიზნესისთვის დამახასიათებელ და აუცილებელ დასავლური პრინციპების დანერგვას გვთავაზობს.

"კომპანია არ იქნება ორიენტირებული მხოლოდ მაკლერულ მომსახურებაზე. ჩვენ შევქმენით პროფესიონალური გაყიდვების ჯგუფი, რომელიც უძრავ ქონებას გააქირავებს, გაყიდის ან დააგირავებს, თუმცა ამავე დროს ნებისმიერ კლიენტს გაუწევს მსოფლიო სტანდარტების დონის საშუამავლო მომსახურებას, რომელიც ფინანსურ, იურიდიულ კონსულტაციებსა და ამ ბიზნესის თანმდევ სხვა ელემენტებსაც ითავლისიწნებს, კერძოდ, შევთავაზებთ კლიენტს უძრავი ქონების ყიდვის ფინანსურ მექანიზმებსაც. ჩვენი ფინანსური პარტნიორი "თიბისი ბანკის" სესხის დახმარებით კლიენტს საშუალება ექნება უძრავი ქონება სესხით შეიძინოს, რომლის სრულ მომსახურებას "პირველი საბროკერო" უზრუნველყოფს. კომპანია ორიენტეირებული იქნება კლიენტის ინეტერესებზე, ჩვენი მიზანია მივცეთ მათ სწორი მიმართულება და დავეხმაროთ ეფექტური გადაწყვეტილების მიღებაში, " - "პირველი საბროკეროს" უპირატესობებზე მიანიშნებს კომპანიის გენერალური დირექტორი ირაკლი ყაჭეიშვილი. ირაკლი კილაურიძეს კი მიაჩნია, რომ "პირველ საბროკეროს" ტიპის კომპანიების მომსახურება, რაშიც შედის იურიდიული, ფინანსური და სამშენებლო-არქიტექტურული კონსულტაციების კომპლექსი, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ რიგითი მომხმარებლისათვის, არამედ ბაზარზე მომუშავე სამშენებლო და დეველოპერული კომპანიებისთვისაც".

# ქართულ ბაზარზე ცემენტის მწარმოებელი გერმანული კომპანია შემოვიდა

ცემენტის მწარმოებელმა გერმანულმა კომპანია HeidelbergCement-მა "ქართული ცემენტის" აქციათა 51 პროცენტი შეიძინა. გერმანული კომპანიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, ეს HeidelbergCement-ის პირველი ინვესტიციაა კავკასიის რეგიონში. HeidelbergCement-ის ინფორმაციით, მათ მიერ საქართველოში შეძენილი აქტივი რუსთავში მდებარეობს და წელიწადში 100 ათას ტონა ცემენტს აწარმოებს, რაც 2008 წლისთვის წელიწადში 500 ათას ტონამდე, შემდეგ კი 1 მილიონ ტონამდე გაიზრდება. "სამხრეთ კავკასიის ბაზარი 3 მილიონ ტონა ცემენტზე მეტს მოიხმარს, 2010 წლამდე ამ ციფრის ზრდა 5 მილიონამდეა მოსალოდნელი," - ნათქვამია კომპანიის განცხადებაში. როგორც პრაიმ-ნიუს ბიზნესს ქართული საბროკერო კომპანია სს "Galt and taggart securities"-დან აცნობეს, "ქართული ცემენტის" აქციების ყიდვით გერმანული კომპანიის აქციათა ფასი 4,2 პროცენტით გაიზარდა და 1 აქციის ფასმა 88,68 ევრო შეადგინა.

MDAXI-ს ინდექსი, რომელშიც HeidelbergCement-ი შედის, 2,2 პროცენტით გაიზარდა. გერმანული კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ბერნდ შეიფელის განცხადებით, კომპანიას კავკასიის ბაზრებზე მზარდი პოტენციალის გამოყენება სურს. პრიორიტეტულ გეგმებშია აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალურ აზიის ბაზრებზე საკუთარი როლის გაძლიერება.

2005 წლის ბოლოს HeidelbergCement-ი ყაზახეთში "Buchtarma Cement"-ის და უკრაინაში "დონცემენტის" მფლობელი გახდა. გერმანული კომპანია 50-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწეობს და მსოფლიოში ცემენტის ერთ-ერთი უმსხვილესი მწარმოებელია. კომპანია წელიწადში 68 მლნ ტონა ცემენტს აწარმოებს. საქართველოს ბაზარზე ცემენტის 70-80 პროცენტს სს "რუსთავცემენტი" აწარმოებს, რომელიც პროდუქციის ადგილობრივ ბაზარზე რეალიზაციის გარდა, მის ექსპორტს კავკასიის რეგიონში ახორციელებს. "ქართული ცემენტის" აქციებით საქართველოს საფონდო ბირჟაზე (სსბ) ვაჭრობა არ ხდება, რის გამოც გერმანულ კომპანიასთან დადებული გარიგების დეტალები ცნობილი არ არის. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

# საქართველოს ყველა რეგიონში ტურიზმის საინფორმაციო ცენტრები გაიხსნება

საქართველოს ყველა რეგიონის ადმინისტრაციულ ცენტრში ტურიზმის საინფორმაციო ცენტრები გაიხსნება, - განაცხადა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის დაგეგმარების, კურორტების განვითარებისა და სტატისტიკის განყოფილების ხელმძღვანელმა ბექა ჯაყელმა. მისი თქმით, ასეთი ცენტრები 2006 წელს მცხეთაში, თელავსა და ქუთაისში გაიხსნება, 2007 წელს კი ისინი მთელ საქართველოს მოიცავენ.

როგორც უცხოელები, ასევე საქართველოს მოქალაქეები ტურისტული სახის ინფორმაციას ცენტრში უფასოდ მიიღებენ. ეს მოდელი ბევრ ქვეყანაში არსებობს, - აცხადებს ჯაყელი. "ტურიზმის საინფორმაციო ცენტრების გახსნა მნივშნელოვანია რეგიონებში სიღარიბის დაძლევის თვალსაზრისით. ცენტრებს ექნებათ ინფორმაცია არა მარტო სასტუმროებზე, არამედ ოჯახებზეც, სადაც ტურისტებს მოსვენების შესაძლებლობა ექნებათ. ეს მოსახლეობისთვის ერთგვარი უფასო რეკლამა იქნება." ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტს ორი ძირითადი ფუნქცია აქვს - მარკეტინგული საქმიანობა და ტურიზმის დაგეგმარება, აცხადებს ჯაყელი. მარკეტინგული სამსახურის ძირითადი ამოცანა ქვეყნის ტურისტული იმიჯის პოპულარიზაციაა. 2004 წლიდან საქართველომ მიიღო მონაწილეობა თითქმის ყველა საერთაშორისო ტურისტულ გამოფენა-ბაზრობაში - ლონდონში, ბერლინში, მიუნხენში, მადრიდში, სტამბულში და კიევში. ასეთ გამოფენებში ტურიზმის დეპარტამენტთან ერთად, რომელიც მხოლოდ პოლიტიკის გამტარებელია და ტურისტული ბიზნესის ხელშეწყობას ახორციელებს, მონაწილეობენ ასევე ქართული ტურ-ოპერატორები და სასტუმროები, რომელთა წარმატებაც დეპარტამენტის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, - თვლის ბექა ჯაყელი.

იაპონიასა და საფრანგეთში საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში საქართველოს მონაწილეობა შემოდგომაზე იგეგმება. მარკეტინგული სამსახურის მიერ ხდება უცხოელი ჟურნალისტებისთვის პრეს-ტურების მოწყობა. საქართველოს უკვე ეწვივნენ ჰოლანდიის, ისრაელის, რუსეთისა და უკრაინის მედიის წარმომადგენლები. მსოფლიოს ტურისტული ორგანიზაციის და მათი სპეციალისტების დახმარებით მომზადდება ტურიზმის განვითარების გენერალური გეგმა. ჯაყელის თქმით, ამ გეგმის მომზადება ოთხ თვეს გასტანს. წლის ბოლომდე გაიხსნება ტურიზმის სასწავლებელი, რომელიც საქართველოში ტურიზმის მომსახურე პერსონალს მოამზადებს. 2005 წელს საქართველოში 542 428 უცხოელი ჩამოვიდა, რაც 2004 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 49 პროცენტით მეტია. ბექა ჯაყელი ამას რამდენიმე ფაქტორს უკავშირებს, მათ შორის - ქვეყანაში განხორციელებულ წარმატებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეფორმებს; საქართველოს გაუმჯობესებულ საერთაშორისო იმიჯს; სავიზო რეჟიმის ცალმხრივ გაუქმებას ევროკავშირის ქვეყნებთან, აშშ-სთან, კანადასთან, ისრაელთან, სამხრეთ კორეასა და იაპონიასთან. ბექა ჯაყელის განცხადებით, ტურიზმის დეპარტამენტი მალე დაიწყებს მარკეტინგული და სტატისტიკური კვლევების ჩატარებას. "კვლევების არარსებობის გამო მხოლოდ ზოგადი ინფორმაცია გაგვაჩნია ტურისტული ნაკადების შესახებ," - დასძინა ჯაყელმა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## საქართველოს 16 კრედიტორი ქვეყანა ჰყავს

საქართველოს 16 კრედიტორი ქვეყანა ჰყავს, რომელთა მიმართ 2006 წლის 30 აპრილის მდგომარეობით საერთო ვალი 610 562 ათას დოლარს შეადგენს. მათგან 12 კრედიტორი ქვეყანაა, რომლებიც პარიზის კლუბის საგარეო ვალის რესტრუქტურიზაციის გადაწყვეტილებას ექვემდებარებიან. ავსტრია (91 972 ათასი დოლარი), აზერბაიჯანი (16 152 ათასი დოლარი), თურქმენეთი (65 665 ათასი დოლარი), თურქეთი (55 119 ათასი დოლარი), ირანი (12 068 ათასი დოლარი), რუსეთი (150 463 ათასი დოლარი), აშშ (41 601 ათასი დოლარი), სომხეთი (18 486 ათასი დოლარი), უზბეკეთი (396 ათასი დოლარი), უკრაინა (362 ათასი დოლარი), ყაზახეთი (27 774 ათასი დოლარი), ჩინეთი (3 მლნ 047 ათასი დოლარი). საქართველოს სახელმწიფო ვალი გერმანიის მიმართ შეადგენს 66 403 ათას დოლარს. სახელმწიფოთა გარდა საქართველოს კრედიტორები არიან საერთაშორისო ინსტიტუტები, რომელთა მიმართ ვალი მთლიანობაში შეადგენს 1 056 269 ათას დოლარს. საქართველოს კრედიტორია რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკი, რომელმაც კრედიტი გარანტიით გასცა - 30 168 დოლარი. საგარეო ვალის თანხა მითითებულია 2006 წლის 30 აპრილის გაცვლითი სავალუტო კურსების გათვალისწინებით. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საქართველოს მთავრობა შაჰ-დენიზის კონსორციუმთან მოლაპარაკებებს აწარმოებს

საქართველოს მთავრობა გაზის დამატებითი რესურსების გამოყოფასთან დაკავშირებით, "შაჰ-დენიზის" კონსორციუმის წევრებთან და თურქულ კომპანიებთან მოლაპარაკებებს აწარმოებს. "აზერბაიჯანსა და თურქეთთან დადებული ხელშეკრულებების თანახმად, საქართველო იმდენ გაზს მიიღებს, რაც ტრანზიტის საფასურის სახით არის გათვალისწინებული," - განუცხადეს სააგენტო "ტრენდს" საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციაში და აქვე აღნიშნეს, რომ საქართველოს მთავრობა არსებული კვოტის გაზრდის მიზნით აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს. საქართველოს მთავრობისათვის ძირითადი მიზანი გაზმომარაგების დივერსიფიკაციაა. ამჟამად საქართველოსათვის გაზის ძირითადი მომწოდებელი რუსეთია. საქართველო წელიწადში 2 მილიარდ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს მოიხმარს, თუმცა მისი ეკონომიკური ზრდის გამო მომავალ წელს გაზის მოხმარება 3 მილიარდ კუბურ მეტრს გადააჭარბებს, ხოლო 2007-2008 წლისათვის 6-8 მილიარდი კუბური მეტრი იქნება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## აფხაზეთზე სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის საკითხზე საპარლამენტო კომისია იმსჯელებს

აფხაზეთის ტერიტორიაზე სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის პრობლემის შესწავლის მიზნით, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი საპარლამენტო კომისია სამშაბათს შპს "საქართველოს რკინიგზის" ხელმძღვანელისგან, ირაკლი ეზუგბაიასგან მოისმენს ინფორმაციას აღნიშნული მიმართულებით მიმდინარე მოლაპარაკებების შესახებ. როგორც პრაიმ-ნიუს ბიზნესს კომისიიდან აცნობეს, აღნიშნული საკითხის განხილვა დაკავშირებულია 4 მაისს მოსკოვში გაფორმებულ შეთანხმებასთან, სადაც ქართულმა, აფხაზურმა, რუსულმა და სომხურმა მხარეებმა ხელი მოაწერეს ოქმს კონსორციუმის - "შავი ზღვის რკინიგზა" - შექმნის თაობაზე. კონსორციუმმა აფხაზეთის რკინიგზის რეაბილიტაცია უნდა განახორციელოს. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ზურაბ ნოღაიდელი ყაზახეთში მიემგზავრება

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი 1 ივნისს საქმიანი ვიზიტით ყაზახეთში მიემგზავრება. როგორც პრაიმ-ნიუს ბიზნესს პრემიერ-მინისტრის აპარატიდან აცნობეს, 2-დღიანი ვიზიტის ფარგლებში ნოღაიდელი მონაწილეობას მიიღებს საქართველო-ყაზახეთის სამთავრობათშორისი კომისიის სხდომაში და ასევე დაესწრება ბიზნესფორუმს. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

24 საათი C

© გაზეთი 24 საათი

# სპორტი

თქვენი რეკლამა "სპორტში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86

გამოცემის ოფიციალური პარტნიორი:

ატლანტი
უსაფრთხოების სამსახური

ალონსო - იქნებ უკვე ჩემპიონიც



C2

"სკუადრა აძურა" - ფავორიტი თუ განწირული?



C3

ბარბაროსები ღვინის ქვეყანაში



C4



სულ მალე დაიწყება წლის მთავარი სპორტული მოვლენა - მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

საზოგადოებრივი არხი და გადაცემა "არენა" ცხრიდან თოთხმეტი წლის ჩათვლით ასაკის ბავშვებს დიდ სპორტულ ვიქტორინაში მონაწილეობის მიღებას სთავაზობს, რომელიც ჩემპიონატამდე სამი კვირით ადრე, 15 მაისს დაიწყება.

ვიქტორინაში გამარჯვებული ბავშვები ფეხბურთის ბურთებით დასაჩუქრდებიან და ასევე გამოვლინდება კვირის საუკეთესო კომენტატორი.

გამარჯვებულებს შეარჩევს კომპეტენტური ჟიური, რომელიც სპორტული ჟურნალისტებითა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებით იქნება დაკომპლექტებული.

სამი გამარჯვებული ბავშვი მსოფლიო ჩემპიონატის შემაჯამებელ გადაცემაში მიიღებს მონაწილეობას. მათ აგრეთვე საჩუქრად გადაეცემათ დვდ-პლეიერები და საზოგადოებრივი არხის პროდუქცია დვდ-დისკებზე.

პირველ ადგილზე გასული ბავშვი დასაჩუქრდება ორკაციანი საგზურით ურეკში, სასტუმრო "კოლხიდაში."

მიიღეთ მონაწილეობა ვიქტორინაში!
უყურეთ ფეხბურთს!
უყურეთ პირველს!

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება: 21 33 67

სარეკლამო სამსახური: 21 33 54, 33 23 11

სპორტული რედაქცია: 33 17 15




# პარაგვაის წინააღმდეგ კობიაშვილის გარეშე



კლაუს ტოპმიოლერი: "პარაგვაის ნაკრების სტილი ჩაკეტილი თამაშია".

მიხეილ აბაიშვილი
დორნბირნიდან

დღეს საქართველოს ეროვნული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის დაწყების წინ ბოლო საკონტროლო მატჩს ჩაატარებს. მეტოქე სერიოზული და ანგარიშგასაწევია - პარაგვაი. სხვათა შორის, მსოფლიო ჩემპიონატის სტარტამდე პარაგვაი სწორედ საქართველოსთან ამთავრებს სპარინგ-მატჩების ციკლს.

ალბათ თავი შეგაწყინეთ ამინდზე საუბრით, მაგრამ კიდევ ერთხელ მომიწევს. გუშინ ღამით ავსტრიაში, არც მეტი, არც ნაკლები, მოთოვა. დღეს კი თავსხმა წვიმას სეტყვაც ერთვოდა. სწორედ სეტყვისა და წვიმის აკომპანემენტით ჩაატარა კლაუს ტოპმიოლერმა გუშინდელი ვარჯიში. თუ იმასაც ვიტყვი, რომ ტემპერატურა ნულზე ოდნავ მეტი იყო, მიხვდებით, თუ რა პირობებში უწევს მომზადება საქართველოს ნაკრებს.

ამის მიუხედავად, გუშინდელი ვარჯიში ინტენსიური იყო. ნახევარ მოედანზე ორმხრივი თამაში 11-11 - ეს გახლდათ გუშინდელი საწვრთნელი პროცესის მთავარი აკორდი. მოედნის სიმცირის გამო ძალზე მჭიდრო თამაში როგორც ერთი, ისე მეორე გუნდის მოქმედებაში უფრო ქაოსი იყო, ვიდრე წესრიგი. თუმცა ფეხბურთელებს მაინც გამოსდიოდათ ერთი შეხებით კარგი კომბინაციები და რამდენიმე ლამაზი გოლიც გავიდა. გამოვარჩევ კვირკველიას და კანკავას გოლებს, რომლებმაც ეგრეთ წოდებული "მაკრატელათი" დალაშქრეს კარი. როგორც შემდეგ გამოჩნდა, სავარჯიშოდ თამაშის ასეთ მჭიდრო მანერას თავისი ახსნა ჰქონდა.

"პარაგვაის ნაკრების სტილი ჩაკეტილი თამაშია. 90 წუთის განმავლობაში გუნდი თავს იცავს, მჭიდროდ და ხისტად თამაშობს, რის გამოც მათ კარში გოლის გატანა ყველას უჭირს. სწრაფ კონტრშეტევებს ახორციელებენ და არაერთი მაღალი კლასის გუნდი დაუსჯიათ. დღეს პარაგვაი სამხრეთ ამერიკის მესამე გუნდია ბრაზილიისა და არგენტინის შემდეგ. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ საკუთარ მოედანზე ხშირად ახერხებენ როგორც ბრაზილიელთა, ისე არგენტინელთა დამარცხებას. სწორედ ასეთ მეტოქესთან მოგვიწევს ხვალ გაჯიბრება", - ასე დაახასიათა კლაუს ტოპმიოლერმა პარაგვაის ეროვნული ნაკრები.

ტრავმების და ავადმყოფობის გამო პარაგვაელებთან მატჩში სერიოზული დანაკლისი გვექნება. ცქიტიშვილსა და გახოკიძეს დაემატნენ გიგიაძე, ხიზანეიშვილი და კობიაშვილი. გიგიაძეს და ხიზანეიშვილს მუხლის ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი, კობი კი გაცივდა და მაღალი სიცხე ჰქონდა. მას ანტიბიოტიკებით უმკურნალეს, მაგრამ გამოჯანმრთელება ვერ მოასწრო.

"სიცხე აღარა აქვს, მაგრამ ანტიბიოტიკებმა დაასუსტა და თამაშს ვერ შეძლებს", - მითხრა გუშინ ნაკრების ექიმმა დიმიტრი ზაალიშვილმა.

"მომქანცველი სეზონი მქონდა. სამოცდაათამდე მატჩი ვითამაშე. საშინლად გამოვიფიტე და გადავიღალე. ეს ავადმყოფობაც უფრო ამის მიზეზია. ძალას ვერც მუხლებში და ვერც ორგანიზმში ვერ ვგრძნობ. ერთი სული მაქვს, როდის მომეცემა დასვენების საშუალება", - მითხრა ლევან კობიაშვილმა.

პარაგვაის ნაკრებიც დიდ დანაკლისით, ლიდერის გარეშე ითამაშებს. როკე სანტა კრუზმა ჯერ ვერ მოიშუშა ტრავმა და მსოფლიო ჩემპიონატზე მისი თამაში დიდი კეითხვის ნიშნის ქვეშ დგას, დღეს კი გამორიცხულია.

აქვე გთავაზობთ საქართველოს ნაკრების სავარაუდო სასტარტო შემადგენლობას: რევიშვილი, სალუქვაძე, ხიზანიშვილი, კალაძე, კანდელაკი, კანკავა, მენთეშაშვილი, ასათიანი, ალადაშვილი, მარცვალაძე, არველაძე.

**ავსტრიიდან რეპორტაჟი განხორციელდა სამშენებლო კომპანია "ოლიმპიური ვარსკვლავის" მხარდაჭერით**

## 3000 ინგლისელი გერმანიაში არ შეუშვეს

გუშინ ძალაში შევიდა ბრიტანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს დადგენილება, რომლის თანახმადაც 3000 ინგლისელ ფანს გერმანიაში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გამგზავრება აეკრძალა. დადგენილების თანახმად, ყველა ის გულშემატკივარი, რომელიც ამ 3000 უილბლოს სიაში აღმოჩნდა, ვალდებულია პასპორტი ბრიტანელ სამართალდამცავებს ჩააბაროს და ინგლისის ნაკრების ყოველი მატჩის წინ დარეკოს პოლიციის განყოფილებაში, რათა სკოტლანდ იარდის წარმომადგენლებს თავისი ადგილსამყოფელი შეატყობინოს. ალბათ ხვდებით: საუბარია იმ გულშემატკვრებზე, რომლებიც ადრე ხულიგნობის გამო იყვნენ დაკავებული.

## კლოზემ ნაკრები დატოვა

ორშაბათს გერმანიის ნაკრების ფორვარდმა მიროსლავ კლოზემ დატოვა ბუნდესნაკრების საწვრთნელი ბაზა და ბრემენში გაემგზავრა. ფეხბურთელის აგენტის განცხადებით, ამის მიზეზი კლოზეს ოჯახური პრობლემებია. სავარაუდოდ, ის გუშინ საღამოს უნდა დაბრუნებულიყო ნაკრების ბაზაზე და მონაწილეობა მიეღო იაპონია - გერმანიის ამხანაგურ მატჩში.

## ირანის პრეზიდენტი არ დაპატიჟეს

მსოფლიო ჩემპიონატის ოფიციალური სტუმრების სიაში არ მოხვდა ირანის პრეზიდენტი მაჰმუდ ახმადინეჟადი.

"ამ ეტაპზე ირანის პრეზიდენტი ოფიციალურ სტუმართა რიცხვში არ არის. არც ირანის მხარეს დაუფიქსირებია საკუთარი სურვილი, რომ ქვეყნის პრეზიდენტი გერმანიაში ჩამოვიდეს", - აცხადებს მუნდიალის საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელი.

შეგახსენებთ, რომ გერმანელები ძალიან უფრთხიან ახმადინეჟადის ვიზიტს, რადგან მიაჩნიათ, რომ ამან შესაძლოა ტერორისტთა გააქტიურება გამოიწვიოს.

## ოუენი კვლავ დაშავდა

სამშაბათს ინგლისის ნაკრების ვარჯიშზე კუნთი დაეჭიმა მაიკლ ოუენს. ფეხბურთელს მაშინვე გადაუღეს რენტგენი. საბედნიეროდ, ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა. ალბათ მაიკლს პრობლემები არ შეექმნება და იგი ინგლისელთა პირველივე მატჩში შეძლებს თამაშს.

## აიმარი და ბარახა წყვილად იყიდებიან

"ვალენსიას" სპორტული დირექტორი ამადეო კარბონი აცხადებს, რომ გუნდი აპირებს პაბლო აიმარისა და რუბენ ბარახას გაყიდვას. "ღამურებს" ორივე ფეხბურთელის გაყიდვა სურთ, თუმცა გამორიცხული არაა, რომ მხოლოდ ერთს შეელიონ. საქმე ისაა, რომ "ვალენსიამ" ფერნანდო მორიენტესი იყიდა და კლუბი იმ სამნახევარი მილიონი გირვანქა სტერლინგის ამოღებას ცდილობს, რომელიც ფორვარდში გადაიხადა.

## შურისძიების სურვილი

ორშაბათს ბრაზილიის პრეზიდენტმა ლუიზ ინასიო ლულა და სილვამ განაცხადა, რომ მისი სურვილია ბრაზილიის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში საფრანგეთის ნაკრებს შეხვდეს და 1998 წელს განცდილი მარცხის გამო შური იძიოს.

"ყველა ამბობს, რომ ბრაზილია აუცილებლად ითამაშებს ფინალში. ამ აზრს მეც ვიზიარებ. ჩვენ მართლაც საუკეთესო ფეხბურთელები გვყავს. ჟაკ შირაკს ვუთხარი, მინდა, ფინალში საფრანგეთის ნაკრებს შევხვდეთ და 8 წლის წინანდელი მარცხის გამო შური ვიძიოთ-მეთქი", - ამბობს ბრაზილიის პრეზიდენტი.

## ვან ნისტელროი შევჩენკოს შეცვლის

სააგენტო ბი ბი სის ცნობით, "მანჩესტერ იუნაიტედის" ჰოლანდიელი ფორვარდი რუუდ ვან ნისტელროი მომავალ სეზონში უკვე "მილანის" ფეხბურთელი იქნება. "ვან ნისტელროი სწორედ ის ფეხბურთელია, რომლის ხილვაც ჩვენს გუნდში გვსურს. იგი ფორვარდთა იმ მცირერიცხოვან ჯგუფს განეკუთვნება, რომლებსაც შევჩენკოს შეცვლა შეუძლიათ", - აცხადებს მილანური კლუბის პრესატაშე.

სანამ "მილანი" ვან ნისტელროის შეიძენდეს, კლუბმა უკვე იყიდა ერთი ფორვარდი - საუბარია ფრანგული "რენის" თავდამსხმელ იოან გურკუფზე.

ვრცელდება ინფორმცია, რომ იტალიურ გრანდს სტივენ ჯერარდის შეძენაც უნდა. იტალიური მედიის ინფორმაციით, "მილანი" მზადაა "ლივერპულის" კაპიტანში 35 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადოს.

## ბექჰემი დიეტაზეა

დევიდ ბექჰემი მუნდიალისთვის განსაკუთრებულად ემზადება. თურმე ინგლისის ნაკრების კაპიტანი სირაქლემას ხორცის დიეტას იცავს. ამ ფრინველის ხორცში საოცრად ცოტაა ცხიმის შემცველობა, სამაგიეროდ ბევრია პროტეინი.

ინგლისის ნაკრების ექიმებს მიაჩნიათ, რომ ასეთი დიეტა 31 წლის ნახევარმცველს წაადგება.

იმედია, დევიდი სირაქლემას ხორცის ჭამით ამ ფრინველის ჩვევებს არ შეიძენს - თამაშის დროს არ დაიმალება და თუ საჭირო გახდა, პენალტსაც დაარტყამს. აქამდე დევიდს პასუხისმგებლობის არასდროს არ ეშინოდა და ხშირად აცილებდა პენალტებს.

## რონალდოს ნომერი აუქციონზე გაიყიდა

ბრაზილიის ნაკრები ამჟამად შვეიცარიაში ემზადება. ფეხბურთელები სასტუმროში დაბინავდნენ, ყველა ცალკე ნომერში. სასტუმროს მესვეურებმა ორიგინალური რამ მოიფიქრეს: გუშინ ჩატარდა ინტერნეტ-აუქციონი. მსურველებს შეეძლოთ დაეჯავშნათ რონალდოს, რონალდინიოსა და სხვათა ნომრები, რათა მას შემდეგ, რაც ბრაზილიის ნაკრები სასტუმროს დატოვებს, თავად იცხოვრონ ვარსკვლავის ნომერში. აუქციონზე ყველაზე ძვირად რონალდოს ნომერი გაიყიდა - ერთ-ერთმა გულშემატკივარმა ამ ნომერში ღამის გატარებაში 1000 შვეიცარიული ფრანკი გადაიხადა, რაც დაახლოებით 500 ევროს ტოლფასია. რონალდინიოს ნომერში კი მხოლოდ 850 ფრანკი გადაიხადეს.

რონალდოსთან დაკავშირებით კიდევ ერთ ინფორმაციას მოგაწვდით. ფეხბურთელის განცხადებით, იგი ამერიკის შერთებულ შტატებში აპირებს კარიერის დასრულებას.

"ამჟამად "რეალთან" მაკავშირებს კონტრაქტი. ჩემი ფიქრები კი მხოლოდ მომავალ მუნდიალს უკავშირდება. ისე კი, გეტყვით, რომ ამერიკაში სათამაშოდ აუცილებლად გადავალ", - თქვა ბრაზილიელმა ვარსკვლავმა.

# ჩინური კოშმარი

ტურინში მიმდინარე საჭადრაკო ოლიმპიადაზე 8 ტურის შემდეგ საქართველოს ორივე ნაკრებს კარგი მდგომარეობა ჰქონდა - ქალებიც და მამაკაცებიც სატურნირო ცხრილში მეხუთე ადგილზე იყვნენ. თუმცა ვითარება მეცხრე ტურმა შეცვალა: ჩინური კოშმარის შემდეგ მამაკაცებმა პოზიციები დათმეს, ქალებმა კი იოლად დაამარცხეს უნგრეთის ნაკრები და სატურნირო მდგომარეობაც გაიუმჯობესეს. დავიწყოთ მამაკაცებით. ჯობავამ, გაგუნაშვილმა და გელაშვილმა ფაქტობრივად უბრძოლველად დათმეს თავიანთი შეხვედრები. მხოლოდ მეორე დაფაზე შავი ფიგურებით მოთამაშე ყაჭეიშვილი გაუძალიანდა ჟანგ ჟონგს, თუმცა საბოლოოდ ისიც დამარცხდა.

მეცხრე ტურის წინ ჩვენი მამაკაცები სულ ცოტათი ჩამორჩებოდნენ მეოთხე ადგილზე მყოფ ჩინეთის ნაკრებს, ურთიერთდაპირისპირებაში განადგურება კი სატურნირო მდგომარეობაზე ცუდად აისახება.

ქალებმა წარმატებით ითამაშეს. მართალია, პირველ დაფაზე მოთამაშე ხურციძე სწრაფად დაუზავდა მეტოქეს, მაგრამ მდგომარეობა დარჩენილ ორ დაფაზე გამოსწორდა. ჯავახიშვილმა იდლიკოს მოუგო, ლომინეიშვილმა კი - ანიტას. ამრიგად, ქართველმა ქალებმა შეხვედრა 2.5:0.5 მოიგეს.

# რაფაელ ნადალი - ახალი რეკორდსმენი



რაფაელ ნადალი და გილიერმო ვილასი.

### 30 მაისი

**ვაჟები**

| | |
|---|---|
| ენდი მიურეი - გაელ მონფისი | 4:6,7:6,6:1,2:6,1:6 |
| პოლ-ანრი მეტიუ - ბიორნ პო | 6:4,6:2,6:1 |
| ენდი როდიკი - ალბერტო მარტინი | 4:6,5:7,0:1 (როდიკმა თამაში შეწყვიტა) |
| ტომი ჰაასი - რაინერ შუტლერი | 6:4,6:3,6:3 |
| ჟან-კრისტოფ ფორო - ოლივიე რუში | 1:6,4:6,2:6 |
| კაროლს ბერლოკი - ივან ლუბიჩიჩი | 2:6,0:6,3:6 |
| მარკოს ბაგდატისი - ალბერტ პორტასი | 6:4,6:4,6:7,6:1 |
| რობინ ვიკი - ფლორენ სერა | 1:6,6:1,5:7,4:6 |
| სერხიო როიტმანი - დომინიკ ჰრბატი | 4:6,2:6,6:3,6:2,3:6 |
| იანკო ტიპსარევიჩი - იულიენ ბენატო | 2:6,4:6,7:6,6:3 |
| ედგარდო მასა - დიკ ნორმანი | 1:6,3:6,3:6 |
| ფერნანდო ვერდასკო - ხუან იგნასიო ჩელა | 6:1,6:3,6:7,6:4 |
| კრისტოფ რუში - ტომას იოჰანსონი | 3:6,5:7,6:4,6:4,6:2 |
| ალბერტ მონტანე - რობი გინერპი | 6:3,6:7,6:1,6:4 |
| ოსკარ ერნანდესი - ჟილ სიმონი | 6:4,6:2,6:3 |
| ალექსანდრ ვასკე - ფერნანდო ვისენტე | 6:4,4:6,7:6,7:6 |
| დიტერ კინდელმანი - რაზვან საბაუ | 6:3,6:2,6:2 |
| დანიელ ბრაჩალი - დავიდ სანგვინეტი | 6:3,6:7,3:6,3:6 |
| ბუან მონაკო - მელე ვან გემერდენი | 6:3,6:2,6:4 |
| ნოვაკ ჯოკოვიჩი - ლუის ჰორნა | 6:3,5:0 (ჰორნამ თამაში შეწყვიტა) |
| მეტიუ მონკორტი - მარკოს დანიელი | 6:2,6:4,1:6,6:2 |
| ივო კარლოვიჩი - ოლივიე პატიენსე | 7:6,7:6,7:6 |
| ნიკლოას მაჰუტი - ირჟი ვანეკი | 3:6,6:7,7:6,6:7 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| ლიზა რეიმონდი - მარტინა ჰინგისი | 2:6,2:6 |
| ჟუსტინ ენინ არდენი - მარეტ ანი | 6:3,6:0 |
| სანია მირზა - ანასტასია მისკინა | 4:6,1:6 |
| ტატიანა გოლოვინი - იე ჟენგი | 3:6,6:7 |
| ანა ივანოვიჩი - სამანტა სტოსური | 6:0,6:3 |
| სევერინ ბრემონდი - მარია კირილენკო | 6,1,2:6,6:8 |
| ანა-ლენა გროენფელდი - კამილ პინი | 6:1,6:1 |
| აკიკო მარიგამი - ნადია პეტროვა | 6:2,6:2 |
| მედინა გარიგუესი - ვიქტორია აზარენკა | 0:6,6:3,9:7 |
| ჯულია შურფი - ზუზანა ონდრაშკოვა | 4:6,2:6 |
| კრისტინა ბრანდი - იულიანა ფედაკი | 2:6,3:6 |
| ჟილ გრიბასი - ანასტასია იაკიმოვა | 4:6,7:5,3:6 |
| შენი პერი - შინობუ ასაგოე | 6:3,6:1 |
| დანიელა ჰანტუჩოვა - ლოდრეს დომინგეშ ლინო | 6:1,6:4 |
| კლარისა ფერნანდესი - ემილი ლიოტი | 6:1,2:6,3:6 |
| მარია ელენა კამერინი - ემანუელა გალიარდი | 4:6,2:6 |
| კაია კანეპი - კვეტა პეშკე | 6:2,6:3 |
| ივანა ლისაკი - გალინა ვოსკობაევა | 6:2,6:3 |
| ჟი იანი - ჯემი ჯეკსონი | 2:6,3:6 |
| მარია სანჩეს ლორენცო - სვეტლანა პირონკოვა | 3:6,2:6 |
| მილანკა გჟნიკი - სანდრა კლოსელი | 6:4,4:6,6:2 |
| გისელა დულკო - იულია ბუგელზიმერი | 6:3,2:6,11:9 |
| ოლგა სავჩუკი - შაჰარ პეერი | 1:6,1:6 |

საფრანგეთის ღია პირველობის მეორე დღემაც მშვიდად ჩაიარა. ერთადერთ მცირე მოულოდნელობად გრეგ რუსეცკის მარცხი შეგვიძლია მივიჩნიოთ. თუმცა, ამთავითვე უნდა ვთქვათ, რომ რუსეცკი თიხის კორტებზე არასდროს ყოფილა ძლიერი და მისი დამარცხება დიდად ალოგიკური არ გახლდათ. თუ მოულოდნელობებზე საუბარს გავაგრძელებთ, ასევე უნდა აღინიშნოს ფინელი ირჟი ნიემინენის მარცხი, რომელიც ტურნირის დაწყების წინ რეიტინგში ათეულში იკავებდა ადგილს. ამდენად, პირველივე წრიდან მისი გამოთიშვა, ცოტა არ იყოს, უცნაურია. ფინელი რაიმონ შუტლერთან დამარცხდა. პირველი ორი სეტი შუტლერმა მოიგო, მესამეში კი ნიემინენმა ტრავმა მოიმიზეზა და თამაში შეწყვიტა.

რაც შეეხება ქალთა ტურნირის, აქ ყველაფერი ლოგიკურად წარიმართა. ფავორიტებმა უპრობლემოდ გაიმარჯვეს და აგრძელებენ ასპარეზობას.

ორშაბათის მთავარი მატჩი კი ნადალისა და სოდერლინგის დაპირისპირება გახლდათ. ესპანელი თინეიჯერის გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარებოდა და რაფაელმაც მოლოდინი გაამართლა - სამ სეტში სძლია მეტოქეს და როლან გაროს მეორე წრეში გავიდა. ამ შეხვედრაში მნიშვნელოვანი სხვა რამ გახლდათ. საქმე ისაა, რომ ნადალმა ზედიზედ 53-ე გამარჯვება მოიპოვა თიხის საფარზე, რაც ჩოგბურის ისტორიაში რეკორდული მაჩვენებელია. ამ გამარჯვებით რაფაელმა ლეგენდარული გილიერმო ვილასის რეკორდი გააუმჯობესა. მატჩის შემდეგ სწორედ ვილასს ესაუბრა როლან გაროს ოფიციალური ვებგვერდის ჟურნალისტი.

**- როგორ გრძნობთ თავს მას შემდეგ, რაც რაფაელ ნადალმა თქვენი რეკორდი მოხსნა?**

- მე მხოლოდ ერთი რეკორდი არ მეკუთვნის. თიხის კორტებზე დამყარებული რეკორდი რაფაელმა მართლაც მოხსნა, თუმცა მე 46 მატჩი მაქვს ზედიზედ მოგებული ყველა სახის საფარზე. ამ რეკორდს ჯერ ვერავინ ემუქრება. ნადალი კი ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდაა და ძალიან გამიხარდა მისი წარმატება.

**- როგორ ფიქრობთ, რეკორდის დამყარება ახლა უფრო იოლია, თუ მაშინ, როდესაც თქვენ თამაშობდით?**

- რთული კითხვაა. მაგალითად, მე რეკორდი ერთ სეზონში დავამყარე, რაფაელს კი მის მოსახსნელად ორი სეზონი დასჭირდა. ეს იმის ნიშანია, რომ მე უფრო მეტს ვთამაშობდი. არც კი ვიცი, როგორ გიპასუხოთ. ასეთი რეკორდების დამყარება ნებისმიერ დროს რთულია.

**- ნადალთან თუ მოასწარით საუბარი?**

- რა თქმა უნდა. თამაშის შემდეგვე დავურეკე. ვერ მიცნო, მეკითხებოდა, ვინ ხარ და რა გინდაო. ცოტა ნერვიულობდა კიდეც. მერე ვუთხარი, ვინც ვიყავი და წარმატებაც მთელი გულით მივულოცე.

# ალონსო - იქნებ უკვე ჩემპიონიც

*ფორმულა 1-ის ნებისმიერ მრბოლს სურს "მონაკოს დიდი პრიზის" მოგება. ბუნებრივიცაა. გამარჯვება მონაკოს ტრასაზე, რომლის დიდი ნაწილი პორტის სანაპიროზეა გაჭიმული და რომელსაც ხშირად ავტოსპორტული კალენდრის მარგალიტსაც ეძახიან, მრბოლისთვის, შეიძლება ითქვას, ყველაზე ისტორიული და კოლორიტულიცაა. "მონაკოს დიდ პრიზზე" რაიმეს წინასწარმეტყველება, უფრო სწორად, იმის გამოცნობა, თუ ვინ მიაღწევს წარმატებას, ფაქტობრივად შეუძლებელია. მაგალითად, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მონაკოში ხუთმა პილოტმა გაიმარჯვა. აქ კარიერის პირველ წარმატებას მიაღწია "რენოს" ესპანელმა მრბოლმა და მსოფლიო ჩემპიონმა ფერნანდო ალონსომ.*

ამ გამარჯვებამ ალონსოს მეორე ადგილზე მყოფ მიხაელ შუმახერთან 21-ქულიანი უპირატესობა მისცა. რბოლის შემდეგ ჟურნალისტები ალონსოს გაესაუბრნენ:

**- ემოციურად დატვირთული სარბოლო უიკ-ენდი გამოგივიდა. მთავარი რბოლის დღეს პოულით გაიღვიძე, მერე კი კარიერაში პირველად მოიგე მონაკოს ტრასაზე. მიუხედავად ამისა, "მიშლენისთვის" ეს დღეები მძიმე გამოდგა...**

- სწორედ ამიტომ მინდოდა ჩემი გამარჯვება ედუარდ მიშლენის ხსოვნისთვის მიმეძღვნა (საბურავების ცნობილი მწარმოებელი კომპანიის თანახელმძღვანელი პარასკევს კუნძულ სენას სიახლოვეს დაიხრჩო). ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში კომპანია "მიშლენმა" უდიდესი სამუშაო გასწია. მონაკოში გამარჯვება სწორედ ფრანგული საბურავების დამსახურებაა. კვარცხლბეკზე ასული სამივე მრბოლის (ალონსო, ხუან პაბლო მონტოია "მაკლარენ-მერსედესიდან" და დევიდ კულჰარდი "რედ ბულიდან") ბოლიდი "მიშლენის" საბურავებზე დგას. ასე რომ, ეს მათი გამარჯვებაა.

რაც შეეხება რბოლას, ის ისეთივე გამოდგა, როგორიც სხვა რბოლები - ძალზე ემოციური. პოულის მოპოვებამ კი საქმე გამიადვილა. მოგეხსენებათ, მონაკოში ძნელია მეტოქეს გაუსწრო. მონაკოში 78 წრე სრულ კონცენტრაციას მოითხოვს. ერთი სიტყვით, ეს გამარჯვება "მიშლენის" დამსახურებაა.

**- მონაკოში გამარჯვება კონკურენტების გზიდან ჩამოშორებაში დაგეხმარა. იქნებ უკვე ჩემპიონიც ხარ?**

- ჯერ ადრეა ამაზე ფიქრი. ტიტულისთვის საბრძოლველად თითოეულ რბოლას აქვს მნიშვნელობა. მიხაელ შუმახერის მეხუთე პოზიციამ ჩემი უპირატესობა 21 ქულამდე გაზარდა. ასე რომ, მართლაც კარგი უპირატესობა მოვიპოვე. იმედი მაქვს, მომავალ რბოლებში ჩვენს შორის ზღვარი კიდევ გაიზრდება, რაც ჩემპიონატის დასკვნით სტადიაზე ცხოვრებას გაგვიადვილებს.

**- მონაკოში პოულის აღება და შემდგომ გამარჯვება კარგ შედეგად ითვლება. მეთანხმებით?**

- რა თქმა უნდა. აქ პირველი ადგილის დაკავება საოცრებაა. თუმცა, არა მგონია, ბარსელონას ტრიუმფის შემდეგ აქ უფრო დიდი განცდა დამეუფლოს. შინაურ ტრასაზე გამარჯვებას ვერაფერი შეედრება. მაგრამ უდავოა, "მონაკოს დიდი პრიზი" ძალიან პრესტიჟულია. მონაკოში 2003 წელს შეგვეძლო წარმატების მოპოვება, მაგრამ ბოლიდები არასაკმარისად სწრაფები გვყავდა. 2004-ში გვირაბში ტრულის შევეჯახე. შარშან კი სწრაფი მანქანა გვყავდა, მაგრამ საბურავების შერჩევისას დავუშვით შეცდომა. ახლა, როგორც იქნა, მოვიგე.

**- ფინიშისკენ მიმავალმა ტემპი დააგდე. ჩათვალე, რომ გამარჯვებას ვერავინ შეგეცილებოდა?**

- უბრალოდ, დიდი უპირატესობა მქონდა მოპოვებული. სიჩქარეც იმიტომ დავაგდე, რომ გარისკვა აღარ ღირდა.

**- "მაკლარენი" ისეთი სწრაფი აღარ არის, როგორიც შარშან, წლის ბოლოს იყო. ხომ არ ნანობთ მათთან გაფორმებულ ხელშეკრულებას?**

- უმჯობესი იქნება, თუ მოვლენებს არ გავუსწრებთ. ახლა ჩემთვის უმთავრესია შარშანდელი გრაფიკი შევინარჩუნო, რომელმაც ჩემპიონობა მომიტანა. წლეულს შვიდჯერ ავედი კვარცხლბეკზე. თუ სტაბილურობას შევინარჩუნებ, ისევ მექნება ჩემპიონობის შანსი. რაც შეეხება მომავალ სეზონს, ამაზე ადრეა ფიქრი. ახალ გუნდში ყველაფერი ახლებურად იქნება.

**- "სილვერსტოუნზე" (მსოფლიო ჩემპიონატის მერვე ეტაპი) საკუთარ შანსებს როგორ შეაფასებდი?**

- შანსები ძალზე მაღალია. შარშან კონკურენტუნარიანები ვიყავით. "რენოს" ზამთრის ტესტებზეც კარგი შედეგები ჰქონდა. ასე რომ...



## ინფოთეკა

### აილტონი "ჰამბურგს" დატოვებს

გერმანული "ჰამბურგის" ბრაზილიელი ფორვარდი აილტონი, რომელიც "ბეშიქთაშს" იჯარის წესით ჰყავს გაშვებული, მომდევნო სეზონში ბუნდესლიგის გუნდში აღარ იასპარეზებს.

ფრანგული პრესის ცნობით, "ჰამბურგმა" უარი განაცხადა 1,75 მლნ. ევრო გადაეხადა ფეხბურთელში, რომელმაც გუნდში ჩატარებულ 13 მატჩში მხოლოდ 3 გოლი გაიტანა.

### ნესტა ნერვიულობს

გერმანიის მსოფლიო ჩემპიონატი იტალიის ნაკრებისა და "მილანის" მცველისთვის ალესანდრო ნესტასთვის კარიერაში მესამე იქნება. თუმცა, ფეხბურთელის თქმით, ყველაზე დიდი იმედგაცრუება ევრო 2000-ზე შეხვდა, როცა "სკუადრა აძურას" რამდენიმე წამი აშორებდა ევროპის ჩემპიონობას. გამარჯვება კი ფრანგებს დარჩათ.

წლევანდელი მუნდიალის წინ "მილანის" მცველი ყველაზე მეტად იმაზე წუხს, რომ შესაძლოა ეს მის კარიერაში უკანასკნელი ჩემპიონატი გამოდგეს.

"ეს ალბათ ჩემი ბოლო მსოფლიო ჩემპიონატი იქნება. ამიტომ იმედი მაქვს, ყველაფერი ჩემთვის კარგად დასრულდება, ნაკრებს კი ტურნირის ბოლომდე ეყოფა ძალა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია როგორც ჩემთვის, ისე გუნდისთვის", - განაცხადა ალესანდრო ნესტამ.

### იაპონიამ "ადიდასთან" დადო ხელშეკრულება

იაპონიის საფეხბურთო ასოციაციამ საქვეყნოდ ცნობილ სპორტულ ფირმა "ადიდასთან" გრძელვადიანი სპონსორობის კონტრაქტი გააფორმა. ხელშეკრულების თანახმად, რომელიც 8 წელი იქნება ძალაში, იაპონელები 140 მილიონ დოლარს მიიღებენ. კონტრაქტი 2007 წლის აპრილიდან შევა ძალაში და 2015 წლის მარტამდე გასტანს.

"ეს გაცილებით მეტია, ვიდრე ის, რაც შვიდი წლის განმავლობაში ჩვენი წინა პარტნიორებისგან მივიღეთ. განხორციელებული ინვესტიცია საშუალებას მოგვცემს ახალი პროექტები განვახორციელოთ და ფული ბავშვთა ფეხბურთში დავაბანდოთ", - განაცხადა იაპონიის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტმა საბურო კავაბუჩიმ.

### "რეალს" იბრაჰიმოვიჩი და ძამბროტა უნდა

"სამეფო გუნდის" სატრანსფერო მამების განცხადებით, კლუბის ინტერესებში ტურინის "იუვენტუსის" ორი ფეხბურთელის - ზლატან იბრაჰიმოვიჩისა და ჯანლუკა ძამბროტას შეძენა შედის.

დაახლოებით ორი თვის შემდეგ საბოლოოდ გაცხადდება - დააქვეითებენ თუ არა "იუვენტუსს" სერია ბ-ში, ან უფრო უარესი - სერია ც-ში.

"იბრაჰიმოვიჩი ის ფეხბურთელია, რომლის თავისთან ხილვა "რეალს" ყოველთვის სურდა, ძამბროტა კი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მცველია. თუ "იუვენტუსი" დათანხმდება მათ გაყიდვას, ჩვენ ამ შანსს ხელიდან არ გავუშვებთ", - განაცხადა ერნესტო ბრონცეტიმ.

### "ჩარლტონს" დაუი უთავკაცებს

ინგლისური "კრისტალ პალასის" ყოფილი თავკაცი იან დაუი პრემიერლიგის კლუბ "ჩარლტონში" ალან კერბიშლის შემცვლელად დაინიშნა.

თუმცა, დაუის ყოფილი კლუბის ხელმძღვანელმა საიმოდ ჯორდანმა ახალგაზრდა სპეციალისტს სასამართლოში უჩივლა. შეგახსენებთ, რომ იანმა "კრისტალ პალასი" იმ მარტივი მიზეზის გამო დატოვა, რომ უნდოდა ოჯახთან ერთად მეტი დრო გაეტარებინა. თუმცა, ერთ თვეში დაუი "ჩარლტონს" ჩაუდგა სათავეში. სწორედ მის ამ გადაწყვეტილებას მოჰყვა ჯორდანის გაბრაზება.

### ბაროში საფრანგეთში არ მიდის

ჩეხეთის ნაკრებისა და ინგლისური "ასტონ ვილას" თავდამსხმელმა მილან ბაროშმა გავრცელებულ ხმებს საფრანგეთში მისი გადაბარგების თაობაზე საბოლოოდ დაუსვა წერტილი.

"არც "მონაკოში" გადავდივარ და, მით უმეტეს, არც "პარი სენ-ჟერმენში". ბრიტანული პრესა რატომღაც ხშირად წერს ამის თაობაზე. მინდა ხმამაღლა განვაცხადო, რომ ახლა მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონატზე ვარ ორიენტირებული და მეტზე არაფერზე. რაც მთავარია, საფრანგეთიდან არავინ შემხმიანებია. ასე რომ, ინგლისში ვრჩები", - განაცხადა ჩეხმა ფორვარდმა.

# "სკუადრა აძურა" - ფავორიტი თუ განწირული?

მარი ჯავახიშვილი

დრო გადის, მაგრამ აპენინებზე "მოჯის საქმედ" მონათლული სკანდალი მაინც არ ცხრება. პირიქით, იტალიელი გამომძიებლები დღითიდღე ცინცხალ დეტალებს აქვეყნებენ. ამას გარდა, პროკურატურის წარმომადგენლები ტურინის "იუვენტუსის" ექვმიტანილ ფეხბურთელებს ყოველდღიურად სტუმრობენ: ზლატან იბრაჰიმოვიჩსა და ფაბიო კანავაროს ორიოდე დღის წინ სახლში მიაკითხეს და ფეხბურთელთა საცხოვრებელი ძირისძირობამდე გაჩხრიკეს. სამართალდამცავებმა "სკუადრა აძურას" მთავარი მწვრთნელი მარჩელო ლიპი დაკითხვაზე თითქმის ოთხი საათი აყურყუტეს... და ეს ყველაფერი მაშინ, როცა მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ათი დღეღა რჩება.

ასევე დაკითხვის მიზნით პროკურატურაში წასვლა მოუხდა ტურინის "იუვენტუსის" კარის დარაჯს ჯანლუიჯი ბუფონსაც. თემიდას იტალიელმა მსახურებმა "ბებერი ქალბატონის" გოლკიპერს ტოტალიზატორში თამაშის გამო მოსდეს შარი და ჯიჯის ჯერ კიდევ "პარმაში" ბურთაობისდროინდელი ფაქტები ამოუქექეს. ბუფონთან ერთად საქმეში ფიგურირებენ ისეთი ცნობილი ფეხბურთელები, როგორებიც არიან მარკ იულიანო და ენცო მარესკა. ბრალდების მიუხედავად, იტალიელი მეკარე ყველაფერს უარყოფს. ამბობს, რომ ფსონებს ისინი უცხო ქვეყნის ჩემპიონატის მატჩებზე დებდნენ, მით უმეტეს, რომ კანონი ამას არ უკრძალავთ.

მართალია, ქვეყნის ნომერ პირველი მეკარე გისოსებს მიღმა არ აღმოჩენილა, მაგრამ, როგორც იტყვიან, ვაის გაეყარა და ვუის შეეყარა - ნაკრების ბაზაზე მისულს ტიფოზებმა ნამდვილი ობსტრუქცია მოუწყვეს. იტალიელი გულშემატკივრები პირდაპირ აცხადებენ - კალჩოში გახმაურებული კორუფციული სკანდალის გამო ნამდვილი შოკი განვიცადეთ და ფეხბურთი ალბათ უწინდებურად ველარ დაიპყრობს ჩვენს გულებსო. ბევრი იმასაც ამბობს, მუნდიალზე ჩვენი ნაკრები ჯგუფიდანაც ვერ გავაო.

ტიფოზთა გულისტკივილს გამოეხმაურა მსოფლიო ჩემპიონატის ორგკომიტეტის თავმჯდომარე, ლეგენდარული ფრანც ბეკენბაუერი, რომელმაც "სკუადრა აძურა" ფავორიტთა მიღმა დატოვა:

"თქმა არ უნდა, რომ საბოლოო ჯამში ეს სკანდალი უარყოფითად იმოქმედებს იტალიის ნაკრების ფეხბურთელთა ფსიქოლოგიაზე. მათ თამაშზე ის ზეწოლაც იმოქმედებს, რომლის ქვეშაც ახლა არიან. ერთი სიტყვით, ამით იტალიელთა სამუნდიალე შანსები საგრძნობლად შემცირდა".


ზლატან იბრაგიმოვიჩს პოლიციამ სახლი გაუჩხრიკა.

რაც შეეხება საფეხბურთო კორუფციას, კაიზერმა ფრანცმა აქაც გამოხატა თავისი მოსაზრება: "ეს არის ყველაზე საშინელი ფაქტი, რაც შეიძლება ფეხბურთში მოხდეს. გასულ წელს, როდესაც გერმანიაში მსაჯებთან დაკავშირებული ხმაური ატყდა, მეგონა, ასეთი რამ მარტო ჩემს ქვეყანაში ხდება. თურმე ვცდებოდი. როცა ფეხბურთში მსგავსი ამბები ხდება, ეს ნებისმიერი ქვეყნის ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებს მოედანზეც ეტყობათ".

გერმანელს საკადრისი პასუხი გასცა იტალიური ფეხბურთის ცოცხალმა ლეგენდამ ლუიჯი რივამ: "ბეკენბაუერს ყოველთვის დიდ პატივს ვცემდი, როგორც მოთამაშეს და როგორც პიროვნებას. თუმცა, მისი სიტყვები ბავშვურ ბოდვას მაგონებს. კაიზერი კარგად არ იცნობს გუნდის შიგნით არსებულ სიტუაციას. ამიტომ ჩვენი შესაძლებლობების განხილვა მისი მხრიდან სხვა არაფერია, თუ არა უაზრო გამოხდომა. ჩვენ უდიდეს მორალურ პასუხისმგებლობას ვგრძნობთ თითოეული გულშემატკივრის მიმართ, ამიტომ ყველაფერს გავაკეთებთ მათი მოლოდინის გასამართლებლად".

თანამემამულეს არც "სკუადრა აძურას" ნაკრების თავკაცი მარჩელო ლიპი ჩამორჩა, რომელსაც ბოლომდე სჯერა თავისი შეგირდების და ვარჯიშებზე მათი მზადების დონითაც კმაყოფილებას გამოხატავს: "დარწმუნებული ვარ, იტალიურ ფეხბურთში არსებული ამ რთული პერიოდის მიუხედავად, ყველანაირ დაბრკოლებას გადავლახავთ და მუნდიალზე ღირსეულად დავიცავთ ჩვენს ქვეყანას".

ტენდენციურობაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ პირდად მე კაიზერ ფრანცის სიტყვებში უფრო მეტ ჭეშმარიტებას ვხედავ, ვიდრე იტალიური ფეხბურთის მამების თავის მართლებაში, რომლებიც, ვფიქრობ, თავიანთი ოპტიმისტური განწყობით იმ ნერვული ფონის შენიღბვას ცდილობენ, ბოლო დროს რომ გამეფდა იტალიურ ფეხბურთში. ყველაფრის გათვალისწინებით, ძნელია ნორმალური უწოდო იმ მდგომარეობას, როცა ეროვნული ნაკრების ესა თუ ის ფეხბურთელი შესაძლოა ნებისმიერ მომენტში აღმოჩნდეს პროკურატურაში. ჩანს, ტიფოზებს შორისაც გაქრა ის ერთსულოვნება, რომელზეც ლუიჯი რივა ამბობდა. მით უმეტეს, იტალიელი გულშემატკივრები უკვე აღარ მალავენ, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე თავიანთი ქვეყნის ნაკრებს არ უქომაგებენ.

# აარონ ლენონს ფეხბურთის გარდა არაფერი სიამოვნებს

2003 წელს, როდესაც თავისი ამჟამინდელი კლუბის "ტოტენჰემ ჰოთსფურზის" წინააღმდეგ "ლიდს იუნაიტედის" მაისურით ითამაშა, 16 წლისა და 129 დღის იყო. მაშინ პრემიერლიგის ისტორიაში აარონ ლენონი სწორედ ამ "მიზეზით" მოხვდა.

2004-05 წლების სეზონში კი, როცა მთელი წლის განმავლობაში სწრაფი ფლანგური გარღვევებითა და ბრწყინვალე თამაშით გამოირჩა, სეზონის ბოლოს პრემიერლიგის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელის წოდება მოიხვეჭა.

იმავე ზაფხულს თინეიჯერი ფეხბურთელი "ტოტენჰემ ჰოთსფურზმა" გადაიბირა, თუმცა ძირითადში გამოჩენას იქამდე ვერ ახერხებდა, სანამ გუნდის წამყვანი მოთამაშე უეინ როთლიჯი არ დაშავდა. "დეზების" თავკაცმა დაშავებული ფეხბურთელის შემცვლელად უმალ აარონ ლენონი მოიაზრა. შემტევმა ნახევარმცველმაც შანსი ხელიდან არ გაუშვა და ისეთ დონეზე ათამაშდა, ერთი წლის შემდეგ ინგლისის პირველი გუნდის დამრიგებლმა სვენ გორან ერიქსონმა მსოფლიო ჩემპიონატის განაცხადში შეიყვანა.

რამდენად მიეცემა "ჰოთსფურზის" ნახევარმცველს გერმანიაში თამაშის შანსი, ეს მომავლის საქმეა. მით უმეტეს, თუ რამდენიმე დღის წინ შვედი სპეციალისტის ნათქვამს გავითვალისწინებთ - თუ რაიმე დაუგეგმავი არ მოხდა, ლენონი და ნაკრების კიდევ ერთი ახალწვეული, არსენალელი თეო უოლკოტი, შესაძლოა, სულაც სკამზე დარჩნენო.

მიუხედავად ამისა, აარონ ლენონი იმედიანად უყურებს მომავალს და თავდაუზოგავად ვარჯიშობს ნაკრებთან ერთად.

**- რა შეიცვალა მას შემდეგ, რაც ქვეყნის პირველ გუნდში მიგიწვიეს?**

- ის, რომ ნაკრებში "ჰოთსფურზის" რამდენიმე ფეხბურთელის გვერდით მიწევს ვარჯიში, ბევრ რამეში მეხმარება. თუნდაც, თავის უკეთ დამკვიდრებაში. ისე, ნაკრების ვარჯიში დიდად არ განსხვავდება "ტოტენჰემის" ვარჯიშებისგან, სადაც ასევე დიდი დატვირთვა გვაქვს. მიუხედავად იმისა, რომ უდიდეს ტურნირზე მოგველის თამაში, გუნდში არსებული პოზიტიური განწყობა ბიჭებს მოდუნების საშუალებას გვაძლევს.


აარონ ლენონი: "მწვრთნელმა თამაშის შანსი მომცა."

**- შეიძლება ითქვას, რომ, ასაკის მიუხედავად, უკვე წარმატებული ფეხბურთელი ხარ. ძნელი იყო აქამდე მოსვლა?**

- გასულ ზაფხულს, როცა "ტოტენჰემში" გადმოვედი, პირველი რამდენიმე კვირა მუდმივად სკამზე მიწევდა ჯდომა. მერე, როცა უეინ რუთლიჯმა ტრავმა მიიღო, მწვრთნელმა თამაშის შანსი მომცა, რომლსაც დიდხანს ველოდი და ჩემს სასარგებლოდ გამოვიყენე. ის უფრო ძნელი წარმოსადგენი იყო, რასაც აქამდე მივაღწიე. ეს ალბათ ჩემი თავდაუზოგავი შრომის შედეგია.

**- იფიქრებდი, რომ მსოფლიო ჩემპიონატის განაცხადში მოხვდებოდი?**

- სეზონის დასაწყისში ჩემი მიზანი "ტოტენჰემის" ძირითადში მოხვედრა იყო, რასაც, მადლობა ღმერთს, მივაღწიე და, ჩემი თამაშის ხარჯზე, საკამოდ წარმატებულადაც გამომივიდა. ქვეყნის პირველ გუნდში თამაში ჩემს გეგმებში ჯერ ნამდვილად არ შედიოდა. როცა 21 წლამდელთა ნაკრებში ვთამაშობდი, ჩვენს მატჩებს სვენ გორან ერიქსონიც ესწრებოდა ხოლმე. ბიჭები ვხუმრობდით, თავი მოვაწონოთ, რა იცი, რა ხდებაო. მაგრამ როცა ერიქსონმა გამომიძახა, ვერ ვიჯერებდი. მაშინაც კი, როცა ჩემი გვარი განაცხადში საკუთარი თვალით ვნახე.

**- როდის შეიტყვე ეს სასიხარულო ამბავი?**

- როცა მაიკლმა (გუნდის ადმინისტრატორი) დამირეკა და მითხრა: "გილოცავ, ბიჭუნავ, შენ ნაკრებში ითამაშებ". ყურმილი ისე დავკიდე, ბოლომდე ვერ გავიაზრე, რა მითხრეს. რამდენიმე წუთი დამჭირდა იმის გადასახარშად, რაც მოხდა.

**- მანამდე ჭორისთვის მაინც არ მოგიკრავს ყური, რომ ერიქსონს ესიმპათიურებოდი?**

- სეზონის განმავლობაში ერიქსონი ხშირად ესწრებოდა "ტოტენჰემის" თამაშებს. მწვრთნელი გვეუბნებოდა ხოლმე: სვენი ტრიბუნებზე ზის, აბა, თქვენ იცითო. მაგრამ სტადიონზე მის ყოფნას ყურადღებას არ ვაქცევდი - მე ჩემი სიამოვნებისთვის ვთამაშობდი. როცა თამაშის დროს სხვა რამეზე ფიქრობ, კარგ ფეხბურთს ვერ აჩვენებ.

**- გამოცდილი ფეხბურთელივით ლაპარაკობ...**

- ჩემს ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ჩემს ძმას, რომელიც თავის დროზე "მანჩესტერ იუნაიტედისა" და "ლიდსის" ღირსებას იცავდა. მახსოვს, ბავშვობაში მუდამ ერთსა და იმავეს მიმეორებდა: ისიამოვნე ფეხბურთით და მეტზე ნურაფერზე იფიქრებო.

**- მოედანზე რომელი მცველი გიქმნის ყველაზე ბევრ პრობლემას?**

- არსენალელი გაელ კლიშე. წლეულს, როცა "მეთოფეებს" შინ ვხვდებოდით, ისეთ ტემპში თამაშობდა, მოედანზე ლამის ჩავხოცეთ ერთმანეთი.

**- ნაკრებში 19 ნომრიანი მაისურა გერგო. ამ ნომრით იტალია 90-ზე გაზა (პოლ გესქოინი) თამაშობდა...**

- სიმართლე გითხრათ, მაისურის ნომერს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. გაზა დიდი ფეხბურთელი იყო, რომელსაც მე კი არა, ბევრი ვერ შეედრება.

**- სვენ გორან-ერიქსონი შენ და თეო უოლკოტს სწრაფ ფეხბურთელებად გახასიათებთ. შენი აზრით, ვინ უფრო ჩქარია - შენ თუ თეო?**

- მე და თეო ჯერ სირბილში არ შევჯიბრებივართ ერთმანეთს, მაგრამ, ჩემი აზრით, დიდად არ განვსხვავდებით.

### 12 მილიონი პრემიალური

საუდის არაბეთის ნაკრებმა მეხუთემ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური. ამჟამად გუნდი ტურნირისთვის ემზადება და ოთხშაბათს უკანასკნელ ამხანაგურ მატჩს გამართავს თურქეთის ნაკრებთან.

საუდის არაბეთის მეფემ კი ფეხბურთელების მომზადებისა და მათთვის პრემიალური თანხის დარიგებისთვის 12 მილიონი დოლარი გამოყო. თუმცა არავის დაუკონკრეტებია, რა შემთხვევაში მიიღებენ არაბი ფეხბურთელები პრემიალურებს. უცხოური სააგენტოების ცნობით, პრემიალური თანხა მხოლოდ მუნდიალზე წარმატებული თამაშის შემთხვევაში დარიგდება. რა ითვლება საუდის არაბეთის ნაკრებისთვის მსოფლიო ჩემპიონატზე წარმატებულ თამაშად, არავის უთქვამს.

### გვიდოლინი "პალერმოში" დაბრუნდა

სიცილიური "პალერმოს" ხელმძღვანელებმა გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტზე 50 წლის ფრანჩესკო გვიდოლინი დააბრუნეს. ეს სპეციალისტი გუნდში გასულ წელსაც მუშაობდა, თუმცა შუა სეზონში ფრანგულ "მონაკოში" გადაბარგდა. ფრანგულ კლუბში გვიდოლინის კარიერა არ აეწყო და მან მშობლიურ "პალერმოში" დაბრუნება გადაწყვიტა.

### სავიოლა "ბარსელონაში" ბრუნდება

არგენტინის ნაკრების ფეხბურთელი ხავიერ სავიოლა არ აპირებს "სევილიასთან" კონტრაქტის გაფორმებას. შეგახსენებთ, რომ სავიოლა გასულ სეზონში სევილიურ კლუბში იჯარით იმყოფებოდა, მოქმედი კონტრაქტი კი მას "ბარსელონასთან" აკავშირებს. აღსანიშნავია, რომ არც "სევილიას" ხელმძღვანელობას სურს სავიოლას დატოვება. სევილიელთა მწვრთნელი ხუანდე რამოსი არგენტინელს ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად ვერ მოიაზრებს.

რაც შეეხება "ბარსელონას", სავიოლას სამსახური არც ამ გუნდს სჭირდება. სავარაუდოა, რომ "ბარსა" ხავიერს სატრანსფერო მიზნებით გამოიყენებს. არგენტინელის შეძენის სურვილი უკვე გამოთქვა "ვილიარეალმა", "ბარსელონას" კი "ვილიარელში" მოთამაშე დიეგო ფორლანის გადაბირება სურს. კატალონიელები ალბათ გაცვლიან და "მყვინთავებს" ფულსაც დაუმატებენ.

### ფრანგებს ტრიუმფი ელით

საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველმა პატრიკ ვიეირამ განაცხადა, რომ მის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოგება შეუძლია. "ბრაზილიელებისგან განსხვავებით, ჩვენ ფავორიტები არ ვართ. თუმცა საკმაოდ ძლიერი გუნდი გვყავს. დარწმუნებული ვარ, მსოფლიო ჩემპიონატზე ბოლომდე დავრჩებით. საფრანგეთის ნაკრებს გერმანიაში ტრიუმფი ელის", - აცხადებს ვიეირა.

### "პარმა" მწვრთნელის გარეშე დარჩა

სულ ცოტა ხნის წინ იტალიური "პარმა" დატოვა მთავარმა მწვრთნელმა მარიო ბარეტამ, რომელმაც განვლილ სეზონში პარმეზანულ კლუბს ელიტურ დივიზიონში შეუნარჩუნა ადგილი. ამჟამად "პარმას" მესვეურები ახალ მწვრთნელს ეძებენ. ჯერჯერობით გუნდს ორი ვარიანტი აქვს - სტეფანო პიოლი ან რობერტო დონადონი.

### საპრეზიდენტო დაპირებები

თავის დროზე ფლორენტინო პერესმა მადრიდის "რეალის" საპრეზიდენტო არჩევნები იმის წყალობით მოიგო, რომ გულშემატკივრებს შეჰპირდა, ჩემი არჩევის შემთხვევაში აუცილებლად ვიყიდი ლუიშ ფიგუსო. როგორც ჩანს, პერესს მისი შესაძლო მემკვიდრეებიც ბაძავენ.

პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი ხუან მიგელ ვილარ მირი ამტკიცებს, რომ მისი არჩევის შემთხვევაში სამეფო კლუბის მთავარი მწვრთნელის პოსტს ფრანგი არსენ ვენგერი დაიკავებს. ვილარ მირის თქმით, ის უკვე მართავს მოლაპარაკებას ვენგერთან და ფრანგის თანხმობაც მიიღო.

პრეზიდენტობის კიდევ ერთი კანდიდატი რამონ კალდერონი კი გულშემატკივარს მწვრთნელად ფაბიო კაპელოს დანიშვნას ჰპირდება.

### ტომაზი "რომას" დატოვებს

"რომაში" გატარებული ათი სეზონის შემდეგ დამიანო ტომაზი გუნდის დატოვებას აპირებს. ფეხბურთელის აგენტი და კლუბის ხელმძღვანელი ახალი კონტრაქტის პირობებზე ვერაფრით ვერ შეთანხმდნენ. ტომაზის გადაბირება რამდენიმე ესპანურ კლუბს სურს. ფეხბურთელი ალბათ სწორედ ესპანეთში გააგრძელებს კარიერას.

### კრესპოს დაბრუნება უნდა

არგენტინის ნაკრებისა და "ჩელსის" ფორვარდმა ერნან კრესპომ განაცხადა, რომ "მილანი" მასთან მოლაპარაკებას არ მართავს. "მილანთან" კონკრეტული მოლაპარაკება არ არსებობს. სამწუხაროდ, შევჩენკოს ტრანსფერის შემდეგ ჩემი საკითხი საერთოდ მოიხსნა. იტალიაში დაბრუნება კი ძალიან მინდა. ანდრეი ოჯახური მდგომარეობის გამო გადმოვიდა "ჩელსიში". მეც უნდა ვიფიქრო ოჯახზე. ჩემებს იტალიაში უნდათ დაბრუნება", - აცხადებს კრესპო.

### მანიშე და კოშტინია "სპორტინგში"

პორტუგალიის ნაკრების ფეხბურთელები მანიშე და კოშტინია ლისაბონის "სპორტინგში" აპირებენ კარიერის გაგრძელებას. შეგახსენებთ, რომ მას შემდეგ, რაც "პორტომ" ჩემპიონთა ლიგა მოიგო, ორივე ფეხბურთელი მოსკოვის "დინამოში" აღმოჩნდა, თუმცა ვერც ერთი ვერ შეეწყო რუსულ გუნდს. მანიშემ გასულ სეზონში "დინამოდან" "ჩელსიში" გადაინაცვლა, მაგრამ ვერც იქ დაიმკვიდრა ადგილი. ახლა კი ორივე ფეხბურთელი თავისი ყოფილი გუნდის მთავარ კონკურენტ "სპორტინგში" გეგმავს გადასვლას.

### თუ არა "ჩელსი", მაშინ "ბარსელონა"

ინგლისის ნაკრებისა და "ჩელსის" ლიდერმა ფრენკ ლამპარდმა განაცხადა, რომ "ჩელსის" შემდეგ მისთვის ყველაზე მისაღები კლუბი "ბარსელონაა". აღსანიშნავია, რომ კატალონიური კლუბი დაინტერესებულია ლამპარდის შეძენით, თუმცა ფეხბურთელი მაინც ლონდონურ კლუბში დარჩება.

"ჩელსიმ" ახალი კონტრაქტი შემომთავაზა, რაც იმის ნიშანია, რომ გუნდს ჩემი სჯერა. "ბარსელონაში" თამაში კი ჩემი ოცნებაა. ფანტასტიკური გუნდია. "ჩელსი" რომ არა, აუცილებლად გადავიდოდი "ბარსელონაში", - აცხადებს ფეხბურთელი.

## ბულგრილი გერმანელები

სამშაბათს ერთ-ერთ ჰამბურგულ გაზეთში გამოქვეყნდა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები და გაირკვა: გერმანიის მოსახლეობის მეოთხედი მსოფლიო ჩემპიონატის მიმართ სრულიად გულგრილი ყოფილა. მსოფლიო ჩემპიონატი პირველ რიგში ქალებს არ აინტერესებთ. გამოკითხული ქალების 34 პროცენტი აცხადებს, რომ მომავალი მუნდიალის მიმართ აბსოლუტურად გულგრილია. ანალოგიური პასუხი გასცა მამაკაცთა 21 პროცენტმა, რაც აშკარად საკვირველია.

## დიეგომ ბრემენი აირჩია

ბრემენის "ვერდერმა" გააფორმა კონტრაქტი "პორტოს" 21 წლის ბრაზილიელ ნახევარმცველ დიეგოსთან. "მუსიკოსებმა" ნიჭიერ ბრაზილიელ გამთამაშებელში 6 მილიონი ევრო გადაიხადეს. "ვერდერის" ხელმძღვანელთა აზრით, დიეგომ გუნდიდან წასული ფრანგი პლეიმეიკერი იონ მიკუ უნდა შეცვალოს.

## კიკე ფლორესი "ღამურების" ერთგულია

"ვალენსიას" მთავარმა მწვრთნელმა კიკე ფლორესმა თანხმობა განაცხადა კიდევ ორი წლით გაეგრძელებინა კონტრაქტი "ღამურებთან". შეგახსენებთ, რომ 41 წლის სპეციალისტმა "ვალენსია" გასულ სეზონში ჩაიბარა და გუნდს ესპანეთის ჩემპიონატში მესამე ადგილი დააკავებინა "ბარსელონასა" და "რეალის" შემდეგ.

## მუტუ "იუვეს" არ უღალატებს

"იუვენტუსის" რუმინელმა ფორვარდმა ადრიან მუტუმ განაცხადა, რომ იტალიაში აგორებული სკანდალის მიუხედავად, არავითარ შემთხვევაში არ დატოვებს "იუვენტუსს". "თუ გუნდის ახალმა ხელმძღვანელობამ ჩემი დატოვება ისურვა, კლუბს არავითარ შემთხვევაში არ დავტოვებ. არაფრის მეშინია, რადგან მჯერა, რომ გუნდს კარგი მომავალი აქვს", - ამბობს რუმინელი.

## ნესკენსი რაიკაარდს დაეხმარება

ჰოლანდიელი სპეციალისტი იოჰან ნესკენსი მომავალ სეზონში "ბარსელონაში" იმუშავებს და ფრანკ რაიკაარდს დაეხმარება. ესპანური მედიის ინფორმაციით, ნესკენსი დაიკავებს რაიკაარდის ყოფილი თანაშემწის ჰენკ ტენ კატეს ადგილს, რომელიც, თავის მხრივ, მომავალ სეზონში ამსტერდამის "აიაქსის" მთავარი მწვრთნელი იქნება. ამჟამად ნესკენსი ავსტრალიის ნაკრების სამწვრთნელო შტაბის წევრია.

## პეტკოვიჩმა შვილს შანსი მისცა

როგორც იცით, სერბეთის ნაკრების ფორვარდმა მირკო ვუჩინიჩმა ტრავმა მიიღო და მსოფლიო ჩემპიონატზე ვერ ითამაშებს. მის ნაცვლად ნაკრებში ილია პეტკოვიჩმა თავისი ვაჟი მცველი დუშან პეტკოვიჩი წაიყვანა. დუშანი უკვე 32 წლისაა და მუნდიალზე მოხვედრა მისთვის დიდი წარმატებაა.

## კალუ "არისტოკრატია"

ლონდონის "ჩელსიმ" მიაღწია შეთანხმებას 20 წლის ფორვარდ სოლომონ კალუსთან. ფეხბურთელმა გუშინ სამედიცინო შემოწმება გაიარა და ლონდონური კლუბის ოფიციალური წევრი გახდა. გასულ სეზონში კალუ ჰოლანდიური "ფეიენოორდის" ღირსებას იცავდა.

## ძაკერონი ინგლისში?

იტალიელი სპეციალისტი ალბერტო ძაკერონი შესაძლოა ერთ-ერთი ინგლისური კლუბის მწვრთნელად დაინიშნოს.

"დიდი სიამოვნებით ვიმუშავებდი ინგლისში. მაქვს რამდენიმე შემოთავაზება, თუმცა კლუბების დაკონკრეტებას არ დავიწყებ. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ეს პრემიერლიგის კლუბებია", - აცხადებს "მილანის" ყოფილი მწვრთნელი.

## იაკინტა "რომაზე" ოცნებობს

"უდინეზესა" და იტალიის ნაკრების ფორვარდი ვინჩენცო იაკინტა აცხადებს, რომ დიდი სიამოვნებით ითამაშებდა "რომაში". "რომაში" თამაში ბრწყინვალე იქნებოდა. თუ ამ კლუბში გადავედი, ეს ჩემს კარიერაში წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება. თანაც, სპალეტისთან მუშაობა ძალიან მომწონს. მას "უდინეზედანაც" კარგად ვიცნობ. სამი წელი ერთად ვიმუშავეთ და ყოველთვის ვუგებდით ერთმანეთს", - აცხადებს იაკინტა.

## დროგბა და გალასი

უკვე ცნობილია, რომ ანდრეი შევჩენკო "ჩელსიში" გადავა, მაგრამ ჯერაც არ გარკვეულა, რამდენს გადაიხდის ლონდონური კლუბი უკრაინელ სუპერვარსკვლავში. თავიდან ამბობდნენ, რომ "ჩელსი" იტალიურ გრანდს 40 მილიონ გირვანქა სტერლინგს გადაუხდის და ხურდაში უილიამ გალასსაც გაუშვებს, თუმცა ბოლო დღეებში ვითარება შეიცვალა: იტალიური კლუბი გალასთან ერთად დიდიე დროგბასაც ითხოვს. ცხადია, ამ შემთხვევაში თანხა საგრძნობლად შემცირდება, მაგრამ საქმე ისაა, რომ "არიტსოკრატებს" შავკანიანი ფორვარდის გაშვება არ სურთ.

## რებროვი ინგლისში ბრუნდება

კიევის "დინამოსა" და უკრაინის ნაკრების ფორვარდი სერგეი რებროვი შესაძლოა ისევ ინგლისში დაბრუნდეს. ფეხბურთელის შეძენის სურვილი ლონდონურმა "ვესტ ჰემმა" გამოთქვა. შეგახსენებთ, რომ რებროვი თავის დროზე თამაშობდა პრემიერლიგაში, მაგრამ ნისლიან ალბიონზე ფეხი ვერ მოიკიდა და მშობლიურ "დინამოში" დარუნდა.

## ვალდესმა "დორტმუნდი" არჩია

ბრემენის "ვერდერის" ფორვარდი ნელსონ ვალდესი მომავალ სეზონში დორტმუნდის "ბორუსიას" ღირსებას დაიცავს. "მუსიკოსებმა" ფეხბურთელი 4,7 მილიონ ევროდ გაყიდეს.

"კმაყოფილი ვარ, რომ "ვერდერთან" შეთანხმებას მივაღწიეთ. ვალდესი სწორედ ის ფეხბურთელია, რომელიც ახლა გვჭირდება", - აცხადებს დორტმუნდული გუნდის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ჰანს იოაკიმ ვატზკე.

## ბუფონის ფავორიტი ინგლისია

იტალიის ნაკრების მეკარე ჯანლუიჯი ბუფონი ინგლისის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად მიიჩნევს. "ინგლისის ნაკრებს ყველაზე ძლიერი ნახევარდაცვა ჰყავს ევროპელთა შორის. შესაძლოა მთელ მსოფლიოშიც კი. ლამპარდი და ჯერარდი ბრწყინვალე ფეხბურთელები არიან, ორივე უნივერსალია. გუნდში ერთ-ერთი მათგანიც რომ გყავდეს, ბედნიერი უნდა იყო, ხოლო როცა ორივე გყავს, ვალდებული ხარ, მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიგო", - აცხადებს იტალიელთა მეკარე.

# ბარბაროსები ღვინის ქვეყანაში

**საუკუნის მატჩი**

მსოფლიოს
უპირველესი წვეული
გუნდი ქართველი
ბორჯღალოსნების
წინააღმდეგ

**საქართველო**
**ბარბაროსები**

*მიხეილ მესხის*
*სახელობის სტადიონი*

*4 ივნისი, 2006 წ.*

*დასაწყისი 18:00 სთ-ზე*

*ბილეთის ფასი:*



ბარბაროსთა სარაგბო კლუბი 1890 წელს შეიქმნა. მას შემდეგ ამ გუნდს 700-ზე მეტი თამაში აქვს გამართული. თავიდან ბარბაროსები მატჩებს მართავდნენ ძირითადად ბრიტანულ კლუბებთან, ხოლო 1948 წელს შედგა მათი ინტერნაციონალური დებიუტი, როდესაც თვიქნემზე, ლონდონში, უმასპინძლეს ავსტრალიის ნაკრებს. მატჩი დასრულდა ბარბაროსების გამარჯვებით. ერთ-ერთი ლელოს ავტორი იყო სერ მიკი სტილ-ბოჯერი, რომელიც ამჟამად ბარბაროსთა კლუბის პრეზიდენტია. ბარბაროსები ტურნეებისთვის საგანგებოდ იკრიბებიან და ყოველწლიურად თამაშობენ 6-8 მატჩს.

ბარბაროსთა კლუბში მოხვედრა ნებისმიერი დონის მორაგბისთვის უდიდესი, საკუთარი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში მოხვედრაზე არანაკლები პატივია; შეიძლება ითქვას, რომ მასზე მეტიცაა. ბარბაროსთა კლუბში მოსახვედრად არ კმარა მხოლოდ სარაგბო ვარსკვლავობა - ბარბაროსი უნდა იყოს ჯენტლმენი და სარაგბო ფასეულობების ერთგული დამცველი (მაგალითად, ბარბაროსთა ნაკრები რომ არსებობდეს ფეხბურთში, იქ ფრანჩესკო ტოტის ან რივალდოს მსგავს მოთამაშეს არ დაუძახებდნენ).

ბარბაროსთა სტუმრობა უდიდესი პატივია არა მარტო ქართული რაგბისთვის, არამედ მთელი ქართული სპორტისთვის. ფაქტობრივად მსოფლიოს ნაკრებ გუნდს თავისი არსებობის 116 წლის მანძილზე მხოლოდ 17 ქვეყანაში აქვს ნათამაშები.

ბარბაროსების თამაშის სტილი და, საერთოდ, ბარბაროსთა კლუბის არსი კარგად არის გამოხატული მათსავე ტრადიციულ სადღეგრძელოში: "გაუმარჯოს ბარბაროსებს, რომლებმაც შემოიღეს შეტევის იდეა, ლაღი და თავისუფალი თამაში მოედანზე და მისთვის დამახასიათებელი მეგობრობა მოედნის მიღმა". ბარბაროსთა თამაშის სტილი მართლაც თავისებურია - ისინი არ არიან ორიენტირებული ქულების დაგროვებაზე, ხელდახელ ბურთაობენ, კარში ჯარიმის დარტყმასაც კი უკადრისობენ.



ბარბაროსთა და უმაღლესი დონის ნაკრებების შეხვედრებს ათიათასობით მაყურებელი ესწრება და, როგორც წესი, მატჩების შემოსავალი ქველმოქმედებას ხმარდება.

თავის დროზე ბარბაროსებში უთამაშიათ ისეთ ვარსკვლავებს, როგორებიც არიან **გარეთ ედვარდსი, ფილ ბენეტი, ენტონი ო'რაილი, ძმები ქუინელები, უინტერბოთომი, ჯონა ლომუ, კარლოს სპენსერი, ჯასტინ მარშალი, სკრელა, რივი,** და სხვანი.

ერთი სიტყვით, ბარბაროსების თამაში დიდი სარაგბო შოუა, გამოხატულებაა იმ სარაგბო ღირებულებებისა, რომლებსაც უნდა იცავდეს მორაგბეც და მისი ქომაგიც. გულშემატკივარი კი, როგორც მოგეხსენებათ, რაგბის განსაკუთრებული და სპორტის ყველა სახეობის გულშემატკივრისგან გამორჩეული ჰყავს. ბარბაროსთა მატჩის საყურებლად სტადიონზე მისული ქომაგი დღესასწაულის უმთავრესი მონაწილეა და, როგორც რაგბის ჭეშმარიტ გულშემატკივარს შეჰფერის, თანაბარ პატივს მიაგებს მოედანზე მობურთალ მეტოქეებს.

ბარბაროსები წლევანდელ საზაფხულო ტურნეს საქართველოში სტუმრობით ამთავრებენ. წელს მათ გამართეს რამდენიმე მატჩი ბრიტანულ კლუბებთან, საქართველოში ჩამოსვლამდე ერთი კვირით ადრე კი ინგლისისა და შოტლანდიის ნაკრებებს დასდეს პატივი.

საქართველო-ბარბაროსების მატჩი გაიმართება მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე 4 ივნისს (დასაწყისი 18:00 სთ-ზე; ბილეთის ფასი - 3-10 ლარი). გუნდების შემადგენლობები შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს რაგბის კავშირის ოფიციალურ ვებსაიტზე (www.rugby.ge). მატჩი გადაიცემა ტელეკომპანია "მზის" პირდაპირ ეთერში.

გთავაზობთ საქართველოს ნაკრების სავარჯიშო განრიგს და ბარბაროსების საქართველოში სტუმრობის პროგრამას.

**საქართველოს ნაკრების სავარჯიშო განრიგი**

**31 მაისი, 2006 წ.**
11:00 სთ "შევარდენის" სტადიონი
18:00 სთ "შევარდენის" სტადიონი

**1 ივნისი, 2006 წ.**
11:00 სთ "შევარდენის" სტადიონი
18:00 სთ "შევარდენის" სტადიონი

**2 ივნისი, 2006 წ.**
11:00 სთ "შევარდენის" სტადიონი
18:00 სთ "შევარდენის" სტადიონი

**3 ივნისი, 2006 წ.**
11:00 სთ "ლოკომოტივის" სტადიონი (?)
18:00 სთ "შევარდენის" სტადიონი (?)

# "მაიამი" თითქმის ფინალშია

აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალური სერია შესაძლოა საკმაოდ მალე დასრულდეს. მეოთხე შეხვედრაში "მაიამიმ" დამაჯერებლად სძლია "დეტროიტს" 89:78 და სერიაში 3:1 დაწინაურდა.

დაცვაში ბრწყინვალე თამაშით ცნობილმა "დეტროიტმა" კვლავაც ვერაფერი გააწყო დუეინ ვეიდის წინააღმდეგ. თუ მან ასე გააგრძელა, შესაძლოა პლეი-ოფების MWP-ს ტიტული არავის დაუთმოს. ერთი რამ კი უკვე ცხადია: სწორედ ვეიდის ბრწყინვალე თამაშის წყალობით შეძლო "მაიამიმ" სერიის მეოთხე მატჩის მოგება.

დუეინმა 31 ქულა დააგროვა, 6-ჯერ მოხსნა ფარიდან ბურთი, 5 შედეგიანი გადაცემა გააკეთა, ორჯერ ჩაჭრა მეტოქის შეტევა და ამას ორი ბლოკშოტიც დაუმატა. ვეიდს შაკილმაც აუბამ მხარი და "დეტროიტი" ფაქტობრივად უშანსოდ დარჩა. "შაკმა" 21 ქულასთან ერთად 9 მოხსნა გააკეთა. რაც მთავარია, ამჯერად მაიამელთა ცენტრი კარგად ისროდა საჯარიმოებს - 12 ტყორცნიდან მხოლოდ ოთხი ააცილა, რაც შაკილისთვის უდავოდ მშვენიერი შედეგია.



*ვეიდი კვლავაც შეუჩერებელი იყო.*

რაც შეეხება "დეტროიტს", ამ გუნდში გამოირჩეოდა ჩონსი ბილუპსი, რომელმაც 17 ქულა და 7 შედეგიანი გადაცემა გააკეთა. მთლიანობაში "დეტორროიტის" კალათბურთელებმა უსუსურად ითამაშეს. "მაიამიმ" პირველივე მეოთხედში მოიპოვა უპირატესობა, შემდეგ კი თამაშის სადავეები ხელიდან აღარ გაუშვია. დეტროიტელებმა მესამე მეოთხედში სცადეს გაბრძოლება, თითქოს მიზანსაც მიაღწიეს, მაგრამ მეოთხე მეოთხედში კვლავ ათამაშდა ვეიდი და ყველაფერი თავის ადგილზე დადგა.

## ინფოთეკა

### გადაიხადეთ, ბატონებო!

საფრანგეთის ღია პირველობის ორგანიზატორებმა წლეულს როლან გაროს ტურნირი კვირას დაიწყეს და მისი ხანგრძლივობა ერთი დღით გაზარდეს. ამ სიახლემ გულშემატკივარი გაახარა, ბოლოს და ბოლოს, მათი სიამოვნება ერთი დღის გაგრძელდა, თუმცა, იგივეს ვერ ვიტყვით ჩოგბურთელებზე. საქმე ისაა, რომ შესაძლოა ფრანგების მაგალითი სხვებმაც აიღონ და დიდი სლემის ყველა ტურნირი 15-დღიანი გახდეს.

ამის თაობაზე უკმაყოფილება გამოთქვა პროფესიონალ ჩოგბურთელთა პროფკავშირის თავმჯდომარემ ჯასტინ გიმელსტობმა: "არ მესმის, რატომ ართმევენ ჩოგბურთელებს დასვენების ერთ დღეს. ცხადია, ტურნირის ვადების გაზრდა ორგანიზატორებს გარკვეულ ფინანსურ მოგებას მოუტანს. კი ბატონო, თუ უნდათ, ყველა ტურნირი 15-დღიანი გახადონ, მაგრამ მაშინ ჩოგბურთელებსაც მეტი უნდა გადაუხადონ და დიდი სლემის ტურნირების საპრიზო ფონდი გაიზარდოს".

ასეთივე პოზიცია გამოხატა რუსმა ჩოგბურთელმა მარია შარაპოვამაც, რომელმაც მკაცრად გააკრიტიკა როლან გაროს ორგანიზატორები.

### ახლა უკვე "ლაციო"

მილანის პროკურატურამ გახსნა ახალი საქმე, რომელიც ფეხბურთს უკავშირდება. სააგენტო როიტერის ცნობით, მილანელ გამომძიებლებს მიაჩნიათ, რომ საფეხბურთო კლუბ "ლაციოს" აქციები კანონის დარღვევით გაიყიდა. საგადასახადო პოლიციამ უკვე დაიწყო გამოძიება, "ლაციოს" მესვეურები კი კომენტარისგან თავს იკავებენ.

### ლემერის ახალი მიღწევა

ტუნისის ნაკრების მთავარი მწვრთნელი, 64 წლის ფრანგი სპეციალისტი როჟე ლემერი მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე კვირით ადრე მამა გახდა. პარასკევს ლემერმა დატოვა ტუნისის ნაკრების საწვრთნელი ბაზა, რომელიც შვეიცარიაში მდებარეობს და ტუნისში დაბრუნდა, სადაც მისი მეუღლე მშობიარობდა. შაბათს კი ბედნიერი მამა უკვე ნაკრებთან ერთად იყო და ბედნიერი სახით არიგებდა კომენტარებს: "ჩემპიონატის დაწყებამდე კიდევ დიდი დროა, თუმცა გუნდი უკვე სრულ მზადყოფნაშია. დარწმუნებული ვარ, გერმანიაში წარმატებას მივაღწევთ".

### ფარული კამერა

ფეხბურთის გულშემატკივრები, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებს ქალაქის მოედნებზე დამონტაჟებულ დიდ ეკრანებზე ადევნებენ თვალყურს, თავად გახდებიან თვალთვალის ობიექტები. გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოთხოვნით, იმ ადგილებში, სადაც გულშემატკივართა თავყრილობებია მოსალოდნელი, დამონტაჟდება ტელეკამერები, რათა ყველაფერი ჩაიწერონ, ხოლო თუ შემდეგ რაიმე გაუგებრობა მოხდა, ვიდეოფირის საშუალებით გამოავლინონ დამნაშავეები.

### რუნი გერმანიაში ნაკრებთან ერთად ჩავა

ინგლისის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, შვედმა სვენ-გორან ერიქსონმა დაადასტურა, რომ გუნდის ტრავმირებული თავდამსხმელი უეინ რუნი გერმანიაში ნაკრებთან ერთად გაემგზავრება.

გერმანიაში რუნი მუდმივად ნაკრების მთავარი ექიმის ლეიფ სვარდის მეთვალყურეობის ქვეშ იქნება. საბოლოო შემოწმებას "მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდი მანჩესტერში გაივლის, სადაც სპეციალურად ჩაფრინდება გერმანიიდან. საბოლოოდ სწორედ მანჩესტერული გამოკვლევის მერე გაირკვევა, შეძლებს თუ არა რუნი მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშს.

### პერესმა კანდიდატურა მოხსნა

მადრიდის "რეალის" ექსპრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა საკუთარი კანდიდატურა მოხსნა კლუბის პრეზიდენტის არჩევნებიდან, რომელიც 2 ივლისს გაიმართება. "არჩევნებში მონაწილეობაზე რამდენიმე მიზეზის გამო ვთქვი უარი. პირველ რიგში, ეს გუნდის საკეთილდღეოდ გავაკეთე, რადგან თუ ჩემს კანდიდატურას დავტოვებდი, აუცილებლად გავიმარჯვებდი, "რეალს" კი ცვლილებები ესაჭიროება", - განაცხადა პერესმა. რაც შეეხება პრეზიდენტობის კიდევ ერთ კანდიდატს რამონ კალდერონს, მისი თქმით, თუ 2 ივლისის არჩევნებში გაიმარჯვებს, კლუბში მთავარი მწვრთნელის პოსტზე ფაბიო კაპელოს მოიყვანს.

"თუ 2-ში პრეზიდენტობას ვიზეიმებ, 3-ში კაპელოს ჩამოგიყვანთ", - ჰპირდება ესპანელ გულშემატკივარს კალდერონი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს ტენდერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამა "იაკობ გოგებაშვილი - საქართველოს საჯარო სკოლების რებილიტაციის" პროგრამის დაფინანსების ფარგლებში საქართველოს საჯარო სკოლების აშენების მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.**

**შესყიდვის ობიექტი** - საქართველოს 14 საჯარო სკოლის სამშენებლო სამუშაოების ჩატარება.

**დაფინანსების წყარო** - ცენტრალური ბიუჯეტი, პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამა "იაკობ გოგებაშვილი - საქართველოს საჯარო სკოლების რეაბილიტაცია".

| ლოტი | რაიონი | სკოლის დასახელება | სამუშაოს დასრულების და ჩაბარების ვადა |
|---|---|---|---|
| I | ჩოხატაური | სოფელ ზემოხეთის საჯარო სკოლა | 3.5 თვე |
| II | თიანეთი | სოფელ ბოჭორმის საჯარო სკოლა | 3.5 თვე |
| III | დუშეთი | სოფელ გუდრუხის საჯარო სკოლა | 3.5 თვე |
| IV | დუშეთი | სოფელ საშაბუროს საჯარო სკოლა | 3.5 თვე |
| V | ახალგორი | სოფელ ახმაჯის საჯარო სკოლა | 3.5 თვე |
| VI | ახალგორი | სოფელ საძეგურის საჯარო სკოლა | 3.5 თვე |
| VII | ახალქალაქი | სოფელ ოკამის საჯარო სკოლა | 5 თვე |
| VIII | ადიგენი | სოფელ კახარეთის საჯარო სკოლა | 5 თვე |
| IX | ახალციხე | სოფელ ხეოთის საჯარო სკოლა | 5 თვე |
| X | გორი | სოფელ ქვემო სობისის საჯარო სკოლა | 7 თვე |
| XI | გორი | ერედვის თემის სოფ. ჭარების საჯარო სკოლა | 3.5 თვე |
| XII | ყვარელი | სოფელ ჩანთლისყურის საჯარო სკოლა | 7 თვე |
| XIII | კასპი | სოფელ მიქელწყაროს საჯარო სკოლა | 7 თვე |
| XIV | კასპი | სოფელ ქვემო ხანდაკის საჯარო სკოლა | 3.5 თვე |

- **სამუშაოს შესრულების ადგილი** - საქართველოს საჯარო სკოლები.

**პირობები:**

- სამუშაო შესრულებული უნდა იქნეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გადაცემული პროექტის.

- სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას გამოყენებული იქნება მშენებლის პასუხისმგებლობის დაზღვევა, დეტალური ინფორმაცია ასახული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში.

- სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია. გარანტიის პირობების შესახებ დეტალური ინფორმაცია ასახული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში.

**შენიშვნა:**

- შესაძლებელია გარკვეული სამშენებლო მასალა მიწოდებულ იქნას დამკვეთის მიერ, დეტალური ინფორმაცია ასახული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში;

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ **ქართულ** ენაზე სამ ეგზემპლარად (ერთი დედანი, ორი ასლი), **2006 წლის 19 ივნისის 14.00 საათამდე** შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. .N52 ოთახი N222 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატი.**

წარმოდგენილი პაკეტების გახსნა მოხდება 2006 წლის 19 ივნისს სატენდერო დოკუმენტაციის მიღების დამთავრებისთანავე, ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52 II სართულზე სააქტო დარბაზში.

დაგვიანებით შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს, სატენდერო წინადადებას და სხვა დოკუმენტაციას სატენდერო კომისია არ განიხილავს.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის**:

ა) ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა **(ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);**

ბ) ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის **(ცნობა შსს);**

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

დ) ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია **(ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);**

ე) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე **(ცნობა სასამართლოდან);**

**ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (**ცნობა შსს).**

**როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელების სახელსა და გვარს;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ;

გ) ინფორმაცია თანამშრომელთა კვალიფიკაციის შესახებ;

დ) ინფორმაცია მანქანა-დანადგარების შესახებ.

ე) ბოლო სამი წლის საწარმოს ბალანსი (**საგადასახადო ინსპექციის მიერ დამოწმებული**).

ვ) ინფორმაცია შესრულებულ სამუშაოთა შესახებ ცხრილის მიხედვით (აღნიშნული ცხრილი დაინტერესებულ პირს შეუძლია მიიღოს ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52 II სართული, ოთახი N222).

- იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას და მოხდება მისი დისკვალიფიკაცია, თუ იგი, ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოთ მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

- დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო დოკუმენტაციის მიღებამდე უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ ანგარიშზე:

**მიმღები** - ერთიანი ანგარიში
**მომსახურე ბანკი** - საქართველოს ეროვნული ბანკი
**ბანკის კოდი** - 220101107
**საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი** - 302003000
**ა/ა** N 200122900
**დამატებითი ინფორმაცია:** საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო.
**ორგანიზაციული კოდი:** 2211.
**ტენდერის დასახელება:** საქართველოს 14 საჯარო სკოლის სამშენებლო სამუშაოების ჩატარება.

- ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

- სატენდერო დოკუმენტაციის გატანა და დამატებითი ინფორმაციის მიღება დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან შემდეგ მისამართზე:

დ. ბარაბაძე, ნ. ბოჭორიშვილი, მ. ბუზალაძე, მ. ფალიაშვილი, ქ. თბილისი, დ.უზნაძის ქ.N52 ტ. 95-65-91, ოთახი N222 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატი.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა), აცხადებს ტენდერს ქვემოთ ჩამოთვლილი ლოტებად დაყოფილი საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთების სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს:

ლოტი-1: ლისის ტბა-ლისი-წოდორეთი-ბევრეთის ს/გზის კმ1-კმ8(0.25) მონაკვეთის მიმდინარე შეკეთების სამუშაოები;

ლოტი-2: ლისი-მუხაწყარო-მსხალდიდი-ნაჭშირგორა-წყლულეთის ს/გზის კმ1-კმ7 მონაკვეთის მიმდინარე შეკეთების სამუშაოები;

ლოტი-3: შულავერი-შაუმიანი-სიონი-წერაქვის ს/გზის კმ1-კმ22 მონაკვეთის მიმდინარე შეკეთების სამუშაოები;

ლოტი-4: ხობი-საჯიჯაო-ლესიჭინეს ს/გზის კმ1-კმ25 მონაკვეთის მიმდინარე შეკეთების სამუშაოები;

ლოტი-5: ზუგდიდი-ჯიხაშკარი-ჩხოროწყუს ს/გზის კმ1-კმ28 მონაკვეთის მიმდინარე შეკეთების სამუშაოები;

**2.** სამუშაოების შესრულების ვადა - მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

**3.** დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო დოკუმენტაციების მიღება (ქართულ ენაზე) შეეძლებათ 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ (რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ანგარიშის N200122900, მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 302003000), 2006 წლის 8 ივნისიდან, მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.

დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის შეძენა შეუძლიათ, როგორც ერთ, ასევე ხუთივე ლოტზე. **საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" თანახმად გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება ლოტების მიხედვით.**

**4.** დაინტერესებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დახურული კონვერტებით 2006 წლის 20 ივნისის 9.00 საათიდან 18.00 საათამდე და 2006 წლის 21 ივნისის 9.00 საათიდან 12.00 საათამდე, ორ ეგზემპლიარად (ერთი დედანი და ერთი ასლი) შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, საერთო განყოფილება.

მიიღება მხოლოდ იურიდიული სტატუსის მქონე პირების განცხადებები.

**5.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**5.1** ცნობები:

**5.1.1.** იურიდიული პირისათვის:

**ა)** ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

**ბ)** ცნობას სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და ცნობას სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

**გ**) ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის (მათ) მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

შენიშვნა: იმ იურიდიული პირებისათვის, რომლებიც 2006 წელს უკვე მონაწილეობდნენ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში და 5.1.1 პუნქტის "ბ" და "გ" ქვეპუნქტებში მითითებული ცნობები 2006 წელს უკვე აქვთ წარმოდგენილი, მათი ხელმეორედ წარმოდგენა ამ ტენდერისათვის არ არის აუცილებელი.

**დ)** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ან ცნობა სასამართლოდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ.

**ე)** ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

**5.1.2.** ფიზიკური პირისათვის:

**ა)** ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

**ბ)** ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

შენიშვნა: იმ ფიზიკური პირებისათვის, რომლებიც 2006 წელს უკვე მონაწილეობდნენ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში და 5.1.2 პუნქტის "ა", "ბ" და "გ" ქვეპუნქტებში მითითებული ცნობები 2006 წელს უკვე აქვთ წარმოდგენილი, მათი ხელმეორედ წარმოდგენა ამ ტენდერისათვის არ არის აუცილებელი.

**5.1.3** როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

- ცნობას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ. მონაწილეს **ლოტების მიხედვით** ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (ქირა, თხოვება და ა. შ.) სატენდერო დოკუმენტაციაშია მოცემული მანქანა-მექანიზმები.

შენიშვნა:

**a.** ცნობა წარმოდგეს ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად და უნდა აკმაყოფილებდეს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს.

| № | მანქანა-მექანიზმ-ების დასახელება | აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი | რაოდე-ნობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთრება: მფლობელ-ობის ან სარგებლ-ობის ფორმა |
|---|---|---|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | | | | |

**ბ.** იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მანქანა-მექანიზმები და დანადგარები იმყოფება მის კანონიერ მფლობელობაში, ან სარგებლობაში, ან საკუთრებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები (კერძოდ: იმ შემთხვევაში, თუ მანქანა-მექანიზმები და დანადგარები იმყოფება მის ბალანსზე, წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი აუდიტორული დასკვნა; თუ რომელიმე მანქანა-მექანიზმი და დანადგარი აყავს იჯარით, წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულება; თუ რომელიმე მანქანა-მექანიზმი და დანადგარის შეძენა ხდება ქვეყნის გარედან, წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი(ები) და ცნობა, თუ როდის იქნება ეს მანქანა-მექანიზმი და დანადგარი საქართველოში, და ა. შ.). ასევე აუცილებლად მითითებული უნდა იქნას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების და დანადგარების ადგილმდებარეობა, და იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს გამარჯვების შემთხვევაში რა დრო დასჭირდება მათი სამუშაოს შესრულების ადგილზე მობილიზაციისათვის.

-- ცნობას ქვე-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, ქვე-კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი მიწოდების შესახებ.

შენიშვნა:

**ა.** ცნობა წარმოდგეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| გასაწევი სამუშაოს სახე | ქვე-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება | ქვე-კონტრაქტორის სპეციალიტთა ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება | ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ბიოგრაფიული მონაცემები |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

**ბ.** ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილების გრაფაში მითითებული უნდა იქნას იმ ძირითადი ობიექტების ჩამონათვალი, რომელზეც ქვე-კონტრაქტორს გაწეული აქვს ანალოგიური სამუშაოები.

**გ.** ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილების გრაფაში მითითებული უნდა იქნას იმ ძირითადი ობიექტების ჩამონათვალი, რომელზეც ქვე-კონტრაქტორის თითოეულ სპეციალისტს (ინჟინერ-ტექნიკური) შესრულებული აქვთ ანალოგიური სამუშაოები (წლების ჩვენებით).

**დ.** ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ბიოგრაფიული მონაცემების გრაფაში აღნიშნული უნდა იქნას: ქვე-კონტრაქტორის თითოეული სპეციალისტის (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე), დაბადების თარიღი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით, ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება წლების მითითებით.

**ე.** ქვე-კონტრაქტორის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია განიხილება იურიდიული ან/და ფიზიკური პირის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთობლიობაში.

**ვ.** ქვე-კონტრაქტორის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია განიხილება იურიდიული ან/და ფიზიკური პირის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად.

-- ცნობას 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების შესახებ. მითითებული იქნას მსხვილი დებიტორ-კრედიტორები და დავალიანების წარმოშობის თარიღი.

**5.2.** ინფორმაციები (მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობითი სახით):

-- ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს: ორგანიზაციულ-სამართლებლივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს. მიუთითეთ საკონტაქტო ტელეფონები.

-- ინფორმაცია ტენდერში მონაწილე იურიდიული ან/და ფიზიკური პირების სპეციალისტთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ, დაურთეთ ბიოგრაფიული მონაცემები.

ტენდერში მონაწილე იურიდიული ან/და ფიზიკური პირების სპეციალისტებს უნდა გააჩნდეს ანალოგიური სამუშაოს შესრულების გამოცდილება.

შენიშვნა:

**ა.** ინფორმაცია წარმოდგეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| თანამდებობა, სპეციალობა | გვარი, სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი) | ბიოგრაფიული მონაცემები |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

**ბ.** ანალოგიური სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილების გრაფაში აღნიშნული უნდა იქნას: თითოეული პერსონალის (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე) მიერ შესრულებული ანალოგიური სამუშაოების ჩამონათვალი (კონკრეტული ობიექტების მითითებით), დაკავებული თანამდებობა და ფუნქცია. ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის წლები.

**გ.** ბიოგრაფიულ მონაცემების გრაფაში აღნიშნული უნდა იქნას: თითოეული პერსონალის (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე), დაბადების თარიღი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით, ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება წლების მითითებით დეტალურად.

-- ინფორმაცია, იურიდიული ან/და ფიზიკური პირის მიერ, უკანასკნელი 3 (სამი) წლის (ცალ-ცალკე 2003, 2004, 2005 წლები) განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების გამოცდილების შესახებ. შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენით (ხელშეკრულებების ასლები).

შენიშვნა: ინფორმაცია წარმოდგეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| № | სამუშაოს დასახელება (თითოეული ობიექტის დასახელებით) | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | წარმოდგენილი იქნას ხელშეკრულებების ასლები |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

**--- განაცხადი კონკრეტული ლოტების მითითებით, რომელზედაც იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს სურს მიიღოს ტენდერში მონაწილეობა**

**6.** იურიდიული ან/და ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია, დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

**7.** იურიდიული ან/და ფიზიკური პირის ხელმძღვანელი მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადების სიზუსტეს ადასტურებს თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

**8.** საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას სატენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი ფიზიკური და იურიდიული პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

**9.** იურიდიული ან/და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მოცემული ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**10.** დაინტერესებული იურიდიული ან/და ფიზიკური პირის სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს სატენდერო დოკუმენტაციის მე-9 მუხლის 9.1 პუნქტით და საბაზისო მონაცემებით განსაზღვრულ დოკუმენტებს. სამუშაოების შესრულების მეთოდში დეტალურად უნდა იქნას აღწერილი სამუშაოების წარმოების ყველა ტექნოლოგიური პროცესი, ასევე მანქანა-მექანიზმების და დანადგარების მობილიზაციისათვის საჭირო ვადები.

11. გამარჯვებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით **თითოეულ ლოტზე** უნდა წარმოადგინოს ბანკის ან საქართველოში ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება თითოეულ ლოტზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არა ნაკლებ 5% ოდენობით.

**12.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში, საკონტაქტო ტელეფონი 31.30.34 გია დიასამიძე.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. ქუთაისის შპს "მადლიერების სახლი" (მის: 4600, ქ.ქუთაისი, ნინოშვილი ქ..N61), აცხადებს ტენდერს ქ.ქუთაისში მცხოვრები განსაკუთრებით გაჭირვებულთა უფასო კვებისათვის პროდუქტების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

| რიგითი № | მოსაწოდებელი საქონლის დასახელება | რაოდენობა | მიწოდების ადგილი | მიწოდების გრაფიკიკული ვადები |
|---|---|---|---|---|
| 1 | ხორცი | 1728 კგ | შპს „მადლიერების სახლი„ | შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუმეტეს 1 დღე |
| 2 | სოსისი | 864 კგ | შპს „მადლიერების სახლი„ | შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუმეტეს 1 დღე |
| 3 | თევზი | 1152 კგ | შპს „მადლიერების სახლი„ | შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუმეტეს 1 დღე |
| 4 | კარტოფილი | 10800 კგ | შპს „მადლიერების სახლი„ | შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუმეტეს 1 დღე |
| 5 | ხახვი | 1728 კგ | შპს „მადლიერების სახლი„ | შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუმეტეს 1 დღე |
| 6 | ნიორი | 216 კგ | შპს „მადლიერების სახლი„ | შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუმეტეს 1 დღე |
| 7 | მწვანილი | 1440 კგ | შპს „მადლიერების სახლი„ | შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუმეტეს 1 დღე |
| 8 | ჭარხალი | 576 კგ | შპს „მადლიერების სახლი„ | შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუმეტეს 1 დღე |
| 9 | სტაფილო | 576 კგ | შპს „მადლიერების სახლი„ | შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუმეტეს 1 დღე |
| 10 | კომბოსტო | 1152 კგ | შპს „მადლიერების სახლი„ | შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუმეტეს 1 დღე |
| 11 | სანელებელი | 72 კგ | შპს „მადლიერების სახლი„ | შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუმეტეს 1 დღე |
| 12 | დაფქ. წიწაკა | 72 კგ | შპს „მადლიერების სახლი„ | შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუმეტეს 1 დღე |
| 13 | ბურღულეული | 1152 კგ | შპს „მადლიერების სახლი„ | შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუმეტეს 1 დღე |
| 14 | ტომატი | 360 კგ | შპს „მადლიერების სახლი„ | შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუმეტეს 1 დღე |
| 15 | კისლის ფხვნილი | 288 კგ | შპს „მადლიერების სახლი„ | შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუმეტეს 1 დღე |
| 16 | შაქარი | 630 კგ | შპს „მადლიერების სახლი„ | შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუმეტეს 1 დღე |
| 17 | მარილი | 260 კგ | შპს „მადლიერების სახლი„ | შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუმეტეს 1 დღე |
| 18 | რძის ფხვნილი | 280 კგ | შპს „მადლიერების სახლი„ | შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუმეტეს 1 დღე |
| 19 | ბრინჯი | 1150 კგ | შპს „მადლიერების სახლი„ | შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუმეტეს 1 დღე |
| 20 | პური 850 გრ. | 47100 ცალი | შპს „მადლიერების სახლი„ | შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუმეტეს 1 დღე |

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა: 2006 წლის ივლისი-დეკემბრი.

3. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე, ერთ ეგზემპლარად, დალუქული პაკეტით უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 21 ივნისს 11 საათიდან 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: 4600, ქ.ქუთაისი, ნინოშვილის ქ. .N61 ქუთაისის შპს "მადლიერების სახლი", სატენდერო კომისიის აპარატი, III სართული.

განცხადებას თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 იურიდიული პირისათვის:

ა) სასამართლო დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

ბ) ცნობებს, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ან მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადოდან და სასამართლოდან)

გ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

დ) ცნობას, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი მუშაკები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულები და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან);

ე) წესდება ან დებულება (რეგისტრირებული).

4.2 ფიზიკური პირისათვის:

